

652
1982



ქართველი

1982

4



ପ୍ରକାଶକ
ଶିଳ୍ପ ମେଲା



ЧИМЧЫЛ



ରୂପତ୍ୟକାତ୍ମକଶଳ-ମେଦାତ୍ମକଶଳର ଏବଂ
ଏଥିରଙ୍ଗାଣନ୍ଧାରିକିତ-କାଣ୍ଡିତିକାରି

ଶ୍ରୀରନ୍ଧବୀଳୀ

ସାହୁରତୀଙ୍ଗଳିକେ ମହିଳାଙ୍ଗଟା କାବ୍ୟଶିଳିଦୟା
୪୧ ଅକ୍ଷାରିକେ ଧାର୍ଯ୍ୟପଣକାରୀଙ୍କରେ

ମାତ୍ରାବିନ୍ଦି

ପ୍ରକାଶନ କମିଶନ୍ସୁ 24-୩ ଫିଲ୍ମ୍ସ ଇଂଲିଡନ୍ଡା

4

982

୦୩୯୦୮୦
୧୫୩୦୬୭୩

ତା ପିଲ୍ଲାରିଙ୍ଗଠିର କଲ୍ପନାରେ, ଆଫରାଟ,
ତା ଶିଖିବାରି, ଦ୍ୱାରାଯାଇଥି ଧୀରଜ...
ଦ୍ୱାରାଯିବି—ହିନ୍ଦି ଦ୍ୱାରାଯିବିଲେ ଅନ୍ତର୍ଭାବର
ଏକମିଶ୍ରମାତ୍ମିକ ଦା ଦକ୍ଷତାବିହାରି.



ପାଠ୍ୟ ମନ୍ତ୍ର

କେବଳ ଶର୍ମିଲୀ-ପାଞ୍ଚଟଙ୍ଗରେ ଯାଏନ୍ତିରେ ଯାଏନ୍ତିରେ



ოთახი და გარემო

ხანი გუგურავა	3	მმობის გზები
ჯერად ჯაფარი	8	ღექსები
ვასთანგ პრესულიანი	12	ორი დიდი დღე (დოკუმენტური მოთხრობა, დასასრული). რი
ძეგნა მუკია	23	ღექსები
ჯერად ცოშვერია	25	მაღალი სეგის ტევრში (მოსხ- რობა)
სოსო აზამიძე	35	ღექსები
ხელარ მოწერამე	37	თვა (ახალი რომანის ფრაგმენტები)
მარტ ცხარამე	49	ღექსები
რუსულან არვერაძე	51	ხევსურეთში (ღექსი)
ცესტოს მალგზინია	52	მოგონებათა წიგნიდან (გაგრძე- ლება)
ლილარ ფუტკარაძე	56	სამი ძმის სოფელი (ნარკვევი)
ნებჭარ ჯავარიძე	64	ვისი სული გხერძე?! (ნარკვევი)
პარმენ ცეკვიტარია	73	მშური კავშირი
აბარიშა ჩემშროვა	75	ახალშენელი ბერძნების ყოფისა და კულტურის ისტორიიდან
მასრინ ცხრცვამე	78	414-ე, წითლდროშოვანი...
რევაზ გრიგორიძე	79	სოფელს ახსოვნ
აშირან კახიძე, დავით მარგარიძე, შემო მავა- ლაძე	81	არქეოლოგიური გათხრები სხალ- თისწყლის სეობაში
თური გიგილვაცვილი	84	თანაბეღროვის თვალით
პავლე ნავალვაცვილი	88	„ცანუნიას“ ზნეობრივი იდეალები
ჯერად ცხამიძე	91	საკვირაო ნადირობა
როსტოლ ცხამიძე	92	ჩვენ და ჩვენი ეზო
კუპშრი კვასტიანი	94	შუქოსორია
	95	გასულ თრ თვეში

გარეკანის 1-ლ გვერდზე – „პეტრას ციხე“. ავტაცდილ ლრობა-
მის ნახატი.

გარეკანის მე-2 გვერდზე – „მენაიე“. მხატვარი ჯუმარე ჭანი-
ვალი.

გარეკანის მე-3 გვერდზე – „მები“. მხატვარი შოთა რემბა-
ვალი.

ტექნიკური სელმძღვანელი შუშანა დარჩია.

ქართველი გზები

საქართველო
განვითარების
მინისტრი

17/82

ნაცი გუბუნავა,
საქართველოს კომპარტიის აჭარის
საოლქო კომიტეტის მდივანი

სულვარელი ხაღას დიდი შვილი გიორგი დიმიტროვი ამბობდა, თუ-
მცა აჭარის რესპუბლიკა არ არის დიდი, მაგრამ მას უდიდესი ინტერნა-
ციონალური მნიშვნელობა აქვსო.

აჭარას სამართლიანად უწოდებენ 80 მმის რესპუბლიკას, დიდი რე-
ვოლუციური და მრომითი ტრადიციების მხარეს. დღეს ხალხთა ურღვევი
მძიმე ჩვენი საერთო წარმატებების, ჩვენი გამარჯვებების საწინაარია.

შეფის რუსეთის ყოფილი განაპირა, ჩამორჩენილი კუთხე აჭარა საბ-
ჭოთა ხელისუფლების წლებში გადაიქცა მრავალდარგოვანი მრეწველობი-
სა და ინტენსიური სოფლის მეურნეობის, მაღალი კულტურის მჩარედ.
იგი დაიფარა სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულე-
ბების, ჯანმრთელობის კერძის ფართო ქსელით. ბრძნულმა ლენინურმა
ეროვნულმა პოლიტიკამ, კომუნისტური პარტიის წინასწარდასახულობამ
და შრომელი კაცის მოუღლელმა მარჯვენამ ფენიქსებრ ააღორძინა და
ააყვავა აჭარა.

ახლა ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკა მთელს მსოფლიოშია ცნობი-
ლი ნაერობპროდუქტებითა და ელექტრონაკეთობებით, მანქანებითა და მო-
წყობილობებით. იგი ცნობილია როგორც ჩვენი ქვეყნის სამხრეთის საზ-
ღვაო ჭიშკარი, როგორც ძვირფასი სუბტროპიკული და სამხრეთული კუ-
ლტურების ერთ-ერთი ძირითადი მწარმოებელი.

ავტონომიური რესპუბლიკის სამრეწველო პროდუქცია დღეს მსოფ-
ლიოს 67 ქვეყანაში ივზავნება.

საფოველთაოდ ცნობილია აჭარის სოფლის მშრომელთა, განსაკუთ-
რებით შეჩაიეთა, მეციტრუსეთა, მეთამბაქოეთა, მეცხოველეთა შრამითი
წარმატებები.

არაახულად აყვავდა და გაიფურჩქნა ჩვენში ფორმით ეროვნული და
შინაარსით სოციალისტური კულტურა. აჭარის მშრომელთა საზოგადოე-
ბრივი შევნებულობა მკვეთრად ვლინდება მყარ სამეცნიერო მაჩვენებლებ-
ში, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს რესპუბლიკის ეკონომიკის სულ
უფრო მზარდ აღმავლობას. მეთერთმეტე ხუთწლედის მაჩვენებლები ნათ-
ლად შეტყველებენ აჭარის მშრომელთა სასახლო წარმატებებზე, კონკრე-
ტული იღეოლოგიური სიტუაციის მეცნიერული ანალიზის საფუძვლზე
კ. ბარამაშვილ ს. ხ. ცაგარი

ამ პროცესის სათანადო ეკონომიკურ დასაბუთებაზე. ამას ცხადყოფს ისიც, რომ ბოლო წლებში სამგზის ორდენისანი ჩვენი რესპუბლიკა შეიძლება დაჯილდოვდა საკავშირო და ორჯერ რესპუბლიკური გარდამაციურული დროშით. ასე განუხრელად იზრდება საბჭოთა აჭარის წევზურებულება როგორც რესპუბლიკის მიღწევებში, ჩვენი დიადი სამშობლოს ერთიან სახალხო-სამეურნეო კომბლექსში.

განსაკუთრებით თვალსაჩინოა ბოლო ათწლეულში მოპოვებული წარმატებები. ხორცის ისხამს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და სოციალურ-კულტურული დონის ამაღლების ვრცელი პროცესი.

ახლა ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკა დიდი იუბილეს – საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლის თავის ღირსეული შეხვედრისათვის მზადების ნიშნით მიიწევს წინ მტკიცედ, დამაჯერებლად. წინსვლისა და აყვავების ეს დიდებული გზა აღსავსეა ჯერ არნახული გმარჯვებებით, რაც იმ დახმარებისა და მზრუნველობის შედეგია, რომელსაც ნია-დაგ იჩენენ აჭარისადმი, ისე როგორც ყველა ავტონომიური ფორმირები-სადმი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტე-ტი, პირადად ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი, საქართველოს კომპა-რტიის ცენტრალური კომიტეტი.

როგორც უკვე აღვნიშეთ, ავტონომიური რესპუბლიკის წარმატებე-ბში თავიანთი წვლილი შეაქვთ მომე ერებისა და ეროვნებების წარმომა-დგენლებს, მათ შორის, მომე ბულგარელი ხალხის შვილებს.

ჯერ კიდევ ოცან წლებში დასახლდა ჩაქვის მეჩაიერის საბჭოთა მეურნეობაში 200-მდე ბულგარული გვარი. ისინი ჩვენი რესპუბლიკის მშრომელების მხარდამხარ აშენებდნენ ახალ ცხოვრებას, მამაცურად შრო-მობდნენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა უბანზე. ბევრი მათვანი სწო-რედ შრომით გახდა დაფასებული. მაგალითად, ქობულეთელ ვერა ურე-შევას თავდადებული შრომისათვის სოციალისტური შრომის გმირის წო-დება შიენიჭა.

ბულგარელები არა მარტო მინდვრებსა და პლანტაციებში, არამედ საწარმო-დაწესებულებებშიც მუშაობენ. მარია გუგუნსკაია, მაგალითად, ბათუშის ხილეულის წყლებისა და ლუდის ქარხანაში იღვწის, მარიანა არა-ბავი — გემთსაშენ ქარხანაში, ნინო თაუებჩო-გურგენიძე — თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანაში, თევდორე პერევერზევი მეზღვაურია, მარია მილნიჩევსკაია კი საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული პედაგო-გია. მათთვის საქართველო ჰეშმარიტად მეორე სამშობლო გახდა.

რეალობად იქცა გიორგი დიმიტროვის წინასწარმეტყველება: „შავი ზღვა ბულგარელებსა და ქართველებს ერთმანეთისაგან გვყოფს, მაგრამ ბალე დადგება დრო, როცა შავი ზღვა მეგობრობისა და მმობის ზღვად, ამ ორი ქვეყნის ხალხების დამაკავშირებელ ხიდად გადაიქცევა“.

დღეს ბულგარეთიდან სწორედ შავი ზღვით მოცურავენ გემები „ჩაია“,

„ვაჩა“, „ანტონ ივანოვი“ და სხვები. ვარნისაკენ ბათუმიდან იღებენ კურნე ჩვენი თბომავლები „შოთა რუსთაველი“, „ივან ფრანკო“, „ველიქი ქისინგი“, რომლებსაც აჭარიდან ბულგარეთში ასობით ტურისტი მიმდევად მაღაჭრით ბათუმური მარკის ნაწარმი. ბულგარეთიდან მიღებული შერწყმულებელობებით აღიძურვა ზოგიერთი ჩვენი საწარმოს ცალკეული სამქროები.

გიორგი დამიტოვის აჭარაში სტუმრობამ ხელი შეუწყო ბულგარეთისა და საქართველოს მშრომელთა მეგობრობის განვითარებას, რაც შეძლებოდ კიდევ უფრო გაღრმავდა და განმტკიცდა. ამის ნათელი გამოხატულებაა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ბლაგოევგრადის ოკრუგის მშრომელთა მეგობრული ურთიერთობა, რომელსაც აგერ უკვე 18 წლის ისტორია აქვს.

აჭარაში გიორგი დიმიტროვის ყოფნის, მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად ბულგარელი ხალხის დიდი შვილის სახელს ატარებს ბათუმის № 24 საბუალო სკოლა, ბათუმის ერთ-ერთი ქუჩა, ხელვაჩაურის რაიონის ჩხერიუნეთის კოლმეურნეობა, სხვა ორგანიზაციები, მისი სახელი აღბეჭდილია შემორიალურ დაფებზე — ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის, ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის, მწვანე კონცენტრაციულ შენობაზე, სადაც იგი ისვევნებდა. აჭარის სახელმწიფო მუზეუმში სპეციალური კუთხე აქვს დათმობილი გიორგი დიმიტროვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, აჭარაში მისი ყოფნის ამსახველი მასალების ექსპოზიციას.

1964 წლიდან განსაკუთრებით გაშშირდა ჩვენი მეგობრული კონტაქტები ბუღარეთის სახალხო რესპუბლიკის ბლაგოევგრადის ოკრუგთან. დაიწყო პარტიულ-სამეურნეო და კულტურული დაცვითი გაცვლა. აჭარაში გასტროლები გამართა ბლაგოევგრადის ოლქის ხალხური სიმღერისა და ცეკვის 70-კაციანმა ანსამბლმა „პირინმა“. მას მოჰყვა თეატრალური ქოლექტივების გაცვლა. პირველი ქართული თეატრალური კოლექტივი, რომელიც ბუღარეთს ეწვია, ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათულებრივი დიდი პოპულარობით გამოიჩინა. განსაკუთრებული მოწონება ჩვენი დრამატურგის ა. ჩხაიძის პიესები. განსაკუთრებული მოწონება ხვდა კომპოზიტორ დიმიტრი იანევის მუსიკას, რომელზედაც აქვდებოდა „ბლაგოევგრადი-აჭარა“. შეიქმნა დოკუმენტური კინო და სატელევიზიო ფილმები.

როგორც კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრების ქანდიდატი, პარტიის აქარის საოლქო კომიტეტის პირველი მოვალე გ. პაპუნიძე, ჩევნს მეხსიერებაში წარუშლელია იმ ღღეთა დაუყენებული შთაბეჭდილებანი.

დალგაციათა გაცვლები, რასაც ახლა უკვე მიზნობრივი ხასიათი აქვს, შეხვედრები კიდევ უფრო განამტკიცებენ და აღრმავებენ საქმიან ურთიერთობას, ახალ ფურცლებს წერენ ჩვენი მეგობრობის ისტორიაში. ეპონომიკური, კულტურული, სულიერი კავშირები, ინტერნაციონალური ტრადიციების გაფართოება ხელს უწყობენ ახალი აღამიანის აღზრდას, მშრომელთა მობილიზებას დასახული ამოცანების შესასრულებლად. აქარისა და ბლაგოლევგრადის მშრომელთა შეხვედრების ნიშანდობლივი თავისებურება სწორედ მისი საქმიანი ასპექტია, ცალკეული დარგების მიხედვით გამოცდილების ურთიერთგაზიარება და დანერგვაა. ამასთან ესაა თავისებური ურთიერთანგარიშება გაწეული მუშაობის, კერძოდ, იმის შესახებ, თუ როგორ ხორციელდება სკპ XXVI და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის XII ყრილობების გადაწყვეტილებები.

აქარის ავტონომიური რესპუბლიკის 60-ზე მეტ შრომითს კოლექტივს საქმიანი კონტაქტები აქვს ბულგარელ კოლეგებთან, რასაც დიდი პრაქტიკული სარგებლობა მოაქვს ორივე მწარისათვის. აქარის მოწინავე შრომითი კოლექტივების დასაჯილდოებულად დაწესებულია ბულგარეთის კომპარტიის ბლაგოლევგრადის საოკურუო კომიტეტისა და სახალხო საბჭოს ორი გარდამაყალი ვიმბელი. 1980 წელს სოფიაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ბულგარეთის კომპარტიის ადგილობრივი პარტიული ორგანოების თანამშრომლობის საკითხებისადმი მიძღვნილ თათბირზე მოისმინეს პარტიის აქარის საოლქო კომიტეტის ინფორმაცია აქარისა და ბლაგოლევგრადის ოკრუგის მშრომელთა მეგობრობის დარგში დავრვილი გამოცდილების თაობაზე.

ბულგარელმა და საბჭოთა ხალხებმა დიდი ზეიმით აღნიშნეს ბულგარელი ხალხის სახელოვანი შვილის, გამოხნილი რევოლუციონერისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი დამიტროვის დაბადების ასი წლისთვის. ეს სახელოვანი თარიღი იზეიმეს აქარის მშრომელებმაც. ბათუმში გაიმართა გიორგი დამიტროვის დაბადების ასი წლის თავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სახეიმო სხდომა. მოეწყო გ. დამიტროვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოგამოფუნა, შრომით კოლექტივებში მოეწყო ამ თარიღისადმი მიძღვნილი სტენდები, გამოფენები.

ამა წლის 14-დან 21 ივნისამდე ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ბლაგოლევგრადის ოკრუგში გაიმართა აქარის ავტონომიური რესპუბლიკის დღეები. ეს დღეები ამჯერად გიორგი დამიტროვის დაბადების 100 წლის თავს მიეძღვნა. ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელებთან ერთად აქარის დღეებში მონაწილეობა მიიღო ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის

სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა, რომელმაც საგანგებოდ ამ დღეს დღებისათვის მოამზადა ცნობილი ბულგარელი დრამატურვის ივანე რადო-
ვის პიესა „წითელი და მიხაკისფერი“, რომელიც მოგვითხროვდა დიმიტროვე, როგორც ლაიფციგის პრიცესის გმირზე. მევობარი მხარის მაყურებლებმა ნახეს აკრეთვე ჩვენი თეატრის მეორე სპექტაკლი – თ. იოსევლიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება“.


სიამოგნებით უნდა აღინიშნოს, რომ გ. დიმიტროვისადმი მიძღვნილი სპექტაკლისათვის ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ბრძანებულებით, რომელსაც ხელს აწერს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ბულგარეთის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ტოლორ ეივკოვი, ბათუმის თეატრის კოლექტივი დაჯილდოვდა ბულგარეთის სახელმწიფოს 1300 წლის თავის აღსანიშნავი საიუბილეო სამახსოვრო მედლით, აგრეთვე ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების საერთო-სახალხო კომიტეტის საპატიო სიგელით. ბლაგოევგრადში მოეწყო აჭარისადმი შიძღვნილი დოკუმენტური ფილმების ფესტივალი, ფოტოგამოფენა დევიზით „აჭარა 60 წლისაა“ და სხვა ღონისძიებანი.

აჭარის დელეგაციას ხელმძღვანელობდა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი გ. ჩიგოგიძე.

საუკუნოდ დამძობილდნენ აჭარა და ბლაგოევგრადი. ამის დადასტურებაა ისიც, რომ აჭარის სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის სახელობისაა. ბლაგოევგრადში არის ბათუმის ქუჩა, ბათუმში კი ბლაგოევგრადის ქუჩა. ბათუმიდან რამდენიმე კილომეტრზე მესაზღვრეთა საჯუშავოა, რომელიც ბულგარელი გმირი ჯარისკაცის ახენ იღიერის სახელს ატარებს.

ქართველი და ბულგარელი ხალხების ურლევევი მეგობრობის სიმბოლოდ გონიოს ციხე-სიმაგრის ვრცელ ეზოში ტანს იყრის მეგობრობის ბალი. გაივლის წლები, ამ ტყე-ბალის ხეები მმღავრად იშრიალებენ და მოძავალ თაობებს, შთამომავლობას გადასცემენ ჩვენი დიადი მეგობრობის ესტაფეტას.

დაე, მარად ცოცხლობდეს და ღრმავდებოდეს საბჭოთა და ბულგარელი ხალხების, ჩვენი პარტიების ურდვევი მეგობრობა და თანამშრომლობა ქვეყნად მშვიდობის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის საკეთილდღეოდ, კომუნიზმის საქმის საღიდებლად.



ჯემალ ჯაფელი



გვარი, სახელი, დაბადების დღე ანდა წელი
 და სხვა თავისი,
 სხვა მრავალი,
 ეს – სულ ერთია.
 ჩვენ ყველა –
 დიდი მომავალის ვართ მშენებელი
 და მზე – სამშობლო უმაღლესი ჩვენი ღმერთია.
 სახელით ჩვენით ქვეყანაზე,
 როგორც მესია,
 პატიოსნება, სიყვარული, მშვიდობა დადის.
 ჩვენ ყველას ერთი უმაღლესი გვაქვს პროფესია,
 ესაა ჩვენი თავდადება სამშობლოსათვის.

შართული ანბანი

თავსადღეგრძელო სიმაღლით შესვა,
 ვინც სული შენით ამოინათა.
 მოსჭიდებიხარ სიცოცხლეს ფესვად,
 ანბანო ჩვენთა, – ქართლოსანთა.
 სულში წკარუნობ დამით თუ დილით,
 ვით უკვდავების თეთრი ბწკარედი,
 პირველად თქმული, პირველად ქმნილი
 და ღვთაებრივი სისუფთავეთი.
 შენი სიცოცხლე ზარივით ერთვის
 გენებს, როგორაც ნამი დილისა.
 ანბანო, სულო ქართული ღმერთის,
 კრიალოსანის თეთრო თილისმავ.
 ყველაზე სუფთა გამოსხივებავ
 ქართველი კაცის სულის, ბუნების,
 ნათელ რწმენათა ნათელ იებად
 ნაფერები და ნადუღუნები.

სამშობლოს ბედის, ქართულის სულის
 დამზევებავ და აღორძინებავ.
 მზის მონათესო, ზეგარდმოსულო,
 და უკვდავების ამომძივებავ,
 შენა ხარ ჩვენი ხმლისა და ზვარის
 და ყოვლის, რაიც იმედად გვედო —
 შენა ხარ ჩვენი მთისა და ბარის,
 მთლად საქართველოს სიცოცხლის კრედო,
 მაღალი სიბრძნის ზიარჭურჭელი
 გელათის, მცხეთის და იყალთოსი.
 შენა ხარ ჩვენთა მარადუცვლელი
 სულის დვრიტა და აზრის სამოსი,
 დარბაზის, ტაძრის, ქვისა თუ აზრის,
 მამის თუ დედის, მმის თუ დობილის
 სიამაყის და სიცოცხლის ვაზი —
 საუკუნეებს შემოჭდობილი,
 დიდი სიბერე და სიჭარმაგე
 ერის მზისა და მისი მეობის.
 მარადისობის გენებს განავებ
 ყველაზე დიდი მემკვიდრეობის.
 ვენახისათვის როგორაც ფესვი, —
 შთავარარსობა შენა ხარ ენის.
 შენა ხარ ჩემი ხატი და ფრესკა,
 ციური ფერი ხმისა და ბგერის.
 შენა ხარ, როგორც ქართული გზები,
 მწვერვალისაკენ აღმა მავალი,
 სპეტაკი სულის, ნათელი გზნების
 წინაპარიც და შთამომავალიც,
 ქართული წიგნის უძველესობა,
 მისი ფესვები, სული და მდადე.
 ლამაზი, როგორც ენამზეობა,
 და მშენიერი, როგორც სიცხადე,
 ღვთისა და კაცის ხვედრი და წილი,
 იმედის ზეცა და მზრუნველობა.
 ჭირგადახდილი, ომგამოვლილი,
 გადარჩენილი ერის მეობა.
 ქართული ენის სულო, ანბანო,
 დიდო მიზეზო ხმლის და ფიცისა,
 დაე, მირონმა შენმა განბანოს
 ყოველი ღირსი ამა მიწისა.

უკვდავი ფესვით, სამშობლოვ ჩემო,
 მითის შორეულ სიღრმეებს ბუბნი.
 თავს ადგას შენი სუნი და გემო
 ვანსა თუ გელათს,
 გრემსა თუ ურბნისს...
 შენი მაღალი დღევანდელობა
 გალადებს, — ალვად აყრილი ტანი.
 იგი ნათელი და დღეგრძელობა
 გიძღვის ჩირალდნით, როგორც ტიტანი.
 სამშობლოვ, ჩემო,
 შეკრულო ფიცად,
 ცერზე შემდგარი დაგენახები,
 თუ გსურს, მიგულე საკეცე მიწად,
 თუ გსურს, წამლადაც დაგენაყები!

* * *

ისე გაივლი ბევრგან ტრამალებს,
 ვერრას იპოვი მიწაზე, — მზეზე
 და ეს გაფიქრებს,
 და ეს გავალებს,
 ფრთხილად იარო მშობლიურ გზებზე.
 ფრთხილად იარო, რადგან მთავარი
 ისტორიისა გელის კარიბჭე.
 ფრთხილად!
 ვაი თუ დიდი თამარის,
 დედა — თამარის საფლავს აბიჯებ!
 ფრთხილად!
 ვაი თუ ი, აქ არი
 გულუასახარი და გულსაკლავი —
 გარდასულ დროთა ნაქალაქარი,
 დიდი წიგნი თუ წმინდა საფლავი,
 დიდი განძი თუ რეინა და ძვალი,
 ანდა გვირგვინი ნაქორწილარი.
 რაც გარდახდილა სამშობლოს ვალი.
 გარდასულდელი რაიც წინ არი.
 მესიასვით უნდა არიგო,
 ტაძრებმა სითბო რაც მოგანიჭეს.

რაკი დადიხარ, უნდა გაიგო,
 კარგად გაიგო, რაზე აბიჯებ.
 ბრძენია ქართვლის მიწა ესოდენ,
 ძალთა დიდებას ის მოგანიჭებს.
 რაკი დადიხარ, უნდა გესმოდეს,
 უნდა იცოდე, რაზე აბიჯებ!



უმაღლეს ნებად,
 სიცოცხლის ქებად
 და სიყვარულის ფერად და ფარად,
 ვამბობთ ელვარედ და გასაუბად:
 — იმები?
 — არა!
 — იმები?
 — არა!
 — იმები?
 — არა!
 ცისკრის სიმორცხვე
 სულ ევლებოდეს ფერთა სინაზედ,
 რომ დადიოდეს დიდი სიცოცხლე
 ამ განაწამებ დედამიწაზე!
 რომ დადიოდეს ძმობა, მინდობა,
 ძლევად ნაწერი გულის ფიცარზე,
 რომ დადიოდეს დიდი სიცოცხლე
 ამ განაწამებ დედამიწაზე!



მისი ჩიზე და დაწესებელი

კრების მონაწილეთა შორის რამდენიმე ბულგარელიცაა.

არა, ისინი ბულგარეთიდან არ ჩამოსულან. ბათუმიდან რამდენიმე კილო-
მეტრის მოშორებით, ზაბა ჩაქვში სახლობენ თურმე.

ჩაქველი ბულგარელები არიან ისინი.

ასელა თუ ცოტა უცნაურად ქლერს ეს სიტყვები, არაფერია, რადგან შეძ-
ღვომ ისე ჩვეულებრივი განდება ისინი, თითქოს ასეც უნდა მომხდარიყო. ხოლო
თუ ქრების მონაწილენი მათში უცხოელებს ვერ ხელვენ, არც ესაა გასაკირა,
ულავანელები ხომ ძალიან გვანან ქართველებს.

მათ ჯერ კიდევ არ იცან ქართული, მაგრამ გავა დრო და მათვის ეს ენა
ისეთივე ახლობელი და ტკბილხმოვანი განდება, როგორც მშობლიური ბულგარუ-
ლი.

30-იან წლებში ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მიღწევები საქვეყნოდ
ხდება ცნობილი. მეცნიერები დიდ პერსპექტივებს უწინასწარმეტყველებენ ქარ-
თულ ჩაის.

უცხოეთიდან შემოტანილ თესლზე აღმოცენებულ ჩაის დალოცვილი ქართუ-
ლი მიწისაგან თავისებური არომატი და სასარგებლო თვისებები შეუძებია.

და ინწრდება მეურნეობა. პლანტაციებს პლანტაციები ემატება, ჩაის მწვრი-
ვები კორაკებისაკენ მიიწვევენ.

საოცარია აქაური მიწა!

შენ ოღონდ სურვილი გქონდეს... სურვილი და ფანტაზია...

შევრნეობა მრავალდარგოვანი ხდება. 1934 წლისათვის აქ სხვადასხვა კუ-
ლტურებს 1244 ჰექტარი უჭირავს. სანერგეში გამოტევთ ციტრუსების, ვეგალი-
პტის, დრაცენის, ტუნგის, ახალი ზელანდიის სელისა და სხვა მრავალ
კულტურულ მცენარეთა ნერგები.

საჭიროა, ოპ, როგორ საჭიროა მეტი მუშახელი!

შორეულ წარსულში მომხდებურთა განუწყვეტელმა შემთხვევებმა, რბევამ,
სისხლისდევრამ, მუდმივმა შიშმა და ძრწოლამ მშობლიური მიწაწყლიდან აჰეა-
რა ბეკრი ბულგარელი და შვილი ცხოვრების საბიებლად ვინ სად წაიყვანა და
ვის სად.

ლტოლვილების ერთი ნაწილი უკრაინაში ჩავიდა და ზაპოროჟიეს ოლქში
დასახლდა. (იქ ახლაცაა სოფლები ინზოვკა, ბოტევი, სტროგანოვკა, პრესლავ-
ლი, ბერდანსკი, ბროსლავკა, არმანგი, კარაჯა და სხვა, სადაც უმთავრესად ბუ-
ლგარელები ცხოვრობენ).

ახლადდარსებული ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობისა და პირველი საბ-
ჭოთა ჩაის შესახებ იძლენი იწერებოდა მაშინ შურნალ-გაზეთებში, რომ უკრაი-
ნიდან ჩამოსულმა რამდენიმე ბულგარელმა გადაწყვიტა საკუთარი თვალით ენილა
უკალაფერი.

გაგონილს ხილულმა გადააჭარბა (რაც იშვიათად ხდება!). და მათ მაშინვე აფრინებს წერილები საკუთარ ოჯახებში, ნათესავებში, მეზობლებში...
და ჩამოვიდნენ ჩაქეში სტალინები, პეტერები, ტანხევები, გლავერები, კერივები, ხოვები, პეტერენტევები, ტოლორები, ტერზევები, ფრევები, მილიტარისტები, ბელჩევები, საავოვები, სტოიანოვსკები, კიოსევები, თავსჩები, არაბაჯები და სხვები და სხვები — ოჯახებით, შეიღებით, შეიღიშვილებით... თითქმის ორასამდე გვარი!

ქართველი ქაცი კოველთვის სტუმართმოყვარედ უდებდა გულის კარებს გასაჭირში ჩავარდნილ ხალხს და როგორც საკუთარი ხისხლისა და ხორცის ნაწილს, ძიუქენდა იქ ადგილს.

ხაოცრად თბილი ხალხიაო, იტევიან მათზე ჩაქელები, ხაქეზობლო, ხამოყვრო და ხამოკეთოო, იციან სიტევის ფახი, უყვართო ბრომა.

და მერე ეს ურთიერთობა ნათესაური კაუშირებითაც შემომტკიცდება. დაიბალებიან და დაიზრდებიან თაობები.

ზის ახლა დარბაზში რამდენიმე ბულგარელი და უსმენს მათვის ასე შორეული და მაიც საოცრად სანუკარი ბულგარეთის დიდ შვილს გორგი ღიმიტროვს.

აბა, რომელ მათვანს მოუვა აზრად, რომ მათი მეგომრის — ქონსტანტინ ფრევევის ოთხი წლის ქალიშვილი ვერა, რომელიც ძლივს დაბაჯბაჯებს ახლა ხაის ბუქებს შორის და ქრეფავებს ფეხებში ებლანდება, სულ რაღაც თონმეტითღე წლის შემდეგ სარეკორდო მოსავალს მოჰკრევს და 1948 წელს ჩვილ-ძეტი წლის ქალიშვილს ხოცალისტებური შრომის გმირის წოდებას მიანიჭებენ!

რომ მარია ათანასეს ახულ მილინიჩევებაია წარჩინებით დაშათავრებს ჩაქეის რუსულ საშუალო სკოლას და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კარებს შეაღებს, რათა შემდეგ ისევ მშობლიურ სკოლას დაუბრუნდებ კვალიფიციურ სპეციალისტად.

გავა წლები და მის მიერ აღზრდილი მოსწავლეები დაფრინდებიან ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ოთხით კუთხით და სახელოვანი აღმიანები გახდებიან. ქალაბატონი მარია კი, სიხარულის ცრემლებით თვალებაბრწყინვებული, წაიკითხავს მადლიურებით აღსავე მათს უთვალავ წერილს.

ღვაწლი შეუმნეკეველი და დაუფასებელი არ დარჩება. და მარია ათანასეს ახულ მილინიჩევებაის, უკვე დაწარმოსილ პედაგოგს, 1960 წელს საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდებას მიანიჭებენ.

* გლავენებების დიდოვალება ბიჭენა ახლა ცამეტი წლისას. რა შემცდარ და გავითვებული სახით ათვალიერებდა კეკლაფერს, რამდენიმე ღლის წინ რომ ჩამოვიდნენ ამ საოცარ მხარეში. ვერ წარმოედგინა, თუ ქვეწად სადაც შეიძლება ყოფილიყო ასე ღამაზი აღიღები.

მაღე სკოლას დაამთავრებს განია და ომიც დაიწყება.

ჭაბუქს ფრონტისაკენ გაუწევს გული, მაგრამ გარკვეული მიზეზების ვაშო შას უარს ეუბნებიან.

დაუდეგარი გმაწვილი გემზე აიპარება და ყირიმში ჩავა. იქ კი მოქმედ პარტიზანულ რაზმში ჩაეწერება.

ცხარე შეტაქებების ღრის რამდენიმეჯერ დაიჭრება, მაგრამ ჯანმაგარი ჭაბუქი ხწრავად იშუშებს ჭრილობებს და ისევ ბრძოლაში ჩაებმება.

ომის დამთავრების შემდეგ ივანე ნიკიტას ძე გლავენები საბრძოლო შეღლებით მეტრდამშვენებული დაუბრუნდება მშობლიურ მეურნეობას და შრომის ფერხულში ჩაებმება. მერე დიდი სივარულიც მოვა. იგი თრთოლვით გაუწვდის

თავის ნაომარ მარჯვენას შავთვალება ღიდა კიოსევას, რომელსაც ზაფრანის დროს პატარ-პატარა ღრმულები უწნდება ლოფებრ, ხოლო კუპრივით შევი და სქელი თმების სურნელი ველის ვავილების არომატის აგონებს გმარტონი და აგანგან ახალგაზრდები საკუთარი ხელებით აიშენებენ ორსართულიან ჭავჭავაში და განარდან შვილებს.

ორი ქალიშვილი ეყოლებათ იუანე და ღიდა გლავჩევებს – ნადეჟდა და ღუნა. ტანადი და თვალიდი გოგონება.

ახალ თაობებს ახალი თვალსაწირი დასჭირდებათ.

ვინ ბათუმის ქარხნებს მასურებს და ღიდი ტრადიციების მქონე ჩვენი ქალაქის მუშათა კლასის რიცვებში ჩაეწერება, ვინ კიდევ მორეული ნაოსნობის გემებში მოეწყობა და დაიძერობს უკიდეგანო სივრცეებს; ვინ ჩაისა და სუბტრონიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალში ჩაის ახალი ჯიშების გამოყვანის ღიდ საქმეს. შეეჭიდება...

შეგრამ ეს იქნება შემდეგ...

ახლა კი ისინი პატაქტივის კრებას ესწრებიან – ჩაქველი ბულგარელების წარმომადგენლი რამდენიმე კაცი, სხვები გარეთ დგანან, რადგან ეს პატარა დარბაზი ყველა მხერველს ერ დაიტევს...

შეპყურებენ დიმიტროვს და სჯერათ იმ ღიდი მომავლისა, რომლისთვისაც იძრმვენ ეს ღიდი კომუნისტი, რომლისთვისაც იძრმვიან კომუნისტები... რომლის-თვისაც იძრმოლებენ თვითონ ისინიც – ბულგარელები, აյ – საბჭოთა საქართველოს მიწაზე, ქართველების მხარდამხრა.

* * *

შეპიტევა ლიმიტროვს ლარბაზილან:

„ერნეტ ტელმანს თუ შეხვედრიხართ?“

„შეკანასკნელად – ციხეში, ჩემი განთავისუფლების წინა დღვებში. ხაკან-დღ გამომიყვანეს დილით... სწორედ მაშინ ჩამოატარეს ტელმანი. ორი მცველი მომდევდოდა.

მაცნო.

ოჯნევ შეეოვნდა თითქოს. შერე თავისი მსხვილი მუშტი მიიტანა მხართან, ისე მოუჭირა თითები, ისე შეპრა მჯიდი, რომ ვიგრძენი, როგორ დაეჭიმა, და-ქმავრა ძარღვები მთელს ტანში.

– როტ ფრონტ!

ორი სიტყვა, სულ ორიოდ სიტყვა.

შაგრამ როგორი ტეგადი!

შეც ზეაწეული მუშტით მივესალმე.

– როტ ფრონტ!

შავრამ.. ჩვენ ეს სიტყვაც ვერ ვუთხარით მაშინ ერთმანეთს.

მხოლოდ თვალებში ამოვიკითხეთ ისინი...

ამფამად ჩვენი, კომუნისტების, ამოცანაა გადავარჩინოთ ერნეტ ტელმანი, რადგან მას უფრო მეტი საშიშროება ელის, ვიდრე მე და ჩემს ამხანაგებს მოგველოდა“.

შეპიტევა პარასპევა ლიმიტროვას:

„ცნობილია, რომ თქვენი ყველა შვილი რევოლუციურ მუშაობას ეწევა, რაც

დიდ საშიშროებასთანაა დაკავშირებული. იქნებ წყნარი ცხოვრება გერჩივნათ მათ-თვის?



იგი ერთხანს სდგმს:

რატომდაც უჭირს ამ შეკითხვაზე ერთბაშად პასუხის გაცემა.

ჯერ ხალხით გაჭერილ დარბაზს აკლებს თვალს.

დარბაზში ბუზის გაფრენას გაიგონებ.

ქუჩაშიც წყდება ჩოჩქოლი...

დედას შვილზე გადაქვე მზერა.

შვილს ხელებში ჩაურგავს სახე...

პარასპექტა ღიმიტროვა:

„ეს საში ვაჟულები უკვე დავგარგვ... ერთი რევოლუციური საქმოსნობისათვის ციმბირში გადასახალდა მეფის მთავრობამ. რამდენიმე თვის შემდეგ მისი წერილები შეწყდა. მეორე შვილი მხოლელიო ოშში დაიღუპა... მესამე... მესამე ბუღარელმა ფაშისტებმა მოკედლეს...“

საფლავებიც კი არ ღირსებიათ მათ, რომ დამეტირა...

ასეთი არიან ჩემი ცოცხალი შვილებიც.

ალბათ, ასეთი გავზარდეთ ისინი მე და ჩემმა მეუღლეო.

სალხს უყვარს ისინი, ამიტომ მე ბედნიერი გარ.“

„რას კრძნობდით სასამართლო პროცესის დროს?“

„გართალი გიოხრათ, ზოგჯერ იმდესაც გამოვაგდი. მე ხომ სამი შვილი... ვხედავდა, როგორ ეჭირა თავი სასამართლოშე ჩემს გიორგის და ვალერის და ვალემე... ესეც დავკარგე-მევქი... მე გერმანული არ მესმოდა (არც ახლა ვიცი), მავრამ ქუვეაზე ეტეობიდა, რომ მოსამართლეებს უტევდა.“

აპრილშერი ფრანგული განეთისათვის მიცემული ინტერვიუდან:

„თქვენ, რასაეგირველია, ურნიეთ შვილს, უფრო თავაზიანი ყოფილიყო ლაიფ-ცოვილი მოსამართლეების მიმართ?“

პარასპექტა ღიმიტროვა:

„ეს როგორ იფიქროთ? გიორგიმ იცის თავისი საქმე. იგი თუ მოსამართლეებს დანებდავდა, მამასადამე, იმსახურებდნენ. მან კარგად იცის თავისი ვალი. მე არც ერთი შეილისათვის არ შემიშლია სელი თავიანთი მოვალეობის შესრულებაში. მე მჯეროდა მათი!

მე მჯერა ჩემი გიორგის!“

უკაიოსევა ღარბაზილაც გიორგი ღიმიტროვა:

„დღეს მთელს მსოფლიოში ცნობილია თქვენი გმირული პრძოლა სასამართლო პროცესზე. ეს იყო ნამდგელი ბრძოლა ფაშისმის წინააღმდეგ. თქვენ, ერთად-ერთი, პირისპირ იღექით ფაშისტური სასამართლო მანქანის წინაშე. როგორი იყო მაჟინ თქვენი სულიერი მდგომარეობა?“

პალიაბი ღიმიტროვი:

„ლაიფციგის პროცესზე შარცხენა ხელში გერმანული კანონების კოდექსით და მარჯვნაში — კომიტეტის/პროგრაშით, მე გამოვდიოდი როგორც კომინტერ-

ნის მებრძოლი და მთელი პროცესის განსაკლობაში უდიდეს მორალურ, პოლიტიკურ და იდეურ უძირატესობას ვერაბრძოლი ჩემს მტრებზე. მე ვნახე ფართის ნამდვილი წარმომადგენლები და, მიუხედავად იმისა, რომ მათი ტყვე ვიზუალურული და გეცეროლი, მათ, რადგან ვერაბრძოლი, რომ გამოუხატავდი მსოფლიო პიროვნეულობას რიატის გრძნობებს, ნებას, მისწარებებს. მე ძლიერად ვერაბრძოლი თავს, რადგან ვიცოდი, რომ მხარს მიჭრენ მშრომელთა ძილიონები.

რომ ქვეყნას არის მოსკოვი!

„ოქენე კარგად მოგეხსეხებათ, რომ საქართველო და ბულგარეთი უოველთვის გახიცებიდა გარეშე მტრების შემოსევების. ამ ორი ქვეყნის ისტორია, ამ მხრივ, ქალიან წააგავს ერთმანეთს. თუ ქვეონიათ აღრე საქართველოში ჩამოსვლის, მიხი სალანის გაცნობის სურვილი?

ბერძოლი ლიმიტროვი:

„დიან, ჩვენი ქვეყნის წარსული ძალიან მკაცრი იყო. თქვენი აჭარა ზომ რა-მდენ მე საუკუნის განსაკლობაში გმინავდა თურქეთის უღლის ქვეშ. ასე იყო ჩე-მი ბულგარეთიც. ჩემი ხალხი დიდ პატივს სცემს თქვენს ერს. მჯერა, რომ ახლო ძოძავალში ისინი უფრო ახლოს გაცნობიან ერთმანეთს. მჯერა, რომ ჩვენი ზალ-ხები ნამდვილი მეგობრები გახდებიან.

საქართველოში მეორეჯერ ვარ. პირველად ამ ორი წლის წინ, 1932 წელს ვიყავი, მაგრამ ძალიან მცირე ხნით. საქმიანი დავალებით ჩამოველი მოსკოვიდან.

ძალი იქვენი სამშობლო, თქვენი ხალხი.

ქართველები ნამდვილი ინტერნაციონალისტები ხართ.

ბულგარეთში სათუთად ვინახავთ თქვენი თანამემამულეების ხსოვნას, ჩემი საშობლოს განთავისუფლებისათვის რომ გასწირეს თავი.

ქალაქ პლოვდივიდან რამდენიმე ათეული კილომეტრის მოშორებით, ხოფელ ბაჩკოვოს განაპირას, დგას მონასტერი, რომელიც თქვენს თანამემამულეს აუმჯენებია შეუ საუკუნეებში.

როგორც ხელავთ, ჩვენი ხალხების მეგობრობას დიდი ისტორია აქვს.

მე მეავდა მეგობარი, თქვენი თანამემამულე, ნამდვილი ბოლშევკი ნორ ბუ-აჩიძე. წარმოსადგერი კაცი იყო. ფიცხი, ანთუბული, რევოლუციური საქმიანობისათვის დეგნილი, ჯერ თურქეთში ცხოვრობდა, შემდეგ ბულგარეთში. მე იგი დიმიტრი ბლაგოვეგა გამაცნო.

შევიათად შემხვედრია ასეთი შეუდრევებელი აღამიანი. ცეცხლივით ენთო. მისი შეჩერება თითქმის შეუძლებელი იყო.

ბულგარეთიდან მისი გამგზავრების შემდეგაც არ გაგვიწყვეტია მეგობრული კავშირი. ხშირი მიმოწერა გვქონდა. მას პირადად იცნობდა ლენინი და დიდ პატი-ვსაც სცემდა.

მისმა ტრაგიულმა დაღუპვამ გული დამწვევიტა...

დიდი მეგობრობა გვაკავშირებს მე და ფილიპე მახარაძეს, ჩვენ 1922 წლიდან ვიცნობთ ერთმანეთს, მოუთმენლად ვეღოდები ახლა მასთან შეხვედრას. დარწმუ-სხებული ვარ, თვითონაც ჩემს დღეშია.

ჰოდა, თქვენ თვითონ განსაჯეთ, მექნებოდა თუ არა საქართველოს გაცნობის სურვილი...“

* * *

ბათუმიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით თუ გაიხედავთ, აუცილებლად მოგხიბ-ლავთ ქალაქიდან თორმეტი-ცამეტი კილომეტრის მოშორებით მთებიდან ზღვისა-

ქენ, ერთოიგად დაშვებული კორები, რომლებიც პირდაპირ ზღვას ებჯინებიან. ეწო
ადგილას კი ღრმად შეჭრილი თხემი მეტად ორიგინალურ კონცხს ქქმნის.

ეს თხემი აღრე, ალბათ, უფრო შორს შედიოდა ზღვაში. ამაზე მეტყველების/
წყლიდან ამოშვერილი უამრავი დიდი ლოდი და წყალს ქვეშ მოქცეული მისმა მუშაობი
ლუეფური გაგრძელება.

კონცხი მთლიანად მწვანითაა შემოსილი. რა არ ხარობს აქ! თანაც სრულიად
ბუნებრივ პირობებში.

ჭყშმარიტად მაღლიანია ქართული მიწა!

მწვანე კონცხი ჰქვია ამ აღვილს. სხვა სახელს, ალბათ, კერც დაარქმევდა
კაცი.

მთის დამრეც კალთაზე, სანაპიროდან რამდენიმე ასეული მეტრის მოშორე-
ბით დგას ერთი სახლი. იგი მთლიანად მწვანეშია სიფლული. გაზაფხულზე კო-
ველი მსრიდან მოაქვს ნიავს მანდარინისა და ფორთოხლის კვავილების გამაბრუე-
ბელი სურნელება. მერე ღრმავ იმძლავრებს ქარი და მსხლის კვავილების ქათქათა
კორიანტელში გაეხვევა უცებ. ზაფხულში თაკარა მზის მცხუნვარება და კვიტო-
კურა პალმებისა და კვიპაროსების, მაგნოლიებისა და ფიჭვების, კვალიტებისა
და ძეწნების შევბისმომკრინვლი სიგრილე და არომატი ზღაპრულ სამყაროში გა-
დაყიფვანს კაცს უნდგურად.

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დასახუნებელ სახ-
ლში (აშვამად საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთვის არსებული
მეოთხე სამართველოს სანატორიუმი „მწვანე კონცხი“) 1934 წლის 9-10 ივნისს
ისვენებდა გიორგი დამიტროვი.

შოთხედავად საქათლ შერეცელი ჯანმრთელობისა და დაღლილობისა, იგი საო-
ცარ ინტერესს იჩენდა კველაფრისადმი.

თავისუფალ ღროს ფეხით დასეირნობდა. ელაპარაკებოდა აქაურ მცხოვრებ-
ლებს. ბევრმა მათგანმა არც იცოდა მაშინ, ვინ იდგა მათ წინაშე..

მასინჯაშრები სასაც გვრიძის მოგორებილა:

— ომბალური რთლიანად სევბით იყო დაფარული. ხეები იყო — თვალს კე-
შეაწვდენდი კატარს. წიფელი, ცაცხვი, წაბლი, ცხმელა, წყავნარისა და შეკრინარში
ხომ ძლიერს გაიკვლევდა გრძას.

კველაზე მაღალ წიფელის ხეებზე სევბი მქონდა შემოწყობილი.

სადაა ახლა, ჩემო ბატონი, ან ის ტყვე, ან ის ხეები...

სეის ხილვას რომ შეკვდებოდი, თაფლის ისეთი სურნელება დატრიალდებო-
და ტყეში, რომ თავბრუ დაგეხვეოდათ.

კერავის აღიოდა იმ ხეებზე, ჩემს გარდა.

ღილადადრიან, მზის ამოხვლამდე, შეკუდებოდი მთას.

მაშინ ცედაათს გადაცილებული ვიფავი. შეიღებიც მყავდა. ნის კენტეროში
ძოქცევა კი პატარა ბიჭივით მიყვარდა.

სანამ თაფლის ამოღებას შეკუდებოდი, გარება ხანს ვიფავი წიფლის ტოტზე
შემომჯდარი და გავიცეროდი ჩემს წინ გადაშლილ საოცარ სურათს.

იცით, ამის ახესა შეუძლებელია. თვითონ უნდა განიცადო.

ღიდი ხანია კედარ გავლივარ ხეზე, სული კი ძველებურად მოხოვს... უფრო
მეტადაც...

ცოტა გამიგრძელდა, არა?

გთხოვთ, მაპატიოთ მოხუცებულს. სიბერებ იცის აგი, ჩემო ბატონი, აღარაფ-
რის გაკეთება აღარ შეგვიძლია, პოლა, ვქაქნებთ ასე.

იმას მოგახსენებდით, ჩემო ბატონო, წავედი ერთ დღეს თაფლის ამოსაზებად.
თაფლის ხილვას კვძახით ჩვენ ამ საქმეს.

ავცოცდი წიფლის კატარში, ცოტა ხანს ვიჯექი ასე, გატრუნული, და მოვყურებდი ჩემს ირგვლივ გაშლილ ქვევანას.

მამლების ყივილი მესმის... ყივიან და ყივიან მამლები...

ჯერ კიდევ სძინავს ქვევანას, მამლები კი ყივიან.

ახლა დოლაუთენია აღშუვლდებიან მანქანები... ალიონი, ჩემო ბატონო, თუ
მთლად არა, რაღაც ნახევრი საათო მაინც უნდა დაუთმო მამლებს. მათია ის ღრო.
მათი ხმა უხდება სოფელს, ხომ მართალი ვარ?

რამდენიმე სკიდან ამოვილე ფიჭა და ჩავაწევე გუდაში. ერთი, ჟკვე საესე,
ხის ძირში დგებ. ბოლო წიფელზე ვარ... მთელს წევე თაფლის სურნელება ტრა-
ალებს. მიყვარს სკიდან ამოღებული ფიჭის სურნელი.

ვგრძნობ, ვიზაც მიმზენს. ძირს ვისედები.

გუდასთან უცნობი კაცი დგას. ერთი შეხედვით, ქართველი გეგონებათ. უკი
თმა, მოვრძო ცხეირი... მეტის გარჩევა შეუძლებელია იმ სიმაღლიდან, თანაც
ტევში. თუმცა მზე უკვე საქმაოდ ამოწვერილია... საქმიანობაში დრო სწრაფად გა-
დის.

სახის იერით ქართველს პგაეს... თუმცა, მე მწითური ვარ... მთელი ჩვენი მო-
დგმა მწითურია...

„დამსვენებელია“, — ვახვინი.

— გამარ...ჯო. მა! — მეუბნება ქართულად:

„ეს, ეს ერთი სიტყვა სცოდნის ჩვენს ენაზე“

— გაგიძარვოთ, ჩემო ბატონო, — მეც ქართულად ვუპასუხე.

— ვაჟკაციც შენ ყოფილხარ, ამხელა ხეზე რომ გასულხარო, — ახლა უკვე
რუსულად მეუბნება.

— რას ბრძანებოთ, — ვეუბნები, — აბა ეს რა ვაჟკაცობაა-მეთქი.

იმ ბოლო სკის ხილვასაც ვამთავრებ. პირბადეს ვისწორებ და ნელ-ნელა ვეშ-
ვები დაბლა. ფუტკრები კი ზურუნებენ და ზურუნებენ ჩემს ირგვლივ. თუ ჩახვლამ-
დე არ ჩამომეხსნებიან, შეიძლება დაბინონ ის კაცი... პირი იქნება, ვფაქტობ, რა
უნდოდა, ამ დილაუთენია რომ მოეხეტვობოდა ტევში. ეკოტრიალა თავის ლოგინში.
ასე ვფიქრობ... აბა, რა ვიცოდი, თუ ის..:

საქმარისია, ხელი აუქნიო აბზუილებულ ფუტკარს და, მტრისას მერე... ყველა
შენ დაგვესევა. ასეთია მათი ბუნება, მარა ყველამ რიცი იცის ეს, ჩემო ბატონო.

— მაღლიანი მწერია ფუტკარი, — მეუბნება იგი, რიცა მიწაზე ვაღგამ ფეხს,
— ხომ ცნობილია, როგორ აკეთებს თაფლს, კაცი ხარ და აჯობე. იცის თავისი საქმე!

რამდენიმე ფუტკარი უკვე დასტრიალებს თაქს, მინდა გავაფრთხილო, მაგრამ
აზრი აღარა აქვს. დგას შშვიდად, თითქოსდა ვერც ხედავს მათ.

ტილოს თეთრი შარვალი და თეთრივე ბლუზა აცვია, ჩასკვნილია, ასე, ჩემ-
სიმაღლე.

— კიორგი მქვია, — მეუბნება და ხელს მიწვდის.

მეც ჩემს სახელს ვეუბნები.

შაღალ შუბლზე გაწოლილი ნაოჭები ხან იცრიცებიან, ხან დრმავდებიან.

წაბლისფერ თმებში ჭაღარა ურევია საფეოქლებთან.

— მეფუტკრე ხართ?

— არა, ისე... ოჯახში ძალიან გვიყვარს თაფლი...

დცინის, ძალიან უხდება ხიცილი.

— თაფლი ვის არ უყვარს! — მეუბნება.

შეც ვაცინი.

მერე უცებ:

„უბრალო კაცი არ უნდა იყოს!“ — ვასკვნი.

განა რამე თქვა ისეთი, მაგრამ.. რაღაცით ვგრძნობ... ამის ^{უნდა იყო მარტო მარტო მარტო} ბეჭია...

— თუ იყადრებოთ ჩემს ნახელავს.. ამ საღამოს მოგართმევთ.

— რაორო გეკადრებათ! — მეუბნება, — მე ვანა იმიტოშ გითხარით...

— გიორგი მიხაილოვის! — ბილიკზე ტანძალაღი კაცი დგას, — თქვენ გალო-ლებიან..

— კარგად ბრძანდებოდეთ, ხასან, — ხელს მართმევს და მიდის.

უცნობი მაახლოვდება.

— იცი, ვინ არის? — მეკითხება.

— არა, ისე, გიორგი ვარო, მითხრა...

— დამიტრიე, გიორგი დამიტროვი.

იმავე საღამოს რიც დიდი ქილა თაფლი ავიტანე დასასვენებელ სახლში. დი-მიტრიე ჯერ არ დაბრუნებულიყო ქალაქიდან.

ახლა თქვენ მიპასუხეთ, ჩემთ ბატონო, რამ ამოიყვანა ის კაცი იმ ღიღაუთე-ნია რმულურის მთაშე?..

* * *

ჩახალონი ჩამვის ჩაის ვაძნიმის საპატიო სტუართია ღიბრი:

„ჩაის ფაბრიკის დათვალიერება ჭეშმარიტ სიამოვნებასა და კაფოფილებას იწ-ვევს. საწარმოო პროცესების შესახიშნავი ორგანიზაცია, რაც უზრუნველყოფს პრო-დუქციის მაღალ ხარისხს, ხანიმუშო სისუფთავე და, ბოლოს, პირველი საბჭოთა ჩაის მშენებელი, მოწმობე, რომ ხოციალისტური წარმოება თავისი გაქანებითა და ხარისხით ეწვეა და წინ უსწრებს კაპიტალისტურ სამყაროს, ხოციალიშმის სადა-დებლად და საბჭოთა კავშირის მტრების სავალალოდ.

სალაში ჩაის ფაბრიკის ენერგიულ ღირებულობა, მუშებს, ინფინერ-ტექნიკურ მუშაკებს.

გისურვებო კიდევ უფრო დიდ წარმატებებს საბჭოთა ჩაისათვის ბრძოლაში.

გ. ღიბრიტრიზო.

9.7.1934 წ.“

* * *

საბჭოთა აზარმასტაცის მუშაბს, პოლემიზაციასა და მუნიციპალიტეტებს!

დიდია ამიერკავკასიის ფედერაციის საბჭოთა რესპუბლიკების, კერძოდ, სა-ბჭოთა აქარისტანის ინტერნაციონალური მნიშვნელობა. საბჭოთა აქარისტანი, რაგორც საბჭოთა აგანკოსტი ახლო აღმოხავლეთში, აღმოხავლეთისა და ბალგანე-თის ქვეყნების მშრომელებისათვის წარმოადგენს იმის კონკრეტულ მაგალითს, თუ როგორ არის შესაძლებელი პატრიარქალურ-ფეოდალური ჩამორჩენილობიდან ხო-ციალისტურ საწარმოო ფორმებზე გადასვლა მუშავა კლასისა და გლეხობის კავში-რის საფუძველზე, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით გადასვლა იმ ხო-ციალისტურ საწარმოო ფორმებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მშრომელთა კე-თილდღვეობის განუწყვეტელ აღმავლობას და მათი ეროვნული კულტურის აყვავებას.

აჭარისტანი, მთელი ამიერკავკასიის შშრომელებთან ერთად, მედგრად იძრ-
ძოდა უცხოეთის მონობის წინააღმდეგ. თურქეთის სულთანების, მეფის რეზიდენცი-
თვითმმკრობელობის წინააღმდეგ, იმპერიალიზმის აქტიური შემოტევის, ინგლისის
იმპერიალიზმის ბატონობის წინააღმდეგ, ქართული მენშევიზმის გამცირების შემდეგ ლიტერის წინააღმდეგ.

ამებად საბჭოთა აჭარისტანი წარმოადგენს იმის ცოცხალ მაგალითს, რომ
მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს არის შესაძლებელი ნამდვილი კრონუ-
ლი ფინანსორებისა და განთავისუფლება.

საბჭოთა აჭარისტანი აჩვენებს კაპიტალისტური და კოლონიური ქვეყნების
შშრომელებს, თუ როგორ შეიძლება... სხვადასხვა ეროვნებათა ძმური თანამშრომ-
ლობა და მათი საერთო მუშაობა ახალი კულტურული და ბედნიერი ცხოვრების
შესაქმნელად იმ დროს, როცა კაპიტალისტურ მსოფლიოში ფაშიზმი აღვივებს ნა-
ციონისალერ შოვინიზმს, ამსებრებს ერთ ეროვნებას შეორის წინააღმდეგ და ამშა-
დებს ხალხთა ახალ სასაკლაოს.

თუმცა ჩემი მკურნალობის ადგილზე გამგზავრებამდე მე ვერ მოვახერხე უფ-
რო ახლო გავცნობოდი აჭარისტანის კველა კონომიურ და კულტურულ მიღწევას,
მე მაინც უდიდესი სიხარულით ვიხილე ახალი გიგანტი – ნავთობის გადასამუშა-
ვებელი ქარხანა, საუცხოოდ მოწყობილი ჩაქეის ჩაის ფაბრიკა, ბათუმის კეთილმო-
წყობის გაუმჯობესება, მისი კულტურისა და დასკენების ახალი პარაზი, მუშაო
ახალი სახლები, ქუჩებისა და გზების გამწვანება, მე სიხარულით გავიტე აჭარის-
ტანის კულტურული მიღწევების, მისი სკოლების, თეატრების, მისი აჭარვლი მა-
სწავლებელი ქალების, შშრომელ ქალთა ფინანსორების ამაღლების, ახალგაზრ-
დობის აქტივობის ზრდის შესახებ და ა. შ.

აჭარისტანის კველა შშრომელს მათს კონომიურ და კულტურულ მიღწევებს
რომ ვულოცავ, ვუსურევებ მათ შემდგომ წარმატებებს სოციალიზმის შშნებლობა-
ში, ბრძოლაში საბჭოთა ფლორიდისათვის, ციტრუსოვანი კულტურების დანერგვი-
სათვის, საბჭოთა ჩაიხაოვის, ნავთობის დარგში პარტიისა და მთავრობის დავალე-
ბათა შესრულებისათვის, ფორმით ეროვნული, შინაარსით ინტერნაციონალური და
სოციალისტური კულტურის შემდგომი განვითარებისათვის.

გ. დიმიტრიშვილი

მწვანე კოცხი. 1934 წლის 10 ივლისი. ვაზეთი „საბჭოთა აჭარის-
ტანი“, 1934 წლის 11 ივლისი.

* * *

1934 წლის 11 ივლისს, დილით, გიორგი დიმიტრიშვილი თავისი ოჯახის წევ-
რებთან ერთად ბორჯომს გაემგზავრა.

* * *

1934 წლის 24 ივლისს გაზეთმა „ზარია ვოსტოკამ“ გამოაქვეყნა ბათუმის
რაიონის კოლმეურნეობა „გლეხის გამარჯვების“ (ახლა სოფ. ურეხის კიროვის
სახელობის კოლმეურნეობა) პირველი ბრიგადის ხელმძღვანელის ო. დევაძის წე-
რილი, რომელიც ახე მთავრდებოდა:

„...ჩვენ სიტყვას ვაძლევთ ამს. გ. დიმიტრიშვილ, რომ სანიმუშოდ ჩავატარებთ
კველა სამუშაოს და გადაჭარბებით შევასრულებთ ჩაის კრეფის წლიურ ავგვის.
რომ კიდევ უფრო ამაღლდეს საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა და ჩვენი ქვე-
ების ძლიერება“.

თვეშე ნაკლები გადის ამ წერილის გამოქვეყნებიდან და იმავე „ზარია კოსტო-
კა“ 17 ავგისტოს ნომერში იქცდება გიორგი ლიმიტროვის მიმართვა ამიერკავკა-
სიის კოლმეურნეობების ბრიგადირებისადმი:

„აღმოსავლეთის მიჯნაზე ამიერკავკასიის კოლმეურნეობები კრწერტულია
უჩვეულებენ აღმოსავლეთისა და ბალკანეთის ქვეყნების მშრომლებს, რომ მხოლოდ
საბჭოთა ხელისუფლების, საკოლმეურნეო წყობილების საფუძველზე, მუშათა კლა-
სისა და მისი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით არის შესაძლებელი
მხედარის ხელისუფლების მშრომელთა მშენებელი, მშენებელი თანამშრომლობა და მათი მა-
ტერიალური კათილდღეობისა და ეროვნული კულტურის აღმავლობა.

კოველი ზედმეტი ტონა მოსავალი, კოველი კარგად დაშუშავებული კეტერი
კიდევ უფრო განამტკიცებს საბჭოთა კავშირის ძლიერებასა და თავდაცვის უნარია-
ნობას, იგი არის ასალი დადასტურება საკოლმეურნეო წყობის უპირატესობისა
და ამიტომ ამაღლებს საბჭოთა კავშირის საკოლმეურნეო ავტორიტეტს და მის გამა-
რევოლუციონერუბენ ზეგავლენას კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებზე“.

სწორედ თ. დევაძის ამაღლევებელმა წერილმა შთავონა მსოფლიო პროლე-
ტარიატის თვალსაჩინო მოღვაწეს ეს სიტკვები.

* * *

იურდება და მტკიცება ქართველი და ბულგარელი ხალხების მეგობრობა.

თუ გადავხდავთ წარსულს, ჩვენი ხალხების ისტორიას, დავრწმუნდებით,
რომ ჩვენს მექოზრობას შორეული ფეხვები აქვთ.

„აგრ გაყაჩოს წითელი აღი,
მთების მსგავსება გადასარევი —
ჩვენ ერთმანეთის ვართ ტყუპისცალი
ბეღით, ბუნებით, ზღვით და პაერით...
ჩვენს მიწას ერთი მტერი ზარავდა,
მზე გაგვიინეს წაღმა მბრუნავი.
მაინც არავე ჰქონდა არავად,
მაინც იმედით ჰქონდა დუნაი“.

წერს ჯემა ქათაძე.

ქალაქ პლოვდივიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით, სოფელ ბაჩკო-
ვოსთან, აღმართულია ცნობილი პეტრიწონ-ბაჩკოვის მონასტერი, რომელიც მე-
თერთმეტე საუკუნეში აუშენების გრიგოლ ბაკურიანის ძეს.

ამ რამდენიმე წლის წინ ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამო-
ცემულ „ბულგარეთის არქატექტურის მოკლე ისტორიაში“ დიდი აღილი აქვს
დათხობილი მასალებს პეტრიწონის, მონასტერის შესახებ. ეს ძეგლი შეფასებუ-
ლია, როგორც ძეგლი მსოფლიოს სურომოძღვრების საოცრება. სწორედ მისმა
სიღიადებმ ათქმევინა მამია ვარშანიძეს მთრთოლვარე ხმით:

„და პეტრიწონი — ჩემი ბაჩკოვო,
ესე ტაოელ მმათა ნაშენი...
ო, რას მღადაღებ, ჩემო გამჩენო,
რას მოასწავებს ნეტაჟ ხმა შენი?...“

თვით პლოვდივში, სიღიადით ამ შეორე ქალაქში, ერთ-ერთი ცენტრალური
ქუჩა ბულგარეთში რუსეთის პირველი გენერალური კონსულის აღექსანდრე წე-
რეოლის სახელს ატარებს. ქალაქის მახლობლად არის ულამაზესი სოფელი წე-
რეოლოვი.

მხოლოდი შემთხვევაში მახვილგონივრულობით სახელგანთქმული გაბროვოდან ჩატარდა -
ეთით არის ქალაქი ლოვეჩი, რომლის ერთ-ერთი ქუჩაც, აგრეთვე ადგენერალი
წერეთლის სახელობისაა.

ლეგენდარული შიპკის დაფაზე ოქროსფერი ასოებითაა ამოგვარმდებულება
გარეთის განთავისუფლებისათვის დადგუშლი ქართველი მეომრების გვნერალ მინ-
გრელსკი-დადიანის, ოფიცირების ჭილაშვილის, ვაჩნაძისა და სხვათა სახელები.

პოპულარული ქართველი საბორი სიმღერა „სულიკო“ ბულგარეთში ფაშა-
სტური რევიმის დროს ბულგარელი კომუნისტების პარტიულ-რევოლუციური
პიშჩი იყო.

აქარაში დიმიტროვის ყოფნასთან დაკავშირებით მისი სახელი აღმოჩნდა
მემორიალურ დაფებზე პაონერთა სახახლებზე, ბათუმის ნაკობებადასახელმძღვანელი
ქარხნის შენობაზე, მწვანე კონცხზე იმ შენობაზე, სადაც ეს დიდი რევოლუციონე-
რი იხვენებდა. ბათუმში არის ღიმიტროვის ქუჩა, ქალაქის № 24 რესული საშუ-
ალო სკოლაცა და ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჩხეტენგის კოლეგიუმისაც აშ-
დიდი ადამიანის სახელს ატარებს.

საუკუნოდ დამძობილდენ აქარის ასსრ და ბლაგოევგრადის ოკრუშე.

ბათუმში არის ბლაგოევგრადის ქუჩა და რესტორანი „ბლაგოევგრადი“.

ქალაქ ბლაგოევგრადში არის ბათუმის ქუჩა.

აქარის ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის
მეგობრობის სახელობისაა.

ბათუმიდან რამდენიმე ათელი კილომეტრის მოშორებით დგას მესაზღვრეთა
საგუბავო, რომელიც ბულგარელი გმირი ჯარისკაცის ასენ ილივის სახელს ატა-
რებს.


სოფელ გონიოში იზრდება და მშენდება ჩვენი ხალხების მეგობრობის ბალი,
რომელიც, აღბათ, ძალიან მაღვე მეგობრობის ტყედ გადაიქცევა. და მისი ფოთლე-
ბის ჩურჩული და რტოების შრიალი თაობიდან თაობას გადასცემს ჩვენი დიდი მე-
გობრობის წარმტაც ამბავს.



მთავრობის სამინისტრო

შასტე ფიქრით,
ყველგან კთხები,
გულიც ნატვრას ემონება,
მშობლიური სურათების
თან დამყვება ფერთვნება.
აუგვია სხივით უბე
მინდვრებსა და მწანე ბორცვებს,
გზებმა თვალი მომაშუქეს
და ბავშვობა გამიცოცხლებ.
მეზობელო, ხათრი თუ გაქვს,
მირჩევნია ვარდის კონებს,
შენებურად,
ძველებურად
— „სად ხარ, ციცავ!“ — გამავონე.
სუფსის პირებს დაუკაროთ,
აღვიანს და ძეწნებიანს,
ეს მერცხლები განა უცხო —
ჩვენი ყრმობის მერცხლებია,
ჩვენი ყრმობის ფიქრებია,
გაბნეული უდარდელად,
ამ ბარდებში გვიპრეფია
მაყვალი და კურპანტელა,
ცხელი სილაც კვიჩიჩქნია
„შარგალიტის“ საპოვნელად,
გვირბენია, გვიძლერია
„ვარადა“ და „რაშოვ-რერა“...
წამო, გავყვეთ აკაციებს,
წინ გაგვიძლენენ მეგზურებად,
დამსიცხავს თუ გამაციებს,
მაინც ჩემად მეგულება,
სადაც ვარდიც ცრემლად დნება
და ქარების შიშინია,
სასაფლაო...
გარინდება...
და ჩურჩული: „მეშინია!..“

ეს წომ ჩემი „ნატვრის ხეა“,
„ჩიტბატონაც“ აქვე სახლობს,
აი, ჩემი საიცვია,
ბოჩოლების საბალახო,
ჩემი ფინის ლურჯი გზები,
(ხმებიც მესმის „ნადურისა“),
გულო, რისთვის მეურნები,
„გულო, ჩადექ საგულება!“
ა, ეზო,
მიწვდის ტოტებს
ვაშლი თეთრი მოსახლემით,
სად გამქრალა წელის ღიბე,
ჩემს გაფრენილ ყრმობასავათ?
რამ დაამრო ან ის დელ,
ან ის მოლი
რამ მოლია!
ხაძვი მზისკენ იშვერს ხელებს
და მიღიმის მაგნოლია...
აქ გაეხსნა ოქროს ღილი
ზეცას ნათელზოლებიანს
და ჩიტების მოძახილი
იავნანა მცონებია.
ხან აპავსი დღემ იმედით,
ხან უღმერთოდ ამაკენება,
გულში მაინც ვღიღინებდა:
— „სიყვარულო, ძალა შენსა“...
ახლაც რეკავს ჰანგი შენი
დაღამება-გათენების,
თბილზე-თბილი,
წრფელზე-წრფელი,
ნანატრი და საფერები.
შენ აშინე შუქით თვალი,
ჩემო ზეცავ, სულზე ტკბილო,
გული — ცხელი ნაღვერდალი
შენმა მიწამ გამიგრილოს!



აი, შენი აკეთი —
მაღლობათ და ვაკეთი,
ნარინჯით და ჩაითა;
ცვარში ნათამაშები
ატმები და ვაშლები —
გაიზედავ საითაც.
ველი მწვანედ დაღანებს,
ღმერთო, ნუ დააღამებ!
უყურებ და ვერ ძღები;
სიო ჰყვება არაკებს,
ვარდსაც ალერს არ აკლებს,
უღურტულებენ მერცხლები.
გაიხარეთ, ხნულებო,

კალთებმოხატულებო,
შარაგზავ და ბილიკო!
ეღიმება ბებიას:
ლაშაც შემატებია
სოფიკოს და თინიკოს.
აი, შენი სოფელი —
მოყვრისათვის გულდია,
ქარსაც შორს წაუდია
მისი ავის მსურველი;
მის მთებს, სხივით მოფერილს,
მის თიხნარს თუ ქვიშიანს,
მის ვაზს — ძველს და ჯიშიანს
მოემატა მზრუნველი.



საოცებო ტაძარი, შემართული რიხითა,
მისებნ მივიჩქაროდი, მიჭირდა თუ მიღხინდა.
ყანაში თუ წისქვილში, წყაროსთან თუ ვენახთან,
მელოდა და მიცდიდა,
მეძახდა და მეძახდა.
იღვრებოდა ზეციდან ჰანგი, რაღაც ღვთიური,
რაღაც არგავონილი, არაამქვეყნიური.
ყველა ომის მომგები,
ყველა ციხის ამღები,
მოდიოდა მდინარე ცეცხლოვანი ტალღებით...
ცაო, ისევ გამიღე იმ ოცნების ზეკარი...
ფერი ფერს დააწყვილე, ჰანგი ჰანგთან შეჰკარი,
კიდევ ერთხელ მაცრემლოს,
კიდევ ერთხელ მაღელვოს,
ყველას ვემუდარები — ეშმაკსა თუ ანგელოზს!
მაგრამ...
უფრთო ქარები, ფერწასული სერები,
აღარც ურჩი მდინარე,
აღარც შმაგი ჩქერები.
კოშკო უზენაესო — ალმასო და ქვითგირო,
ვილოცო თუ შეგრისხო,
ვიცინო თუ ვიტირო?

პუბლი ტერზის ტეატრი

როცა შარაგზიდან ვაღაუხვია და ფერდობზე აკლაქნილ საურმე გზას შეუევა, უკვე აღარ იცოდა, რამ უფრო დაღალა – გამოვლილმა გზამ, მოვისებებმა თუ ბუნდოვანმა, გაურკვეველმა და უიმედო მოლოდინბა.

ახლა რატომდაც ის არ აწუხებდა მხოლოდ, რასაც კველაზე უფრო უნდა შეეწუხებინა და რაიც კველაზე უფრო უნდა განეცადა – მშიბლიური სასახების, კერის ხელმქორედ ხილვის გულწრფელი, კოვლისძამტევი სისარული.

პირველსავე მოხახვევში შეჩერდა, სული მოითქვა, ოფლისაგან დაცვარეულ შებლზე ჩამოისვა ხელი, ორი თითით ამოაცოცა სიგარეტი შხარზე გადადებული კისტიუმის ჯიბიდან, მოუკიდა და ხარბად გააბოლა.

კარგახანს იდგა ერთ ადგილზე, ეწეოდა და თამბაქოს მოცისფრო ბოლში გახვეული, დაცლილ-გამოცარიელებული მზერით გასცემოდა თვალსაწყირზე გადაშლილ გარემოს...

ასეთი განცდა დაუკულა, რომელიც აქამდე არ განუცდა; რაღაც შეიძრა, აფუთფუთდა და ათრთოლდა მის მიყუჩებულ და გაცემულ სულში.

ირგვლივ სოფლის დამახასიათებელი სიწყნარე და ბლანტი სიმყერ-როვე იღვა. მზის ნარინჯისფერი სხივები შეგზნებოდა ჭოველივეს ირგვლივ, ხელიად დაქროლილ ნავჭე ნელ-ნელა, ნება-ნებად, ზანტად სწყდებოდა ხეებს ყვითელი, შემჭერი ფოთლები და ფრიალ-ფრიალით, ყაჭის ჩუმი შრიალივით ეფინებოდა ასეთივე ფოთლებით დაფარულ მიწას.

კარგახანს იდგა გაუნდრევლად. კუშტი, ნაღვლიანი სახით, ფიქრიანი, მზერით იცქირებოდა სადღაც, შორეთში და ხედავდა და ვეღარც ხედავდა, ისე იყო შინაგანად მოშვებული და ნასვამივით გაბურსალებული.

ბოლოს, როდის-როდის, შეტოკდა, საღათას ძილიდან გამოსულივით შეაშემუშნა, შეჭმუხვნილ შებლზე გაისვა ხელისგული, მიბრუნდა და, თითქოსდა თავისი ბავშვობის წამლილ ნაფეხურებს დაეძებსო, თავდახრილი და მიწასდაჩერებული, ზლაზენით გაუყვა გზას.

შიდიოდა ნელა, აუჩქარებლად, ყოველგვარი მიზნის, მიზეზის სურვილის გარეშე წასულივით და ფიქრობდა და არც ფიქრობდა აუზურული და და ვეღარც გრძნობდა, აღიქვამდა და ვეღარც აღიქვამდა. ჟილიური ტერიტორია, რომელიც უფრო და უფრო მიიწევდა წინ, მით უფრო მძაფრად უფრებული და უცარი, რომელიც გულს უმიმებდა და მისდაუნებურად აიძულებდა ეფიქრა და ედარდა იმ საფიქრალ-სადარდებელზე, რომელზედაც აუცილებლად უნდა ეფიქრა, ედარდა და ახლოს მიეტანა გულთან.

ირგვლივ კაციშვილი არ ჭაჭანებდა. ბუჩქებსა და ეკალ-ბარდებში ჩიტები დაცოცავდნენ, ჟღურტულებდნენ, სადღაც მონოტონურად დუღუგებდა ტრაქტორის ძრავა, ნიავს მოჰქონდა ძაღლის ყველისა და მამლის ფივილის შორეული ხმა.

შოულოდნელად მოწყვეტით შეჩერდა, ტუჩები მოკუმა და რატომჩაც ცას ააცქერდა. რამდენიმე წამს იდგა ასე, და რაღაცას იხსენებდა თუ რაღაცას გახსენებას ცდილობდა. შერე მსუბუქად ამოითხრა, დახარა თავი და ბედს დამორჩილებულივით განაგძო გზა.

შაღალი კაცი იყო, სუსტი, მაგრამ ჯანმრთელი, დაკუნთული და გერეტი. ახალგაზრდააო, ვეღარ იტყოდით, ისე ჰქონდა დანაოჭებულ-დაღარული შუბლი, საკმაოდ შეთხელებული თმა ნააღრევ ჭაღარას შეეფიზქა. სწორი, ჩამოქხილი ცხვირი, თხელი, უფერული ტუჩები და მოგრძო ნიქაზი სახდომიან იერს აძლევდა. თვალები თაფლისფერი ჰქონდა — ნაღვლიანი, ძეტყველი, ტოტებგანიერი შარვალი და სქელლანჩიანი შავი ფეხსაცმელება ეცვა, გაღელილი პერანგიდან ბანჯველიანი მკერდი მოუჩანდა.

ნელა მიიზლაზენებოდა წინ და დასხერებოდა მიწას, რომელიც ეხოლებ ახლობელი და მშობლიური უნდა ყოფილიყო მისთვის. მაგრამ თუკა რაბშეზე ფიქრობდა ახლა, ეს მიწა როდი იყო, არამედ სულ სხვა რამ, განუსაზღვრელად დიდი, მიწასავით სანდო, ერთგული, ახლობელი და ამაგრინებლად. მშობლიური... კარგახნის მერე მიზვდა, თუ ვინ იყო ეს, ვის გარშემო ტრიალებდა მისი ფიქრი და აფორიაქებდა. ეს იყო სწორედ ის ქალი, რომელიც ერთ დროს ყველაფერი იყო მისთვის — დედაც, გამზრდელიც, მარჩებალიც, გამწვრთნელი, მზრუნველი და ყველაფერი საერთოდ.

სირცხვილივით ერთბაშად შემოგზებულმა მღელვარებამ კრიჭა შეუკრა. ხორხი შეარხა და გაჭირვებით, ძალის-ძალად გადაყლაპა ნერწყვი... და ამ, როგორც იქნა, ახრი მიეცა, ახალ სიცოცხლესავით იშვა იმ ფიქრისა და გამოუცნობი სევდის მიზეზი...

ახლა იგი თავის დედაზე ფიქრობდა... ცდილობდა, მის დაღლილ, დამის სკლეროზიანი ბერიკაცივით გამოფიტულ გონებაში აღედგინა და მისხალ-ძისხალ შეეკონიერებინა დედის სახე, მისი ყოველი ნაკვთი, ხმა, ჩატულობა, წარმოედგინა კერის მწარე კვამლით გაჟღენთილი, გამოხუნებული კაბის ფერიც კი... რისთვის, რატომ სჭირდებოდა და უნდოდა ეს,

მანაც არ იცოდა, მაგრამ რაღაცნაირად აკვიატებულ, მისი ხასიათთან უტი. და ურჯუპი იყო ეს მოულოდნელად და შეუსაბამოდ აკვიატებული სურვალი. მაგრამ რაც უფრო ჯიუტად ცდილობდა, მით უფრო ჭრალის რხებდა და ამის გამოც იყო, წუხდა და განიცდიდა ასე.

ხელა, მფრთხალივით მიიწევდა წინ. აღარ მიეჩქარებოდა მაინცადა- მაინც, რაღაცნაც აქედანვე, წინასწარვე იყო დარწმუნებული, რომ აღარა- ვინ მოელოდა, აღარავინ უცდიდა, აღარავის ახსოვდა უკვე დიდიხსის წი- ნათ დასაფლავებული უპატრონო მიცვალებულივით. იცოდა, მისი დაბრუ- ხებით ვერავის გადარევდა სიხარულით. კარგად მოეხსენებოდა, რა დატო- ვა და რა დახვდებოდა. ის კი არ იცოდა მხოლოდ, ოუ რა ძალამ აიმულა მოქცეულიყო ასე, ერთბაშად, ხელის ერთი მოსმით დაენგრია ყოველივე ის, რაიც მისმა წინაპრებმა ხანგრძლივი დროის განმავლობაში მისხალ- მისხალ აშენეს და შეაკოწიწეს.

რაც უფრო უახლოვდებოდა სახლს, ნასახლარსა თუ პარტახს, მით უფ- რო დედავდა; წამდაუწუმ გადაჭქონდა ხელიდან ხელმი მსუბუქი ჩემოდა- ხი და გელივით უტოკვადა საფეთქელთან ღურჯი, წვრილი ძარღვა. აქეთ წამოსკვლა მხოლოდ მას შემდეგ გადაწყვიტა, როცა ყველაფერი გაახსენა, ასწოხ-დასწონა, როცა მიხვდა, ვალდებული იყო წამოსულიყო და ის მაინც ენახა, რაც დახვდებოდა, რაიც უამთა სრბოლას შემორჩენდა. ეს იყო და ეს! თორემ მეტი რა, აღარც სიხარული, აღარც მონატრება და საე- როთოდ არაფერი აღარ იზიდავდა აქეთ.

წისათ კი ხელ სხვანაირად იყო საქმე, მაშინ დიდი სიხარულით მოუწე- ვდა გელი აქეთ. ერთი სული ჰქონდა, როდის ამოვიდოდა, მოინახულებდა დედას, ეზო-გარემოს, ყველასა და ყველაფერს. მაშინ აქ დედა, ოჯახი და თბილი, ცეცხლიაუქრობელი კერია ეგულებოდა. ახლა კი უკვე აღარც დედა იყო ამ ქვეფანაზე, კერიაც კარგახანია გაციებულიყო და რაღა გასაკვირია. თუკი ახეთი კზნებითა და სიხარულით აღარ მოეჩქარებოდა აქეთ.

ასე იყო თუ ისე, მაინც აიღო ჩემოდანი და წამოვიდა. სადღაც, გულის ქარჭულში ჯერ კიდევ ეიმედებოდა, როცა ყველაფერს ვნახავ, ოდნავ მაინც დაგმმვიდები და გულს გადავაყოლებო, მოლოდინის მძაფრი შეკრძნება მაინც არ მექნებაო, მაგრამ ჯერ კიდევ გზის დასაწყისშივე, მატარებელში, შიხვდა და დარწმუნდა, ცდებოდა, ამათ რომ იყო მხოლოდ და მხოლოდ ამიტომ, ამ მიხეზით წამოსვლა აქეთ, სულერთია, მაინც ვეღარ მოუტანდა იმ ნახატრ სიმშვიდეს, რომელიც კარგახანია დაეკარგა და ახლა ამაღდ ცდილობდა ხელმეორედ მის მოპოვებას გულაცრუებული საყვარელი ქა- ლივით. ეს კი არადა, პირიქით, პირუკუ ხდებოდა ყველაფერი: უფრო წუხ- და, ფირიაქდებოდა და განიცდიდა.

გზამ თავი დააღწია გარსშემოჯარული მაღალი ხეების ტევრს, ერთ- ხელ კიდევ გაიკლავნა, გასწორ-გაიწვართა და პატარა ვაკეზე გაწვა. მან აუჩქარებლად ჩაუარა კარის მეზობლის ეზოს, შეუჩერებლიკ, წამით ვაზე-

და სამზადის სახურავიდან ამოკლაკნილ მოღურჯო კვამლს, და, ფოთომც /
არაფერი, ისე გააგრძელა გზა. არადა, აქ სამეზობლო ცეცხლისა და მოწყებულების
სიმღერისა და ცრემლის გამზიარებელი, ნათესავ-მოყვარე შესუფლებელი
ახლობელი სარდიონი ცხოვრობდა. მისგან კარგისა და სიგეთის შეტი
არაფერი ახსოვდა ზაზას და მის ოჯახს. ახლა ასე უბრად, დამდურებული-
ვით გავლა არ ეგებოდა, პაგრამ მიხვდა, აღარ შეეძლო მცელებურად შეე-
ლო ჭიშკარი, შესულიყო შინაურივით და კველანი მოეკითხა... .

ამას იქეთ უკვე მისი ეზო იწყებოდა, მისი სახლ-მიდამო და შემოგა-
რენი — მიგდებულ-მიტოვებული, სავალალო, გაპარტახებული და სწო-
რებ ამის გამოც გულდასაწყვეტი.

— ვინაა ნეტა, ა? — შემოესმა შორიდან ნათქვამივით ჭრუდ და მოუ-
ლოდნელად.

აღარც ახლა შეჩერებულა, ისე მიაბრუნა თავი და მიახედა უკან. ტფრუშულა ღობესთან ქალი მიძღვარიყო, ხელები ჩაევლო ღობისაფვის და
მას შეცემოდა დაინტერესებულ-ჩაციებული მზერით. მაღალი ქალი იყო,
კაფახდარა, სუსტი და გაჩხინკული, თმაჭადარა და სახედანაოჭებული.
იცნო, ანეტა იყო, სარდიონის მეუღლე.

წამით შეყოფმანდა, აღარ იცოდა, რა ექნა, უკან გაბრუნებულიყო, მი-
სულიყო მასთან, გამოლაპარაკებოდა, მოეკითხა, თუ ვითომც არ გაუგო-
ნიათ, ისე განეგრძო გზა. ბოლოს მაიც უკანასკნელი ამჯობინა, რადგა-
ნაც მიხვდა, აღარ ჰქონდა აღარავისთან ლაპარაკის თავი. იცოდა, ანეტა
მანამდე აღარ მოეშვებოდა, სანამ ბოლომდე, ძირისხირობამდე არ გამოი-
კითხ-გამოიძიებდა ყველაფერს, სანამ ბოლომდე არ მოუსმენდა და არ გა-
იგებდა ამხელა დაგვიანებისა და ასეთი შეცვლის მიზეზს... მას კი არ შეგძ-
ლო გაჩერებულიყო ახლა და დაწვრილებით მოეყოლა ყველაფერი სხვისი
აშბავივით მშვიდად და აუღელვებლად.

უხერხულობისაგან ოდნავ წელში მოხრილმა განაგრძო გზა და აი, მა-
სა ალაგეც გამოჩნდა.

გაჩერდა, ჩემოდანი დადგა და ვიღაცის თუ რაღაცის, სასწაულის
შიძლოლონებავით მიაყრო ჯითხვის, სევდის, კაუშნის გამომხატველი მზე-
რა ვზოს. იდგა გაუნძრევლად, აღარ სუნთქვახო, იფიქრებდით, იდგა ბოძი-
ვით და თითქოსდა, კიდევ ჰქონდა რაღაცის იმედი, თითქოსდა, ქრისტესა-
ვით მოახდენდა სასწაულს და ეზოში დედას დაღანდავდა ისევ — საქმეში
გართულს, მოფუსფუქსეს... თალხი, სიძველისა და რეცხვისაგან გამოხუნე-
ბული, კოჭებამდე ჩაფართხუნებული კაბა ეცმებოდა, სიგამხდრისაგან მოძ-
ჩარული; თაგზე ასეთივე თალხი ცახოცი ექნებოდა წაკონილი და
ცხოვრებასთან ჭიდილში დაღლილ, დანათჭებულსა და დამჭკნარ სახეზე
დარღი და სიმძიმილი ექნებოდა აღბეჭდილი — სიბერესავით გამოუცნობი
და იღუმალი.

და აი, ახლა, ალაგესთან მდგარს, სულ რაღაც რამდენიმე წუთის გან-

მაკლობაში გარკვევით, მთელი სიცხადით აღუდგა მეჩსიერებაში დედა: — სუსტი, კაფანდარა, წელში მოხრილი, თავდაუზოგავი, ჯაფისაგან და რილ-დაშაშრული ხელებით, სევდაჩაგუბებული, სანახვროდ ჩაქრალი ბუშტული თვალებით, ბამბის ფუთასავით მსუბუქი, ამატირებლმული ბუშტული ტოსული და საცოდავი...»

იდგა ამ მოლოდინით, უმწეო და გათანგული და ლამის დაჯერებინა, რომ ელოდა, უსაშველოდ ელოდა ეზოში მოფუსფუსე დედას, დედას თუ არა, სხვას მაინც, ვიდაცას, უცხოსა თუ ნაცნობს, მეზობელსა და გარეშეს, როშელიც მაინც გაეპასუხებოდა, შეეხმიანებოდა, შესცინებდა თუ დაუბლვერდა მიტოვებული ქალივით მდუმარე და სევდიან ეზოდა.

დრო თითქოს გაჩერებული საათივით იდგა ერთ ადგილზე და თითქოსდა ისიც ზაზასავით მოელოდა რაღაცას, რომელიც გარდასულის ხელმეორედ ხილვის ტოლვასი იქნებოდა, ალბათ.

პირველ, როგორც იქნა, გამოერკვა და ზმანებიდან ისეც ცხადში დაბრუნებული, შეიშმუშნა, შეინძრა, ბორძიკ-ბორძიკ გასწია წინ, გადააძიჯა დაბალ აღაგებზე და სასაფლაოსავით მღებარე, ეკალ-ბარდითა და ქემვით, ვეიმრა-სარეველათი დაფარულ ეზოში შევიდა... ბალახს წაემალა ოდისაკებ გაქლაკნილი ბილიკი, ჯინჭარი წამოზრდილიყო ირგვლივ — აყვავებული, ნაპრავანი ჯინჭარი, რომლითაც ბაცშვობაში დედა აშინებდა. ნაპატი-ებივით ერთბაშად წამოზრდილ თხემლის კორომს ოდა თითქმის დაეფარა და შორისადან წვიმისა და სიძველისაგან ჩაშავებული და ხავსმოდებული სახურავიდა მოჩანდა მხოლოდ...

სხვის ეზოში უნებურად ჩასული ქურდივით ფრთხილად და გაუბედავად ადგამდა ნაბიჯებს, ცდილობდა ეკალ-ბარდი და ხოზიკა აეცილებინა, რომლებიც შარვლის ტოტებზე ედებოდნენ: თითქოსდა აღარ უშევებდნენ წინ — არსებულთან, რეალობასთან პირისპირ შესახვედრად...

იგი მაინც ხელა, ჯიუტად ადგამდა ნაბიჯებს და საკუთარ თავთან ამბოხებულივით შებდლშეკრულს, შემუნვარესა და ტუჩებმოკუმულს, თვალებში გამოეცენობი სევდა და სიცარიელე ჩასდგომოდა... მიაბიჯებდა და ასე ეკონა, სიზმარს ხედავდა და ამ სიზმარში რატომდაც სხვის, დიდისნის მიტოვებულ ნასახლარზე მიაბიჯებდა... მერე აგრე იღასაც მიაღვა, იგი მოუდონებულად ამოიმართა მის წინ. გაჩერდა, თვალებმოწყვრული და გაოცებული მიაცეკრდა. კედლები წვიმას ჩამოერეცხა და გაეხუნებინა, აიგანზე ასახელელი კიბის საფეხურები ლამის არც მოჩანდა წამოზრდილ ვანზე ასახელელი კიბის საფეხურები ლამის არც მოჩანდა წამოზრდილ ვანზე ასახელებში, კარებზე ჯვარედინად აეჭედებინათ გაურანდავი ფიცრები — მიკვიმრებში, უპატრონო სახლის სიმბოლო...

იდგა ერთ ადგილზე გაუნძრევლად და თითქოსდა წინასწარ არ იცოდა, რა დახვედებოდა აქ და რისი მოიმედეც უნდა ცოფილიყო, ცივი, ჩუმი და, რა დახვედებოდა აქ და რისი მოიმედეც უნდა ცოფილიყო, ცივი, ჩუმი გაოცება აღბეჭდობა ერთ, ამოხემებულ წერტილს მიბჯენილ თვალებში. წამოფითრებულ სახეზე არცერთი ნაკვთი თუ კუნთი არ უთროთოდა. მხო-

ლოდღა ტუჩების ოდნავშესამჩნევი რხევა და თრთოლვა მიანიშნება
ადამიანს, რომ დელავდა, წუხდა, განიცდიდა, სუნთქავდა, ცოცხალი რომ
იყო და არა მიცვალებული, ზეზეურად მკვდარი... ურუცული
გიგლიორის

შეკრიალებული, მაღალი და ლურჯი გუმბათიდან შემოდგომის მზე
აცხენებდა — კვერცხის გულივით ყვათელი, შემოდგომის ბუზივით აბეზა-
რი და მწველი. მაგრამ იგი ვერც მზის მცხუნვარებს კრძნობდა და ვე-
ლაც წედავდა ვერაფერს იმ შესახელის გარდა, რასაც, სამწუხაროდ, ხე-
დავდა და არ სურდა დაენახა. იდგა წარსულით, ხილულით, დანახულით
გაბურსალებულ-გამოშტერებული, იდგა ღენჩივით და თანდათანობით,
ნელ-ნელა, ჯიუტად და აკვიატებულად, მანაკივით აღიქვამდა ყოველივესა
და ფერდაფერ იმას, რასაც ახლა ხედავდა, ამჩნევდა...

უეზზე დგომით რომ დაიქანცა, პერიკაცივით სხეულმოდუნებული
ნაშრედა კიბის სანახევროდ ჩამპალ საფეხურზე...

დიდხანს იჯდა. მერე, თითქოსდა რაიმეს რცხვენიაო, პირისახე ხელის-
გულვებში მოექცია და ვერ მიხვდებოდა კაციშვილი, რაზე ფიქრობდა
ახლა.

კარგახნის მერე ზანტად, დუნედ ასწია თავი და დაღლილი, მღვრიე
და ასრულად გადასახლი მზერა მიმოავლო ირგვლივ. კარგახნის ათვალიე-
რებდა ვინ იცის, რას. მერე მუხლებზე ზელისგულებდაყრდნობილი წამოიზ-
ლასხა და ნელა, თანდათანობით გაიშალა წელში, ახალფეხადგმული ბავ-
შვავით ბორძიკით გადაღვა ნაბიჯი და ეზოს თუ ნაეზოვარის დათვალიე-
რებას შეუდგა. დუნედ მიაბიჯებდა სიყვითლე შეპარებულ ბალაზებში,
რომლებშიც ყოველმხრივ გარსშემორტყმოდნენ ოდას, და ეს უკანასკნელიც,
ჯერაც აღმოუჩენელი კუნძულივით გარიფული იდგა, საცოდავი და ფრთა-
მოტებშილი ფრინველივით ჩამოფერთხილ-ჩამოხავსებული...

კადევ ცოტა, გაივლიდა სულ რაღაც რამდენიმე წელი და მისგან მხო-
ლილ დაბალი ფიცრებისა და მორების გროვალა დარჩებოდა. მას, ზაზას
კი შეელა აღარ შეეძლო, უკვე აღარ შეეძლო რაიმე გაეკეთებინა, მიეხედა
აქაურობისათვის, ამისათვის არც ნებისყოფა ვააჩნდა, არც ხალისი და
აღარც გული. ამათ გარეშე კი მნელი იქნებოდა, უფრო სწორად, შეუძლე-
ბელიც! ქალი არ იყო, ქალის სიჯიუტე და ნებისყოფა არ გააჩნდა, დაუფი-
ქრებლად, ჯიქურ შესდგომოდა საქმეს და ძველი, განადგურების გზაზე
შდგარი აღედგინა, მამაკაცი იყო და ძველის აღდგენას, ახლის აშენება
ერჩივეს! ცხადია, მას ესეც არ შეეძლო; მამაკაცი უგულო და უწადილო,
გამხმარი ხის ტოლფასი იყო. ცხადია, ერთი რამ კი იყო მხოლოდ
— თუკი გულით სურდა აქ დარჩენილიყო, მაშინ უნდა ხასიათი შეეცვალა,
უნდა ეცადა, უნდა აღედგინა, მოესწრო, ეცადა და დაღუპვისაგან ეხსნა
აქაურობა, გაპარტახებისა და დაღუპვის პირას მდგარი, ისევ სამოსახლოდ
უქცია. მაგრამ ამისათვის ერთი რამ იყო მთავარი — უნდა დარჩენილიყო
აქ. შავრამ რომ დარჩენილიყო, ამისი მიხეზი უნდა გამოჩენილიყო, ისეთი

რამე, ანდა კიდევ, ისეთი ვინოგარი, რომელიც ყოველგვარი ფიქრისა და ყოფ-
შანის გარეშე დატოვებდა აქ, მიაჯაჭვავდა აქაურობას. ეს იყო მთავარზე /
მთავარი და გადამწყვეტი ახლა, თორემ, ამის გარეშე, აღარც სურაფლული
ექნებოდა და აღარც ნებისყოფა ეყოფოდა.

... თავ უკან მოიტოვა და სამხადს მიაღა, გაუბედავად შეავლო მიკე-
ტილ უას ხელი, ჭრალით შეაღო და შეიხედა, — მჟღარტლისა და ნაცრის
ესოდენ ნაცნობი და ესოდენ მშობლიური სუნი ეცა მაშინვე და გაბრაზე-
ბულ ცნენივით შეარჩა ნესტოები... ირგვლივ სიბნელე იდგა, მხოლოდ
ალაგ-ალაგ ანათებდა აყალო მიწით დატეკბნილ იატაკს სახურავის ჭუჭ-
რუტენებიდან შემთჭრილი მზის სხივების კონა... სხვენიდან ჩამოშვებულ,
მჟღარტლისა და კვამლისაგან გამავებულ მსხვილ ჯაჭვებე გამჭვარტლული
თუკის კარადალი ეკიდა... სიმყუდროვეში აშკარად ისმოდა, თუ როგორი
ობებისთვის ნრავდა ჩრისილი ფიცრებს. კედელთან, დაბალ თაროზე, მი-
წის კეცები, ტუნისტებილი ღოქი, ქოთნები და დამტკერილი თეფშები ეწ-
ყო. იტვ აღგა ძველი, ვიწრო და მაღალი კარადა...

იგი უცხოსავით, წელზე დოინჯონგმული იდგა და მუზეუმში გამო-
ფენილ ექსპონატებივით ათვალიერებდა ყველაფერს... იდგა დადგხანს —
გაუნძველი, მღვარე, ტუჩებმოკუმული, სევდიან და წარმართული კე-
რპივით წამოუწევებული... და აი, მოულოდნელად, წარმოიღინა, მოუწვენა
თუ აშკარად გაიგონა: — ზახაია, გახურებული იქნება კეცი, გადმომიდგი,
ნენა! — ეს ლელა იყო, იგი ემახდა, უხმობდა, დედის სული იყო თუ თავად
იგი, უხორცო, უსხეულო და მარტოოდენ სულად დარჩენილი...

შეიმშემნა, შეტოკდა, შეცბა და შეკრთა, ხელისგულებით ამოისრისა
თვალები და ასე, ფართოდ გახელილ-დაჭეტილი თვალებით მიმოიხედა
ირკვლიუ. აქათდა, საიდან მეძახისო, აქათდა, იქნება დედა დავინახოთ, მა-
გრამ არა, აღარც დედა ჭაჭანებდა არსად, აღარც მოგუზგუშე მუგუზლები,
ცნელი ჭრა და აღარც გახურებული კეცი... იყო მხოლოდ მღვარება და
ჟისულებით ცივი, მსუსხავი იყო დიდიხნის ჩამქრალი კერის ცეკრაც.

ღრმად, დარწიანად ამოიხვეშა და თითქოსდა ეშინიათ, ფრთხილად
გადასჭრა ხამხადი და უკანა კარით ახორმი გავიდა.. კუთხემი, ძველ ნაბა-
გავებზე, თაგვებისაგან წამურტლული თივის ნარჩენები და ძროხისაგან
დაძლავნილი ჩალის ღერები ეყარა, იქვე, ხის კაუჭზე, გაწყვეტილი აპ-
ეურივით კონწიალებდა დამბალი ბაწრის ნაგლევი. კარის მახლობლად
ვინ იცის, როდის დაპობილი, ლპობაშეპარებული და სოკომოდებული შემა
ეყარა. იქვე უგდო დაუაგული, დაბლაგვებული და ტარგადატებილი ნაჯა-
ხი. ასორს კარი მოძრობდა და მთვრალივით ბალახებში ჩამხობილი,
ნელ-ნელა, შეუმჩნევლად დამბალიყო...

გაუბედავად გადაღება ნაბიჯი, ფეხევეშ ფიცარი ჩაუტყდა, წაიფორხი-
და, ლაშის არ დაეცა. შეიკავა თავი, გასწორდა წელში... კიდევ რამდენიმე
საბიჯი და წაქცეულ სასიმინდესთან შეჩერდა...

შუებლამდე წამოზრდილ ბალახებში უმოწყალოდ მიმოფანტულოფა-
ნენ კრაპიტის ნატეხები, ხის კოჭები, კავები, ლასტები... იქვე, თუმციმ ხის
ტოტები, დამპალი ძონი ეკიდა, რომელზედაც ჭიათურები დაფუძნებული
ბდების...

ლპობის, განადგურების, გადაშენების უმოწყალო სურათი გადაშლილი-
ყო ირგვლივ, ყველგან, სადაც კი გაიხედავდი... და იდგა მსჯავრდალებული
დამხაშავესავით ამდენი რამის მნახველი კაცი და თანდათანობით აღი-
ქვამდა, ისრუტავდა და ისისხლხორცებდა ყოველივე იმას, რასაც იქ
ხედავდა და ამჩნევდა.

გაბრუნდა, ოდასთან მიაღწია, აჭედილი ფიცრები ააგლიჯა, აივანზე
ააბიჯა და ფანჯარაში შეიჭრილა. ვერაფერი გაარჩია სიბრუნვეში. რამდე-
ნიმე წამს იდგა მაინც და კოუტად იცქირებოდა ფანჯარაში, მერე მკაცრი,
ღრჯუ გამომეტყველებით, მძაფრი, შინაგანი გაბოროტებით მოგლიჯა კა-
რზე აჭედებული ფიცრები, გვერდზე მიყარა და როგორც კი შეაღო კარი,
მაშინვე ნესტის, ობის ჩამოხუთულ-შედებული სუნი ეცა.

ოთახში გაუბედავად შეაბიჯა და როცა მძიმე ფეხსაცელებმა მორყ-
ეული იატაკი ააჭრაჭუნა, სხვის ბინაში შეპარული ქურდივით გაისუხა...
იდგა და დაძაბული გამომეტყველებით ათვალიერებდა იქაურობას: შეხრა
ზახტად, დაღლილად გადაპქონდა კუთხიდან კუთხეში, საგნიდან საგანზე-
კარის მოპირდაპირე მხარეს ხის საწოლი იდგა, მოშორებით — ბუხარი
აღმართულიყო, ბებრის პირივით გამოიყურებოდნენ ჩამტვრეულ-დაბზარუ-
ლი, კვამლისაგან გარუჯული აგურები... შეა ოთახში მდგარ მაგიდაზე გრა-
ფინი და ჩაის გათლილი ჭიქა-იდო. გრაფინში ჩარჩენილი წყალი ჭაბბივით
ჩამწვანებულ-ჩალორწოებულიყო... კუთხეში ძველი, დედებშემოვლეთი-
ლი წიგნებით სავსე ეტაჟერი იდგა... იქვე ძველებური სარკიანი დივანი,
რომლის ზემოთაც, კედელზე სურათები ეკიდა — შავ ჩარჩოში ჩასმული,
სამკლავიარო სურათები... იქ იყო ბებიას, ბაბუას, დედის და მამის ხუ-
რათები... წელზე ღოინჯი შემოიდგა და ტუჩებმოკუმული მიაჩერდა სურ-
ათებს... ასე მოეჩვენა, ოთხივენი მდუმარედ, სხვადასხვანაირი შზერითა
და გამომეტყველებით ჩამოსცექეროდნენ ზემოდან.

რატომდაც ბაბუას სურათზე შეაჩერა ხანგრძლივი მზერა... ურმელი,
დანაოჭებული სახე ჰქონდა ბერიკაცე, თხელი, ჭაღარა თმა, ფართო,
მაღალი შუბლი, ღიღრონი, წინწამოწეული თვალები, ხელის წვერივით
წვრილი ნიკაპი და მტაცებელ ფრინველივით კეხიანი ცხვირი. მოუჩვენა
თუ ხაძლვილად ასე იყო, შუბლშეკრული, მოწკურული თვალებით გაბრ-
აზებული იცქირებოდა სურათიდან ბერიკაცი, დარდი და დიდი, უთქმელი
საყვედური ედგა თვალებში...

ვეღარ გაუძლო მის მზერას, აარიდა თვალი, მაგიდასთან ჩამოვალდა
და სიგარეტს მოუკიდა... ხარბად, დანატრებულივით ეწეოდა სანახევროდ.

თვალებმიღულული, ნელ-ნელა და შეუმჩნევლად ინთემებოდა გახსენების
ბურახში.

თავისებური კაცი იყო ბაბუა — გულჩახვეული, კერპი, ურჯული და განაკვეთის მიმდევად ანი, უქმური, გაუცინარი და ქვასავით ჩუმი. მაღალი იყო, ყავარივით თხელი, კაფანდარა... ჩუმი კი იყო, მაგრამ ხანდახან რომ წამოუვლიდა და აჭინძელებოდა, მტრისას მერე მისი გაძლება. გაუთავებლად ისროდა პირპილგვათ მწარე სიტყვებს და ვინ იცის, ვისხე გაბრაზებულ-დაბოლ-ძილი, ვისხე იყრიდა გულის ჯავრს. შრომა კი უყვარდა, მუშაობაშიაც ავლებდა თავის უცნაურ ხასიათს. ისე ეინიანად და კერპულად ჩაუკიუ-ტდებოდა საქმებს, სანამ ბოლოს არ მოუღებდა, აღარ მოეშვებოდა, როცა მუშაობდა და მარტოდ დაიგულებდა თავს, მხოლოდ მაშინ იყო მხია-რული. დიღინებდა თავისთვის ჩუმ, სხვისთვის გაუგებარ და ვაუგონარ მელოდიას და კაციმვილი ვერ გაიგებდა, მართლაც სიმღერა იყო ეს თუ გამოვინარდა, მხოლოდ მისთვის გასავები და ახლობელი, გულიდან ამო-ხეთქილი დაღადისა... ხარები ჰყავდა და ჰქონდა კარგად გამართული ურეში... კველაზე და გველაფერზე უფრო, შეიძლება, ხარები უფარდა ამ ქეფანზე, ვინ იცის და, იქნებ მათთან ხანულობდა საერთო ენასა და გუ-ლის ხითათს. რომც მოგველა, არასდიდებით ჯოხს არ შემოჰკრავდა პირ-უტყვეს, და ადამიანის აღერსსა და მოფერებას გადაჩვეული, ისე უფერებ-ოდა და ეხიფვარულებოდა მათ, როგორც შვილიშვილებს...

კაცია რომ თქვას, ბაბუა არც მას ექცეოდა ცუდად, თუ არ ეფერებოდა, არც უწყრებოდა სამაგიეროდ... მხოლოდ ერთხელ იყო, უმოწყალოდ რომ სცემა ბაბუამ და ეს ახლა, ამდენი წლის შემდეგ, ძალლის ნაკბენიგვათ ვაა-სენდა ზაზას. თუმცა, არც არასთეს დავიწყებია, რადგანაც დარწმუნე-ბული იყო, დაუმსახურებლად რომ დაისაჯა. არადა, ბაბუა მართალი იყო. იმ დღეს კალმეურნების კალოზე სიმინდი მოუწინეს, ურეში დატვირთ-ეს და ბაბუამ და შვილიშვილმა სახლისაკენ გამოსწიეს.

პირთამდე ტაროებით სავსე ურეში შძიმედ მოჭრიალებდა გზაზე. ხარ-ები ზანტად აღვამდენენ ხაბიჯებს და თავისთვის ზანტად იცოხნებოდნენ...

გზაზე ბაბუას მეზობელი გამოელაპარაკა... სანამ ბაბუა ურეშს წამოწე-ოდა, ხარისმა მისახვევამდე მიაღწიეს. აქ შარაგზიდან უნდა ვადეხვიათ და აკლაქნილ გზას შეჰქოლოდნენ. ნაწვიმარზე გზა ატალახებულიყო, სლიიდ აღმართზე ხარებს ფეხი უსხლტებოდათ, უჭირდათ და ქოშინებდნენ, ერთხანს იწვალეს, მერე კი, როცა ილაჯი გაუწყდათ, როცა დარწმუნდნენ, ვერასდიდებით ვერ აიტანდნენ აღმართში პირთამდე სავსე ურეშს, ვაჩერ-დნენ და უიმედობა და სასოწარკვეთილება აღებეჭდათ დიდრონ, წყლიან თვალებში.

ზაზა გააფრთდა, შეუტია ხარებს, მუშტები და წიხლები ჩააზიდა ფე-რდში, ხელები ეტკინა, კადვე უფრო გაბრაზდა, კბილებდაკრეჭილმა ჭოტი შეატეხა ხეს და ბრაზისაგან აცახცახებულმა გამეტებით დახცხო.

სარებმა იუცხოეს დაუმსახურებლად დაკრული ჯოხი, უკანასკნელი
მოიცდომეს, დაიძაბნენ, გაიწიეს, მაგრამ მაინც მვრა ვერ უგვირებულის
რომლის თვლები უფრო და უფრო ეფლობოდა ტალახში... აპეულება
წაუჭირეს ყელში ხარებს, ახრიალზენ, კისრის ძარღვები დაებერ-დაუსივ-
დათ, თვალები დაძაბულობისაგან გადმოცვენაზე გაუხდათ. მერე მუხლებ-
ზე წამოიჩიქეს... ზაზა კი სცემდა და სცემდა...

— შეჩერდი... შენი! — მოესმა სიბრაზისაგან მოგუდული ხმა, გაჩერდა
და მიიჩედა.. ყაბალახის ბოლოების ფრიალით, მუშტების უილაჯო ქნევით
მორბოდა გზაზე გააფორებულ-გაფიოთრებული ბერიკაცი და თვალები უე-
ლავდა შევუბებული სრაზისაგან: — რას სჩადიხარ, შე ყურუმსაღო?! რას
ჩადიხარ-შეთქი?! — მივარდა აქოშინებული ერთ ადგილზე გახევებულ
ზაზას, ბრაზისაგან გადარეულმა გამოსტაცა ხელიდან ჯოხი და დასცხო და
დასცხო შიშველ კანჭებზე. სცემდა და ბოლმისაგან მოგუდული ხმით, ქმე-
ნით სცრიდა კბილებში დროდადრო: — ესეც შენ, ესეც შენ!..

გაქცევა და თავის შველა არც უცდია ზაზას. იდგა გაფიოთრებული,
ცახცახებდა, იკვნეტდა ტუჩებს და უხმოდ ტიროდა, ლოყებზე სველ ზიგზა-
გებს ტოვებდა კურცხალი, ყოველი მოქნევა, ყოველი დარტყმა უფრო
სწყინდა, ვიდრე სტკიოდა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



• •

როგორ მომენატრე, ფიქრი,
ჩემი ურთამოტეხილო ფრინველო,
შენ რამ არ გწამდა აღრე,
იმ სიკვარულზე უნდა გიმდერო.
ის ცეცხლი აგინთო თვალებში,
ის ეჭვა—ორლესული დანა,
უკვე რახანია ჭოროხის პირას
ყვითელი მოემაღა ყანას.

ჩამოწვევა,
დამძიმდა ნიხლი,
ძვირის დაინავ მიგარეს,
ცენტრული მოზელილი კვერით
მითხრეს, სხვას უღებსო კარებს.
ის ხელ მოუჭრიათ თურმე
პატარა, მიკარგულ ჭალაკს,
საღა ნარ, ფოთოლის სინაზევ,

ტკივილი მარყუჟივით დამაქვს.
როგორ მომენატრე, ფიქრი,
ჩემი ფრთამოტეხილო ფრინველო,
შენ რომ არ გწამდა აღრე,
იმ სიკვარულზე უნდა გიმდერო.

მეაპვენის ლოცვა

არა პქონდათ ომის დმერთებს
ჯილაგი და ნამუსი...
ხან შამშილი მაწვდომებდა,
ხანაც შავი სამოსი.
შორით თქვენგან ის დღეები,
იმა წელთა საკანი,
როცა არვის არ სჭირდება
შეაკვნე და აკვანი.


• •

მელოდება ჩემეული ჩიხი,
ვაზის ლერწით დაბურული ეზო,
შენი ბაღი, აღუჩების ბაღი,
ნეტავ კარგო, რად მიყვარდა ეგზომ,
ისე წენარი, როგორც ფოთოლცვენა,
მშვიდი, როგორც შენთა თვალთა ელვა.
შეაღამეს გადუქლია უკვე
და ცრიატი ბინდისფერებს ცელავს.
მელოდება ჩემეული ჩიხი,
შენზე ფიქრი რახაირად მაკრთობს,
რა წავიდა,
რომელი გზით ვსდევდე,
მხოლოდ წელი,
ნუთუ წელი მარტოდ?

შენ გვირილების ბილიკს მიენდე,
გზად მოგვებოდა თვალებმაყვალა,
მზემ მოცელქარმა, თუ მან მზით სავსემ,
რა ლიმილები შემოგაყარა.
როგორ აგანთო, ვერ გაპატივ,
წინათ წყნარსა და ვაჟს მოკრძალებულს,
მოგებალ, შენდობა არ გითხოვია,
მთრთოლავ ბაგეზე გადაწაფებულს.
ვაი, რა ცედად თურმე გიცანი,
ან მე გაგწირე ალბათ მოკეთე,
მე ერთი ციხე მქონდა და ისიც
ასე შიგნიდან როგორ მოგვეთე?
რა ცეცხლიანი თვალებით მიმზერ,
აწ ჩვენი გაყრა ვინ დამაჯეროს.
რა ცეცხლიანი თვალებით მიმზერ,
ამ სურათიდან, ბავშვობავ ჩემთ.

არშაბის სავდა

მრავალს მოპხადა სიცოცხლეს რიდე,
— სიკვდილი არვის არ დაერიდა.
ბედნიერია ადამის მოდგმა,
ვინც ფეხზე დგას და ვინც ფეხს აიდგამს,
რომ ვიცით ხსოვნა და დავიწყება
ბედნიერება ამით იწყება.
...ნახეთ არყის ხე ასე კეთილი,
წუხილის ღედა და გაკვეთილი,
ის ჩვენთან ერთად ჯვრებად მოკვდება,
უნდა, არ უნდა, ჩამოარიგებს,
უნდა, არ უნდა, დაიმახსოვრებს
ჩვენი სიცოცხლის მართალ თარიღებს.
ჯერ ჭანაშოლტილს,
(ნახვა მადლია)
სასაფლაოთა ჯვრებად გათლიან...
ფველაზე ღიდი სევდა სცოლნიათ,
მოძმის და კაცის ერთად ტირილი...
ისინი გაჩნდნენ ქვეშნად ცოდვილი.



ახალი როვაცის ვრაპშეთები

წინა დღეს დავთქვით, პარასკევს, სადამოს ჩეეულებრივ შეგობრულ სუფრა-
ზე შევკრებილიყავით. შალვამ ორჯერ გამაფრთხილა, წინანდებურად არ გავა-
პაროთ. დღეს დაღით თეა ბაზარში იყო და ვიცოდ, უჩემოდ არ ისაღილებდა.
ერთი გულით კადვებ შეჩერენებოდა, რომ მას შევუყვარდი, მაგრამ იმასაც ვამჩ-
ნევდი, ჩემდამა ცივადაც იყო განწყობილი. არ შემეძლო ამ უკანასკნელს შევრი-
კებოდი და სულ კელში მომებჯინა. იმასაც ვვრძნობდი, უჭვი შეღავდა, უჩემოდ
ხადმე ხომ არ დაღის-შეთქი.

შალვა კარებოან დამხვდა, რომ არსად წავხულიყავი.

— შენ საკუთარ ჭერაზე არ ხარ! — მითხრა მან.

— რატომ გვთნია? — გავიცინე ნაძალადევად.

— ის კოუ შენთანაა?

შევხედვ.

— არის!

— ხომ არაუკრია, ა?

— არა, რას ამბობ?

— რატომ არ იშორებ?

საათზე დავიხედვ, ვერ ვუთხარი, შემიყვარდა-მეთქი. ოთახში გავიარე.

— როდის გამაცნობ?

— დაინტერესები?

— ჰო, ამ საქმეს მეტი კურადღება სჭირდება, მომავალი არ გაიფუჭო ვა-
რდაც კამბიტსათაგას!

მეწინა, მაგრამ მაინც ვკითხე:

— ხომ არ გითქვამს?

— არა, მაგრამ ჩვენი ქალების ამბავი ხომ იცი?

— რა, გაიგე?

— ეჭვიანობენ... გატყობენ, შეევარებული ხარ! სული, სული ამომხადეს, გვ-
იოდინება და გვითხარით.

შესიამოვნა, შეგობრული კურადღება. საათზე ისევ დავიხედვ — ექვსი შეხ-
რულებულიყო. ათ წუთში შინ უნდა ვიყო, თორემ თეა ინერვიულებს. მართალია,
არ მესავედურება, რატომ დაგაგვანდაო, მაგრამ თვალებში ვატყობ გულის-
ტკივილს. შალვამ შემატყო, მეჩქარებოდა.

— შენსას არ იშლი?

— მეცოდება, სხვა არაფერი, ვუთხარი, ადრე მოვალ-მეთქი.

- ამხანაგებს რას ეუბნები?
- უთხარი, შეუძლოდ გახდა-თქო.
- იქნებ შეგივერდა, ა?! — შემომანათა შალვამ თვალები. ფანჯარული ხურე და პიჯაკი გავისწორე.

- ძალზე შორს შეეტოვეთ! — მოვაჭერი სიტყვა.
- პო, კარგი, არავერი მეტქმის, ოღონდ შენ არ შეტოპო უფრო ღრმა!

გავიცინე, მაგრამ რა მაცინებდა!... არ მითქვამს, მივდივარ-მეთქი, კარებთან მივედი, გამოვალე და დაველოდე, როდის გავიღოდა. ბერე კარი ჩავკეტე და კი-ბერე სირბილით დავეშები. გული მითართეალებდა, კიბეზე არავინ შემსველნილა. თე ათ წუთში შინ უნდა კვოფილიყავი, დარეპვა დამავიწყდა, თორებ კარებს თე კამილებდა. ალბათ, შეწუხებულია, რომ არ დაუკრეპ-ნაბიჯს აუგინქარე. საღილი გამილებდა. ალბათ, შეწუხებულია, რომ არ დაუკრეპ-ნაბიჯს აუგინქარე. საღილი მზად დამსვლება, სასმელს კიფილი, ტებილეულსაც. ხელცარიელი შინ მისვლა ვერ წარმომედგინა. მაღაზიაში შევიარე, მერე შოკილადსა და ნამცხვარს კონიაკი დავუმატე.

უცნაურები ვართ, ვინმებ რომ გაიგოს, ორივე გავილანბლებით, სამინვე იმას იტყვიან, ერთად ცხოვრობენთ. რაა დასაძრახისი, მე თუ იგი მიყვარს და კპატრონობა... დაჩაგრულია, ცხოვრებაში კარგი არავერი უნახავს, შიმშილში გა- ზრდილია, ჩაცმა არ ჰქონია და გავლა... მასთან ერთად კინოში წავალ, თატრში, კონცერტებზე...

კიბეს სირბილით შევყვევა.

- დავით, — კარი გამოაღო მეზობლის ქალმა, — სტუქარი გვანს?
- სტუქარი?! — გავიკირვე, თუმცა თვალებში გატყობილი, იგი განცემ მე- კითხებოდა.
- პო, დღეს ლამაზმა გოგომ გააღო კარი, დავუდარაჯდი, უცხო არ იყოს, სახლი არ გაქურდოს-მეთქი.
- ოჲ, მომაგონდა, სოფლიდან ბიძაშვილს ელოდი.
- სხვათაშორის, იგი გუშინაც დავინახე, კიბეზე ჩადიოდა, ვერ მიგჰვდი, კისთან იყო.
- გუშინ ჩამოვიდა, წუხელ ნათესავთან იყო და დღეს ჩემთან უნდა მოხე- ლიყო, თუ იცი, შინაა?
- კი, ახლახან მოვიდა!

— გმაღლობთ!—უთხარი და გავეცალე. გული შემიქანდა, აქამდე სად იყო?... კარი გავაღე და ნავაჭრი იქვა, დერეფანში, პატარა მაგილაზე დავწყვევ. ჩამინები არ ისმოდა, თეას ოთახში შევიხედე, დივანზე იწვა, პირი კედლისაკენ ჰქონდა, სინახს-მეთქი, გავიფიქრე, და გმოვბრუნდი. ქვაბში ჩავიხედე, ცარიელი იყო, არც ხორაგი ჩანდა, ბაზარში არ იყო ნამყოფი. გამიკირდა, ხელი არავრისოთვის არ უხლია, შევეცალე, გონი მომეტრიფა, შშიოდა, მაგრამ ვიღას ახსოვდა, გაი- ღვიძებს და რასაც მეტყვის მოვიტან-მეთქი.

სამინებელში საწოლზე გულაღმა გავიშოტე, თუმცა ვერ მოვისვნე, თვალ- წინ თე მედგა, ისეთი როგორიც პირველად ვნახე სადაბაზოში. მერე როცა გონებრივი... ვხედავდი მის თვალებს, მომღმარ ბავებს... სული დამიღისა. სი- ტყვას შევაპარებ, ბოლოს და ბოლოს, ჩემი ხნის კაცს თვრამეტი წლის გოგო შევრთავს. კველაფერი ბედია, რა კუყოთ, რაც თაქს გადახდა, რა მისი ძრალია, ანდა რა ხატებულია, თუ გიყვარს. წამოვდექი, კართან ფრთხილად მივედი. ვა- ცოდი, ეძინა, მაგრამ სარკეში მაინც ჩავიხედე და თბა გავისწორე, ბავშვივით ვიქცეოდი, კარი შევაღე, ოთახში ფეხი რომ შევდგი, გავქვავდი — კაბა წელამდე

მოშიშვლებოდა და ხელები მუხლებშვა ჩაეყო, თვალებზე წელები ავიდან და
გამოვტეხდი. შეძრცხვა, არ გაეგო, რომ იგი იმ მდგომარეობაში ვნახები

ძნელი ყოფილი ნებისყოფის სისუსტე. აფორიაქტებული სული მაიცჭარუტებული
სეკენებიდა, რაღაც ავისმომახსავებელი მელანდებოდა. შიშილი რა საშემტკიცებული
საკუთარი თავიც არ მახსოვდა. თვასთან უვევდი.

იგი მარჯვენა მხარეს იწვა, ოდნავ პირამიდილი, მარცხენა მხარი თორქ-
მის ლოფაზე ედო. ბალიშზე დაღებული ლოფა ოდნავ წამობურცოდა და ტუჩები
გაეღლ. ბაგები ხელი ჰქონდა, მარცხენა ხელი ყელთან შემოედო. წელი გაზნე-
ქოდა და თებო ჩამოქანდაკებულს მიუგავდა. წელამდე აწეული კაბა წინ ტალღი-
სებურად ეშვებოდა. მარჯვენა ფეხი გაწვართული ჰქონდა, მარცხენა — უცხლში
მოხრილი. ვერ ვატყვა, ვინ იწვა იქ. ეშმაკი თუ სილამაზის ღმერთი... ფეხი
ავითრივ, მაგრამ მაინც მისკენ მივიწევდი.

არ უგრძენია ჩემი მახლოება, არ შერხეულა, მშვიდად სუნქავდა... ვერა,
თავი ვერ შევიძაგრე და საწოლზე დაგვეცი — კოცნით დავუფარე სახე, თვალები,
თმები... იგი შექრთა და შეშინებული შემომხედა, სახე დაედრიცა.

— თვა... თვა... თვა მიყვარასარ, გესმის, მეტის მოთმენა აღარ შემიძლია,
მიყვარასარ! — ქურნელებდი და ვკოცნიდა...

კარგი ხანს გათვალისწილებული ვიწევით, თავი მის ყელთან მქონდა ჩარგული და
ნათლად კვრძნობდი, რაც მოხდა. იგი არ ინძრეოდა. ცოტა ხნის შემდევ ლოფაზე
ხისკვლე ვაგრძენია — იგი ტიროდა.

თავი ჩამოწმეოდა.

— თვა, ნე სტარი, თვა!

საბრალო თვალებით შემომხედა.

— თვა, მიყვარასარ, გესმის, მიყვარასარ! — ერთსა და იმავეს ვაშეორებდა.
შერე წამოვდექი და გვერდით მიუკუქი. სხა არ გაუღია. მიყვრებდა საბრალო
თვალებით და ეტობოდა, თავს დამნაშავედ გრძნობდა, — თვა, უფხარი მე —
რა კარგი ხარ, თვა!

მან თვალებზე ხელი აიფარა.

— კარგი, სირცენვილია, ნე ტირი!

— არა, არა!

— თვა, შენ ჩემი ცოლი ხარ!

— არა, არა!

— თვა, არ ვიყვარვარ, თქვი!

— რატომ?... რატომ?...

— თვა, ნე გესმისა, ხვალ ყველა გაიგებს, მოგვილოცავენ. შევეოვდათ
მამიდაშენსაც!

— არა, არა!

— თვა!

იგი აქვთინდა.

— კარგი, თვა, ნე ტირი! — სახეზე ხელები მოვაშორე და თვალებში ჩავა-
ქერდი, — ნე ტირი! ავდგეთ, გაბედნიერება აღვნიშნოთ, შენ უკვე ჩემი ხარ,
ხომ ხარ?

იგი დუძდა.

— თქვი!

ისევ საბრალო თვალით შემომხედა.

— თქვი, თვა, რომ ჩემი ხარ, — წამოვაყენე, წინააღმდეგობა არ გაუწევია,
გადმოვიყვანე საწოლიდას და მაგიდასთან სკამზე დავხვი, წინ დაფუქები, — შენ

ნები სარ, შენს თავს ვერავინ წამართმევს, ხვალ ფელაფერს გიყიდი, ურთად წა-
ვიდეთ მაღაზიაში, ოღონდ ცრემლს ნუ დამანახება!... ახლა სუფრას მე გვაწ-
ყობ, შეხ იჯექი, რაც არ გვაქვს, გვიქცევა და მოვიტან!.. ხომ არ იშრიჭმილი
მან თავი ჩაქინდრა.

— რო, ნუ იტირებ!

შეკრუნდი, საწოლზე კაბები იყო გადაფენილი და იქვე ფეხსაცმელები ვწ-
ყო, რატომძაც გულზე გამენწლა, ასე გამგზავრების წინ იციან ქალებმა, რომ
არაფერი დაკავიწყდეთ — ერთად დაწყობენ და შეძლებ ჩაალაგებენ ჩემოდანში.
ჩემი უფრო არ გამიმხელია, ხელში, რომელი კაბაც მოყვა, ავიღე და თვასთან
შიგიჭრი, ავუენე და გადავაცვი. ოდნავ განალისება შევატყვე გავთამაში, გუ-
ლისპირი შევუკარი და ლოფზე ვაკოცე.

— მე სუფრას გავაწყობ. შენ თმა დაიგარცხნუ, — ვუთხარი და ისევ ვაკოცე-
შან გაიღიმა.

— იქნებ, ნხვა კაბა გირჩევნია? — ოღონდ მას გაეღიმა და ათას კბას ჩემი
ხელით ჩავაცმევლი. მივვარდი საწოლთან, კაბა, რომელიც მის ტანზე არ მინახავს,
ხელი დავავლე და მივარბენინე. როცა კაბას იხდიდა, ორივე გავშეშლით და კაბა
გაშივარდა. ჩავიტეროდი თვალებში და გვიცხიდი. ხმას არ იღებდა, მინავლებული
თვალები დაეხუჭი. უცებ ხელი ვუშვი, იატაზზე კაბა ავიღე და გადავაცვი, სარ-
კესთან მივარბენინე, ჩავახედე და შევატრიალ-შემოვატრიალე.

მან გაიცინა.

— რა იყო, არ მოგრონს? — გავიცინე მეც.

— უკუღმა ჩამაცვი!

— უკუღმა?! ვაი ჩემს თავს! — თავზე ქელი შემოვირტყი, — კაცი ვერ გატ-
ვებს ამ ქალებს, ხად არის შესაკრავი? — იგი გასუსტელი შიგურებდა, თითებ-
გადაფლობილი ხელები შეცელზე ედო. შევატყვე, თავად არ აპირებდა კაბის გან-
დას, თავი გავაქნიე თითქოს შეწუხებულმა, — ვერაფერი გამიგია, როგორც გინ-
დას, ისე ჩაიცი, — იგი სარკეს მოშორდა, კაბა გაიხადა, მე ხელებზე წავეტანე,
— თეა, მაკოცე, თორებმ..

იგი გადმოიხარა და მაკოცა.

— ერთი კიდევ!

თხოვნა შემისრულა, სიხარულისაგან შევუხტი და კინაღამ მაგიდა გადავა-
ფირავე. სამზადში შევვარდი. ნამცხვარი ლამბაქზე დავაწყვებე შოკოლადი — თვ-
ფშეზე, კონიაკი იღლიაში ამოვიჩარე და გავიტანე. თეა სარკეში თმას ივარცხნი-
და, მივვარდი, ლოფაზე ვაკოცე და ისევ სამზადში შევვარდი. ამ ღლებს მეველი სოუსი
არ შეევერვბოდა, თეას საღილი უნდა გაეკეთებინა, მაგრამ ვერ ვკითხე, ხელი
რამ შეუშალა, ან სად იქო, პიჯაკი გადავიცი და მაღაზაში გავვარდი. ბეღზე,
მოხარშეული ქათები დარჩა, კიყიდე ქათაში, თევზი, თორნის პური და დავბრუ-
ნდი. თეა კალთაში ხელებნაწყობილი მაგიდახთან იჯდა.

— ახლავე, თეა, — დაუმახე მე.

ქათაში ხელმეორედ მოვხარშე. თეა მოადგა სამზადის კარებს, მაგრამ
გაგაბრუნებ, რომ ხელი არაფრისთვის ეხლო. პური დავჭერი და გავიტანე. თევზი
შევწევი. როცა სუფრის გაწყობას მოვრჩი, ახალი პერანგი და კოსტუმი ჩავიც-
ვი, პალსტუხს გავიკეთო და თმა გულდაგულ დავივარცხნე, სარკეში ჩაიგადლე,
თვალი ჩავუკარი თრეულს და გავეღი.

— აბა, თეა, სუფრასთან! — ორი სკამი ერთმანეთს მივადგი და ერთზე თეა
დავსვი, მეორეზე მე დავჯექი, — რას მიირთმევ?

თეამ გულებრყვილოდ გაიღიმა.

— ქათამი, თევზი?.. ნეფე ვარ, შემხედე, თეა, ხომ კარგი ბიჭი ვარ?.. ა?... /
თვალი იხევ ჩავუკარი... თვალი ჩაგუგარი და ქათამი დავხლიჩე, — ღვერდებაზე
ბარგალი, ა?..

თვამ თევზე ქათამის ბარგალს დახედა. ვერ შევძელი, მის სახეზე წერილი იყო
დამტკახას. იგი ახეთი არ იყო ამ რამდენიმე დღის წინათ. მას თითქოს წევმას
ყოფებაც არ უნდოდა, თითქოს ჩემი შოქმედებაც აკვირვებდა, არ მსიამოვნებდა
ძინა შემთხვევაც... კონიაკი ჭიქებში ჩაშოგასხი, ჭიქა მივუჭახუნე და ვაღლებრ-
ძელვ. ჭიქისათვას ხელი არ უნდია.

— დალივ, — გვთხარი მე, — თორემ გაებრაზდები! — ჭიქა მივეცი, —
გავიმარჯოს, თეა, ორივეს გაგვიმარჯოს! ბედნიერი ვიყოთ!

თვამ სახეზე ხელი აიფარა.

— აბა, ერთად დაელიოთ, ერთი, ორი, სამი... — კონიაკი გადავკარი, თვამ
ჭიქა ტუნთან მიიტანა. გაგვიმარჯოსო, არ უთქვამს — მოსვა და დაღვმას აპირ-
ძლა, — მოლომედე დაბუცალე!

თვამ ჭიქა დახცალა.

— ნამცხვარს დააყოლებ თე შოკოლადს? — ვპიოხე.

ტელეფონმა დაიწერიალა.

— გინძენთ!

— დავით! — ნამებმა კურმილში, სამსახურიდან იყვნენ.

— გინძენთ!

— როგორი ხარ?

— მე, კარგად, თქვენ რა პქენით?

— ნებტორანში ვართ, სუფრა გაშლილია!

— კარგ ღროსტარებას კისურვებთ!

— ხომ არ მოხვალ?

— არა!

— ნეკენ ვაპირებთ გამოვლას!

— ჰა, ჰა, ჰა... — კარგია, მაგრამ. ვწევარ!

— რა შეხდა, სახმელს წამოვიდებო!

— სახმელი მაქა, ოღონდ... — სამალავი რა მქონდა, მოსულიყვნენ, მაგრამ

ეს სადამო თვასთან მინდოდა გამეტარებინა, — სხვა დროს!

— კარგი, აკრე იყო!

— ნე მიწევნთ!

— ჰო, კარგი! — იცოდე, შენს სადღევრძელოს შევხვამო!

— გმაღლილთ! — გავტრაზდი, ხული ყელში მომებინა, — იგი ლაპარაკის
გუნებასე იყო. თეა შიშით მიფურებდა, ფიგრძენი, არც მას უნდოდა ვინმე მოსუ-
ლიყო, — ნახემდის! — ჩაემახე კურმილში და დავდე. იქნებ არ ვარ მათ ხახა-
ონებ, რა ხალხია?!

თეას თვალები დახხარა...

— ნე მოიწევნ, თეა, არავინ არ მოვა! — გვერდით დავუკეპი, — იქნებ
გინდა რომ მოვიღნენ, სამალავი არაფერია, დავრეპავ!

— არა, არა!

კერაფერი გამეგო, რატომ იყო თეა პირშეკრული, რატომ ერთხელაც წარიპი
არ გასწნა, თავი ისე ეჭირა, თითქოს მის ცხოვრებაში არაფერიც არ მომხდარი-
ყო, ახეთი სისულელე ჯერ არ ჩამიღნია, ჯერ ვინმეს არ შევხვეწივარ, გაიცი-
ხეთ. არა და, იგი ხომ ახეთი არ იყო.

— თქა, — ვუთხარი სერიოზულად, — ავად ხომ არ ხარ?
 — არა!
 — მაშ, მაშ, რატომ დუმხარ?
 — რა ვთქვა?
 — აქვთ, თქვი, თუნდაც ის, რომ... ჩემთან ხარ! ბოლოს და ბოლოს, მეც ადა-
 მიანი ვარ, იქნებ?..

მოწყვენილი თვალით შემომხედა, თითებს აწვალებდა.

— შენ კარგი ხარ, დავით!

გული გამეხსნა.

— შერე და, შენ?..

— მე რა? — თავი დახარა, — ერთი წყალწალებული გოგო ვარ!

— არა, თქა, მეორედ არ თქვა, შენ ჩემი ხარ!

— ჰმ! — ცინიზმი შევნიშნე, ხმაში.

— უარყოფ?

არავერა უთქვამს.

— თქა, ვიცი, შენ დარღობ, ნუ გგონა, შენს წარსულს ყურადღება მივაქ-
 ცო, დავიციწყვ ვვალაფერი, ვვალაფერს გაპატიებ, ოღონდ ნუ იდარებ, ეს პე-
 რნიერი საღამოა ჩემთვის!

იგი ღუმდა.

— ერთი ჭიქა კიდევ დავლიოთ, ვახტანგურად! — ხელი მოვკიდე, წამოვაზ-
 ტუნე, ჭიქა მივეცი და შეუ რთახში გავიყვანე, — ეს შენი საღლევრძელო იყოს,
 ჩვენი საღლევრძელო, — ჭიქიანი ხელი ავსწიო, ხელკავი გავუპეო და ჭიქა პირ-
 თან მივიტანე! — დალიე! — მან მხოლოდ შემომხედა და ჭიქა დასცალა, — ეს,
 ეს!.. ასლა ვაკოცოთ ერთმანეთ! — ტუნები კი წამობურცა, მაგრამ მაკოცა ცი-
 ვად. ძაგიდასთან დავსხედით, მერე წამოგტი და ტელევიზორი ჩავრთვ. საქს-
 ტრალო სიმღერებს გადმოსცემდნენ. შეუ რთახში გავიყვანე. ცეკვა არ იციდა,
 მისი ფეხები ფეხებზე მებძლანდებოდა, მაინც არ მოვეშვი. მას არავითარი სურ-
 ვილი არ გაძოუმებდავნებია, თითქოს მოვალეობას იხდის, — ისე მემორისილე-
 ბოდა.

— არახოდეს არ გიცეკვა?

— არა!

— მაშ, მე ვიქნები შენი ცეკვის მასწავლებელი. დღეში ერთს საათს ვიმე-
 ცადინებო, საღამოს ათ საათზე, დაწოლის წინ!

სურასთან დავსხედით.

— რატომ ღუმხარ, რატომ?.. თქა! — ვეღარ მოვითმინე.

— იგი ატირდა.

— თქა, რა მოგდის, თქა!

დავუწრებდი, როგორ თრთოდა მისი მხრები, თმის ტევრი, რომელიც კეთანე
 ვფინა. ვამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, რა უნდა მეთქვა — მეყვირა თუ
 გავჩუქრებულიყავი. იქნებ, ეს ბედნიერების ცრემლი იყო?... ღმერთია მოწამე,
 ბავშვი არ ვეოფილვარ, გატაცებას მიუცემოდი. არა, მე იგი მიყვარდა.

— თქა, — ვუთხარი მშვიდად, — ნუ მაწვალებ! — მე უშენოდ სიცოცხლე არ
 შემიძლია! მართალია, შენზე უფროხო ვარ, მაგრამ ვვალაფერი ხდება, მუზი,
 არც ისე ბებერი ვარ, ჩემი შეგრცხვეს!

— არა, არა! — წამოიძახა.

— მაშ, რას ნიშნავს ყოველივე ეს?!

თავი ასწია.

— შენი ღირსი არა ვარ, არა! — თქვა იმავე ხმით.

— რატომ?

— არა ვარ შენი ღირსი! — გაიმურა მან.

— თქა, ნუ ამბობ მაგას!

იგი ადგა, თვალები სველი პქონდა.

— მე წავალ!

— სად?

— არ ვიცი, წავალ აქედან!

— თქა!

— ასე სჯობს!

— არ გაიმერი, თქა! — მკლავებში ჩავაფრინდი.

— დავით, უნდა გამიგო, მე წავალ, ანლავე წავალ, დავიკარგები, ნების ნუ

იდარები, რაც უნდა შემეტოხვას, ალბათ, ღირსი ვარ! შენ ნუ გაიმრუდებ ცხოვ-
რებას, განაბნებელ გრძის ნუ აქცევები, ამსანაგები გვავს, ნათხავები, მე გამოხა-
ხენი პირი არა მაქვე!

— თქა!

— შენ ეკვედა ქალი შეეყვენებს, ამოირჩიე ღირსეული!

— შენს შეტა არავინ მინდა, კემის!

— დამიჯვრე, დავით!

— შენ რაღაცას მაღავ, თქა!

პახუსი არ გამტა, კარებისკენ შებრუნდა, დაველოდე, რას აზამდა, კაბუთი
და უხეხსაცმელები აქრიფა, შეახვია და იღლიაში ამოიჩარა.

— რას აძირებ?

— მიეღოვან!

— თქა, შეც არასად არ წავალ, გებისი!

შეევირა?... არ ვიცი, როგორ მოვიკრიბე ძალა და შევვირე, კანა და ფეხ-
საცემელები გამოიგრძოს და ღივანზე მივარე. მერე ნიკაპზე ხელი მოვიდე, მან
დახრილი ჭრაულები მძიმედ ასწია და სველი თვალებით შემომხედა. მნელი იჭ-
მისთვის თვალის განწორება, მხრებზე ხელი მოვხვიე და რამდენიმე წუთს ჩა-
ხუტებულები კოდექსით.

— თქა, რატომ გამირბისარ, წუთე არ გეცოდები!

— დავით, მე ბედნიერი ვარ, მაგრამ...

— გაჩემდა!

მან თვალები ამოიწმინდა.

— უკვე დოთა, დავწვეთ, ხეალ უკეთეს გუნდაზე იქნები და განვაგრძობთ
ქორწილს, ამხანაგებსაც დავუძახებ, მეზობლებსაც... თქა შეა თთახში იდგა, გაწ-
ყობილ სუფრასთან. გაფართოებული თვალებით შემომხედა.

— ხათქმელი არაფერი ძაქვს, შენ როგორც გსურდებ, იხე მოიქაცი! — და
ხელებში ხახ დამაღა.

— თქა, აი ახლა ხარ კარგი, თქა, ჩემო თქა! — ხელში ავიყვანე, მან უცემ
წარი გებხენა, გაცლიბა ჩეილის ღიმილით და ხელები მხარზე დამაწყო, — დღე-
იდან ჩემი ხარ, ჩემი!

თავი კელარ შეიკავა, ხელები სახეზე შემავლო და თვალებში მაკოცა. მე
ბეღნიერი კიყავი, იგი ხელში ატატებული საძინებელში შემფავდა.



თვამ კარგბთან მიმაცილა, შემაჩერა, არ ვიცი, პალსტუხი იყო უკრაინული სახელმწიფელი, მაგრამ მაინც გამისწორა და ორივე ხელი მხარეზე ჩამოძაჭვო, ცეცხლშორებელი თვალით შემომაჩერდა, ფეხისწვერებზე აიწია და ტუჩებში მაჭრა. რიმელი უფრო ბედნიერი ვიყავით, ვერ ვიტყვი. თავი ხელებით დავუჭირე და თვალები, ლოკები, კელი და ვუკოცნე. აქ არაფერია გასაკირი. შემეძლო არ წავსულიყავი, მაგრამ თუ მივდიოდი, მხოლოდ იმიტომ, ცოტათი გონს მოვსულიყავი. უცებ განვერილე და კარი მივხურე.

სამსახურში დამაგვიანდა, ღერევანში არავინ შემხვედრია, გამიხარდა. კაბინეტის კარი ფრთხილად შევადე და ზურგს უკან მივხურე. წამით შევაყოვნე, ხომ არავინ გაუგია-მეთქი. მაინც მემნელებოდა თქმა. მაგიდასთან ფეხაკრეფით მივედა, დაფეხები და ხელები მოწაფესავით დაგაწყვე. მერე ტავლეფონის ეურმილი ავიდე და ნომერი აკრისუე.

— ვისმენთ! — ჩამესმა თვას მინავლული ხმა, გავისუსე, თანაც საშინლად კორთოლი, — გისმენთ! გაიმეორა მან.

— თუ!

— შენა ხარ! — ისეთი სინაზით მითხრა, კინალამ დავიფერიფლე.

— ჟო, როგორა ხარ?

— კარგად.

— ხომ არ მოიწყინე?

— მალე მოხვალ?

— ჟი! არ მოიწყინო, შეიძლება ამხანაგები მოვიყვანო, ოთახები მიაღაგ!

— კარგი!

ყურმილის დადება გამიძნელდა, მინდოდა მესმინა, მელაპარაკა, მეფქვა რა-დაც, ბაგრამ რა მეფქვა, ყურმილი არც მან დადო და ორივე გლუმდით.

— დადევი ყურმილი! — მითხრა მან.

— არა, შენ დადევი.

— მე რატომ?... შენ!

— არა, შენ!

ორივემ გავიცინეთ.

— კარგი, დავდებ! — ვუთხარი და ყურმილი დაუდევი. ვინანე, არ უნდა წამოესულიყავი, ცოლი მოვიყვანე, თხუთმეტი დღე შეეუთხნის, უნდა დამერეკა... კარგებს შეეხედე, გაპარვა რომ შეიძლებოლეს, გავიპარები. დერეფანში ვიღაცები ღაპარაკობნენ, წინ ხაქალალდე დავიდევი და გავშალე, თუ ვინმე შემოვიდა, მოვაჩევნებ, თითქოს ძალზე დაკავებული ვარ, მაგრამ არავინ შემოხულა. ვერც გაპარვა გაეცედე და ცოტა ხნის შემდეგ საქმეთა მმართველი გამოვიძახე.

— გისმენთ! — კარი შემოაღო მან.

— შალვას დაუძახეთ!

უცებ გონს მოვევე, რა უნდა ვუთხრა? მან ხომ უველაფერი დაწვრილებათ იცის, რას იფიქრებს ჩემზე? სხვებისთვის უნდა გამემხილა და არა მისთვის. იგი ვიღაცას უცილობლად ეტყვის და რაღა დაიმაღება. მაგრამ ვისაც რა უნდა, ისა თქვას! ეს ისე გავფიქრე, თითქოს ჯერ მსგავსი რამ არ მომხდარა და ამ ამბავის პირველი გმირი მე ვყოფილიყავი.

— ოჂ, დავით! — კარი შემოაღო მან და ჩვეულებრივი მეგობრული ღიმილით გამოემართა ჩემსკენ. ავდექი, ალბათ, მეც კმაყოფილება დამთამაშებდა სახეზე, მოვშორდი მაგიდას და ხელი გავუწოდე.

- ჩემო შალვა, — კუთხარი, — მომილოცე!
- რა?
- ჰმ!.. გაგიგვირდა?.. ცოლი მოვიყვანე!
- მართლა? — შესძახა, — მომილოცავს, მომილოცავს! როგორ გამოიყენოთ არ მჯერავს!

თავი ძლიერ დავიხსენი — მხარზე ხელი დამჭრა, შემაქანა, როგორ მეგონა, უპირველესად შეითხავდა, ვინ მოივანეო, არ უკითხავს. თვალს არ მაშორებდა, დაიფიცეო, მთხოვა კიდეც. დავიზიცე, რაც საფიცარი მყავდა. მგონი მულტა უგრძნო რაღაც და ამიტომ არ უკითხავს ძაშინვე, თუ ვინ მოვიყვანე, თვალუძმი მიყურა. მერე დაგასხვდით, კრთხასს ვდებდით, ბოლოს თავი ასწია.

- სადაური ქალა?
- საწევე ცეცხლი მომედო, არ მეგონა, თქმა თუ გამიძნელდებოდა.

— შენ იცი!

— მე?... ვინაა?

გავიცინე, მაგრამ ვინ გაიგებს, როგორი სიმწრით.

— ის ხომ არა?

— ხო!

სახეზე დამილი ჩამოურეცხა.

— კარგა!

— აღნათ, გაგიგვირდა?

— რატომ?

— ცველაფერს ეღოდი და არა ამას!

— ჰმ, შენ ისე ლაპარაკობდი მასზე, მოულოდნელი არაფერია.

— კი, ვანსაჯეორებით ცვლაპარაკობდი.

— ოღონდ გამოგადგეს და...

— მთავარი ეხა! — კეჭმა გელზე გამკენწლა, როგორმე პირი უნდა მომეწმინდა, დამეჯერებინა, ეოველ შემთხვევაში თეას სახელი დამეცვა, რომ სას არახოდეს არაფერი კოქვა, — შენთვის არ დამიშალავს, ცველაფერი კოთხარი, მაგრამ... — ხელი ჩავიქმნე, — არაა მართალი, მეგონა.. თურმე არ გოფილა მართალი, ტყეულად გავლანდე, პატიოსანი ბავშვია. მაინც რა ეჭვანები ვართ მამაკაცები, მაშინვე ცედს ვითირებთ, ქალი ააჭირვებაში თუ ვნახეთ!

— მაგას რა ჯობს, თუკი ახეა!

— კი, ჩამდვილად!

იგი აღგა.

— რაქა ქალი მოიყვანე, სხვა რა ვინდა! უნდა აღვნიშნოთ! — ხელები ვაშალა, — არავინ არ იცის?

— არა!

— კარგი იყო, ჯერ ქორწილი გადაგეხადათ, მაგრამ არა უშავს, ახლავა ვვლას გავაგებინებ!

— არა, არა! — წამოვიძახე.

— რატომ?

— რაღაც მეუხერხელება, შინ წავალ და...

— მოიცა, არსად არ წავალ!

თავისი ფორმითა და დანიშნულებით ეს იყო უნიკალური სასწავლო დაწე-
სწავლება. სწორედ მისი აღზრდილები შეადგენებს დღესაც ჩვენი მხარის ეკონო-
მიკისა და კულტურის მუშაკთა ძირითად ბირთვს.

ჭეშმარიტად სახალხო მასწავლებლები იღვწოდნენ აქ. კველასათვის სა-
თავისუტებლი დირექტორი ნაკოლოზ ლორთქიფანიძე, პედაგოგები ლავრენტი
შარაშიძე, მიხეილ ჩიმაკაძე, გრიგოლ გორგაძე, ალიოშა გრიგოლია, დათა ჯავ-
რიშვილი, გიორგი ჩხარიძე, მხატვარი ილიუშინი...

მათ სახელები დღეს მხოლოდ ოცდაათაანი წლების პურისდამ-
თავისუტებლთა ხსოვნას შემორჩა. არადა, თითოეულ მათვანზე ცალკე წიგნის და-
წერა შეიძლებოდა. რაოდენ საწყენია, რომ მათ შესახებ არაფერი იცის დღევან-
დელმა ახალგაზრდობამ. ბევრი მათვანი ხომ სწორედ დიდი ილიას ცნობილი
მოწოდების შემდეგ ჩამოვიდა აქ, რათა განათლების შუქი შეეტანა დედასაქ-
შობლისთან დაბრუნებულ მხარეში.

რა კარგი იქნება, რომ ავდევთ და თავი მოვუყაროთ ერთად ამ შესანიშნავი,
საქმისადმი ფანატიკურად შეყვარებული ადამიანების ცხოვრებისა და მოღვაწე-
ობის ამსახველ მასალებს. შევაგროვოთ თანამედროვეთა მოგონებები, ნივთიერი
საბუთები, და, ბევრი თუ არა, ერთი ოთახი მანც დაუკავშირ შოთა რუსთაველ-
ის სახელობის პედისტუტების აწ შევე გაზრდილ და გაფართოებულ შენობაში.

რვა წელი დაპლი კ. დიასამიძემ პედისასწავლებელში, ჯერ საშუალო დაამ-
თვრა, მერე თვით სასწავლებელი. ზაფხულობით, რა თქმა უნდა, სოფელში
აღიოდა. მაშინ ჯერ კიდევ მძლავრობდა ჩვენს დაბლობებში შალარი, მირვეთი
კა ციებიანი კაცისათვის პირდაპირ მიქწრება იყო. დიასამიძეთა იჯახში სახაფ-
ხულოდ ჩამოსული ნათესავ-მოყვრების: ჯაფარიძეების, ბოლქვაძეების, მიქელა-
ძეების, ქიქავებისა და ვარშალიძეებთა ბავშვებისათვის მირვეთზე საოცნებო
აღილი არ არსებობდა. კინო და ტელევიზორი, მოგეხსენებათ, მაშინ არ იყო
და ათასგვარი თამაშობებითა და ჭირობში ბანაობით ერთობოდნენ. ხანაც სოფ-
ლის თავზე წამომდგარ მთას შეუყვებოდნენ და „ოჯახში“ — ძველ ნასოფლარზე
გამართავდნენ იმისანას.

სათოხარი რომ მოაწევდა, უფროსები ბავშვებსაც გაიყოლიებდნენ ყანაში
და ხშირად ერთი კვარის საქმეს ერთ დღეში მოათავებდა ამოდენა ნადა.

ქალაქიდან სოფელში ასულების აჩალი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი
წეს-ჩვეულებებიც აპერნდათ ქვეშეუცნობლად. წვიმები მოუხმირებდა თუ არა,
აბაშებებიდან ყველაზე უფროსი, ყველაზე „ნაკითხი“ ყმაწვილი „მსახიობთა
დასს“ ჩამოაყალიბებდა და სასტუმრო თახაში სახელდახელო წარმოლენები
იმპარიტებოდა. გახტანგი ამ წარმოლენების სული და გული იყო. ვინ არ მოდი-

ოდა „სეირის“ საყურებლად, ხანდაზმულებიც არ თაკილობდნენ ამგვარ სტატი-
კლენ დასწრებას.

ვახტანგ დაისამიძის ბიძაშვილი, ბათუმის პიდრომეტეოროლოგიური უფლებელ
რევატორიის დირექტორი, გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი ისტორიულმარქიზმის
ჭე ივნებს: „მეორე თუ მესამე კლასში კენტვლიბდი, გაზეთში რომ წავიგითხე,
ხეალ მზის დაბნელება მისალოდნელია. ეს ამბავი მაღლე მთელ სოფელს მოე-
ლო. ღმერთის საქმეში ჩარევისათვის კინაღამ მიმტევებს, მავრამ მეორე დღეს
მსე რამდენიმე საათით მართლაც რომ დაბნელდა, მორწმუნების გაოცებას სა-
ზღაპრი არ ჰქონდა. მას შემდეგ მეტი ნდობით ეკიდებოდნენ გაზეთსა და რაღი-
ოს — „ეშმაკის ეფეს“.“

ახე იცვლებოდა ცხოვრება. იმსევრეოდა მველებური, დრომოფერული შეხე-
დულებები, გამულებელ მიებაში იწრობოდნა თაობა, რომელიც სულ მაღლე თა-
ვის მხრებზე გადატანდა უდიდესი ომის საშინელებას, ინსინიდა სამშობლოს
უაშესტი ვანდალებისაგან.

1934 წელს, პედაგოგიური სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემ-
დევ ვ. დიასამიძე ხულოს რაიონული გაზეთის პასუხისმგებელ მდინარ დანიშ-
ნეს. გაზეთის რედაქტორი მაშინ ჩვენი მხცოვანი პოეტი ნესტორ მალაზონია
იყო.

სულ სხვა გარემოში აღმოჩნდა ახალგაზრდა მასწავლებელი. იქ, მთაშო-
გელაზე მკეთრად ივრისნებოდა ძველისა და ახლის ჭიდილი, პარმენ ლორიას
„დღე დუღე მურადის“ გმირები ჯერ ისევ გმაწველები იყვნენ, აჭარისწყვლის ხეიბაში
ჩამდგარი განთაღდა თავისუფლებისა და განათლების შუქს პფენდა ხულოსა და
შუახევს, ჭვანასა და დადგეჭარას.

ის იყო, უკრაინისტური საქმიანობის ავ-კარგში გაერკავ ვახტანგი, რომ
ბათუმიდან ახალი განკარგულება მოვიდა. პედაგოგები სანთლით იყო სამებარი.
ვახტანგი სოფელ აჭარისწყვლის წერტლიან სკოლაში უფროს მასწავლებლად გა-
უსაკრეს. სულ ერთი სახწავლო წლის მანძილზე ისეთი ავტორიტეტი მოიპოვა,
დაუკრელის წილება მარიჭეს, იგორებს ახლა ექიმი, ჩემს მოწაფებში ზოგი
უამისი ტოლა კაცი იყო, ცოტა კი მეშინოდა და მერიდებოდა მათი, მავრამ კველის
თანაბრად ვთხოვდა ვაკეუთილხო... ახე კეთილად დაიწყო ვ. დიასამიძის პედა-
გოგიური მოფენები, მაგრამ აკი გითხარით, იგი ექიმია-მეტქი.

1935 წელს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში ჩაირიცხა. მომერიდა და
ვერ ვკითხე, — ექიმობა ბავშვობიდანვე გიტაცებდათ თუ რაიმე შემთხვევის წყა-
ლობით აირჩიეთ-მეტქი ეს პროფესია. წინასწარ ვაცოდი, ამგვარ პროფესიულ
შეკითხვას პასუხისმომსახული მოცემებოდა და უკითხველობა ვარჩიე. ისე კი,
პედაგოგიური მოგვრცელა არც მერე შეუწყვეტია ვ. დიასამიძეს, თუმცა ამაზე
ქვემოთ.

ოცდაათიანი წლების თბილისი. სამედიცინო ინსტიტუტი. ნუ ვიკამათებთ
ახლა იმაზე, მაშინ იქ ჩაირცხვა იყო უფრო ძნელი თუ სწავლა... ქართველ
მედიცინთა სხივმოსილი სახელები ამშვენებდა ინსტიტუტის აუდიტორიებს:
შუხაძე, მაჭავარიანი, ერისთავი, ახმეტელი, ნათიშვალი, ჯავახიშვილი, საყვარე-
ლიძე, ელენტი, ვორონინი, ვარაზი, სურგულაძე, ყიფშიძე, წინამძღვრიშვილი,
ლორთქიფანძე, მოქეშვილი, ქუთათელაძე, შარია, ყაუხბიშვილი... საბაზულო ბე-
ლიცინის ეს თანავარსკვლავედი ანათებდა და ათბობდა მაშინდელი სტუდენტე-
ბის გულებს.

უაღრესი შრომისმოყვარეობითა და საზოგადოებრივი საქმიანობით ვ. დია-
სამიძე ინსტიტუტის გამორჩეულ სტუდენტთა შერის იყო ყოველთვის. პედაგ-

როელი ფაქტურების კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად და ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილედ აირჩიეს ამხანაგებმა, ერთსა და მეტარიას ქუჩაზე ერთი პაწაყვინტელა თათხი ჰქონდა, ღვევიების შემდეგ კათანიკაში მიდიოდა, იქედან კი ბიბლიოთეკას მიაშურებდა.

ბათუმელ სტუდენტებს ერთი სახლი ჰქონდათ თბილისში. ვაშლოვანის ექვს ნომერში მათი დიდი მეგობარი და მწურუველი პაიდარ აბაშიძე ცხოვრიბდა. პაიდარის ქალიშვილი გუგულიც სამედიცინოზე სწავლობდა და ვახტანგი მათი ხშირი სტუმარი იყო. ცნობილი საზოგადო მოღვაწე, სამხრეთლასავლეთ საქართველოს განთავისუფლებისა და ხალხში ეროვნული სულიერების გაღვივებისათვის მებრძოლი პ. აბაშიძე ბევრს უკებოდა მას გარდასულ დღეებზე.

პ. აბაშიძის სახელი დღეს ძეირფასია ყველა ქართველისათვის. ვახტანგიც ისე არ ჩავა თბილისში, მისი წმინდა საფლავი არ მოინახულოს დიდუბის პანთეონში, სადაც სამარადისო განსახვენებული მიუჩინა მას ქართველმა ხალხმა.

თბილისის პერიოდი კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენით აღიძეს და ვ. დაასამიძის ხსოვნაში. ჯერ კიდევ ბათუმში სწავლის დროს შესანიშნავდა ქორეოგრაფმა და სპორტსმენმა დათა ჯავრიშვილმა სახალხო ზემოსათვის ახოვანი ბიჭები შეარჩია და უნიკალური აკრობატული ნიმერი — ელადა დადგა. ვახტანგიც მათში იყო.

და აი, თბილისში პირველი რესპუბლიკური ოლიმპიადის სამზადისათ. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ერთ-ერთი პირველი თვითმოქმედი ანსამბლი ჩამოყალიბდა. მისი სული და გული სტუდენტი ბერი ჯაფარიძე იყო, ვახტანგის მამი-დაშვილი, მისი სიყრმის მეგობარი. ისინი ერთსა და იმავე წელს, ერთსა და იმავე თვესა და დღეს იყენენ დაბადებული და ერთმანეთი უზომოდ უფარდათ. მათმა „ხორუმბა“ პირველი პრემია დაიმსახურა.

ამ ორი ადამიანის მეგობრობა 1979 წლის ივლისში შეწყდა, როცა მოუღოდნელად გარდაიცვალა დოცენტი ბ. ჯაფარიძე, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მასალათა გამძლეობის კათედრის გამგის მოადგილე, ჩვენი ტექნიკური ინტელიგენციის არაერთი თაობის ბრწყინვალე აღმზრდელი, შესანიშნავი ადამიანი და მოქალაქე, „აჭარის კონსული“, როგორც თბილისში ეძახდნენ ხუმრობით.

არდადევებზე ვახტანგი უეჭველად სოფელში ჩადიოდა. 1937 წელს მამა და ვარგა და მას მერე ხუთმედიანი ოჯახის პატრონი, მტრისა და მოყვრისათვის პასუხის გამცემი დედა იყო მხოლოდ.

რამდენს ვლაპარაკობთ და რა ცოტას ვწერთ ჩვენს დედებზე, იმათ ფანატურ სიცარულს, ერთგულებას, გამტაობას, უაღრეს ეკოილშობილებასა და ქალურ ქალობას ვერაფერი შეედრა ქვეშნად. შე უფრო ჩვენი ბებიების თაობას ვგულისხმობ, ათეულ წლობით რომ ზიდეს უკაცოდ დარჩენილი ოჯახების მძიმე უღელი და ერთხელაც არ დაცდენიათ საკედლური. არადა, იყო ჩვენში ოჯახი, ქაცი რომ არ გამოკლებოდა იმ წლებში?..

სიცოცხლის ბოლო ხანებში ავადმყოფობდა ვახტანგის დედა. „ჴ, ჩესპი, ეძახდა შვილებში უფროსს ბავშვისის სახელს, — ერთხანს კიდევ, მინდა უუფრო ამ ლამაზ ქვეყანას, ბადიშების ქორწილს მოვესწრო და მერე წავალ მეც..“ მოესწრო კიდეც. რვა ათეულ წელზე მეტი იცოცხლა და მრუხედავად ავადმყოფობისა, ბედნიერი იყო მაინც.

სამედიცინო ინსტიტუტი 1940 წელს დაამთავრა ვახტანგ დაასამიძე. ბათუმში, რესპუბლიკური საავალმყოფოს ბავშვთა განციფილების ორდინატორი და

დანიშნეს. დამრიგებლებად აქაც შესანიშნავი ექიმები ჰყავდა; ის იყო შემახვევა
ახალ გარემოს, თავის პირველ პაციენტებს, რომ მთავრობის გადაწყვეტილება
გამოქვეყნდა, სოფლების საექიმო კადრებით უზრუნველყოფის შესახებ. რამდენიმე
ხულოს რაიონის დიოკნის საექიმო პუნქტის გამგედ წავიდა მონალიზე. და
დღეს ეს სიტყვა ცოტა შორეული რომანტიკის ბურუშშია გახვეული, მაშინ კი
კაციობისა და მიწიშვილობის საზომი იყო. ცნობების შეგროვება და განაწილება-
დან დამალება მაშინ არ იცოდნენ.

დიოგენისა ვთქვათ თორებ, 10-15 სოფელში გახტანგი ერთად ერთი ექიმი იყო. სამაგიეროდ ათასგვარი ექიმბაშები და მარჩიელები მძღვრობდნენ ისევ. უნდო- ბლად უყურებდნენ ქალაქიდან ამოსულ ყმაწვილ ექიმს სოფლელები. ამას რა შეუძლია, ღმერთის გაჩენილს ღმერთი თუ მოაჩენსო, ამბობდნენ. მოკვდებოდა ბავშვი და, რას იშამ, დღე დაელიაო....

„ტრაბახში ნე ჩამოთვლით და დიოკისისა და ოფეთის საექიმო პუნქტებში მუშაობის პერიოდში ისე დაგვახლოედი ხალხს, ორსულ ქალებთანაც მშობიარობისას მე, მამაკაცს მეძახდნენ ხოლმე“.

ერთი ასეთი ამბავიც ახსოვს ექიმს. 1941 წლის პრილში, შუაღაძისას გააღვიძეს მოუღოლნებულად. სოფელ კორტოხში მშობიარე ქალი კვლებოდა, ბებია-ქალებმა ვერაფერი გაწყვეს და ოჯახმაც გამოიტირა იგი. შეიძიო კილომეტრი დამართი აიარა დამთა ექიმშა, არც მოუსცენა, მაზინვე ავადმყოფს დაექმარა და განთიადისას ბიჭი დაბადა. იმ ოჯახში ექვესი გოგო ჰყავდათ და მემვიდე ბიჭი გაჩნდა! თუ იცის ნეტავ იმ ვაჟებაცმა ახლა, ვისი მაღლიერი უნდა იყოს ამ ქვეყნად მოსკლისათვის?

မရှိသော နှစ်ခုများ အပေါ် နာမောင်တာရေး၊ မတာဆိ စာနှစ်ဦးလွှဲ စောင့်ဖြူစာ၊ ပြည်
ပိုင်း ပြုလွှဲ ဆမ်တိန္ဒာ၊ ဤ အပေါ် နာမောင်လို အပေါ် မီစာနှစ်ဦးလွှဲ မီစာနှစ်ဦးလွှဲ
ပုဂ္ဂန်ဖြူလွှဲပြုလွှဲပုဂ္ဂန်၊ အပေါ် နာမောင်အဖွဲ့ ဖြစ်ပါသည်။

განტანგ დასამიერ კვერცხმი სოსლან ჩიხლაძე და ქთანი სემიე ნიძმამავა-
ლი მამინვე გაეშურნენ ბეშუმის იალაღზე. იქ ეგულებოდათ ინფეციას ქრა.
მათი ვარაუდი გამართლდა. ათასობით აცრა ჩატარეს მწევმებსა და საქონელს.
მორამ უკრანა მოისპო. ლრთის სიმთრიდან იოლია ყველაფრის წარმოდგენა. მაგრამ უკ-
რო ექიმებმა იყინ, რა არის დღე და ღამ, დარსა და ავდარში მთაში სისული,
თანაც ხელსაწყოებისა და ვაქცინების თრევა და ბრძოლა, ნამდვილი ბრძოლა
სიკლოჭლის გამარჯვებისათვის.

ასცენა ას ჰდებოდა უკუკი ე-ე სავარგის შენობაში იყო მოთავსებული, უკირდათ
ხულოს საავადმყოფო უვარგის შენობაში იყო მოთავსებული, უკირდათ
ექიმებსაც და ავადმყოფებსაც, მაგრამ მაშინ ვერ მოიცალეს ახლის ასაშენებლად,
ექიმებსაც და ავადმყოფებსაც, მაგრამ მაშინ ვერ მოიცალეს ახლის ასაშენებლად,
იმი იყო, მერე კა, როცა კ. დასამიტე ომიდან დაბრუნების შემდეგ ისევ ხულოში
იმი იყო, მერე კა, როცა კ. დასამიტე ომიდან დაბრუნების შემდეგ ისევ ხულოში
იმი იყო, მერე კა, როცა კ. დასამიტე ომიდან დაბრუნების წამოიწყო. ის იყო, მთავრდებოდა მშე-
ავიდა, ახალი საავადმყოფოს მშენებლობა წამოიწყო. ის იყო, მთავრდებოდა მშე-
ნებლობა, რომ ბათუმში გამოიძახეს.

მაგრამ ჩვენ გავასწარით მოვლუნებს.

ჭვანის ხეობაში საავადმყოფო კი არა, საფერმლო პუნქტიც არ ჰქონიათ გადაწყვიტეს, რადაც უნდა დასჯომობათ, საავადმყოფო გაეხსნათ. ჭარბობულ ყველაფერი მოამზადეს, მაგრამ აქც შენობა იყო მთავარი. ახალგაზრუნვული ქმებული ჯამე მოუვიდათ თვალში. იქ უკვე კარგა ხანია არავინ დადიოდა. მაგრამ სოფლის მოხუცები გაჯოტდენ მაინც, დმტრის სახლში საავადმყოფოს რა უნდაო.

საავადმყოფო მაინც გაინსნა. ახლაც არის ჭვანის ვარდი საწოლიანი საავადმყოფო, რომელიც ჭვანის ხეობის სოფლებს ემსახურება. მისი პირველი პაციუნტები კი, არ გაგდვირდეთ და, სწორედ ისინი იყვნენ, ვინც ასე თავგამოიდებით დღილობრენ ავი თვალისაგან ეხსნათ „ღმერთის სახლი“.

თერნალი ადგილია ხულოს რაიონში. კაი ძალა აღმართი უნდა აარო, ვალ-რე სოფელს მიადგები. კარგ ამინდში მთაში სიარულს მიჩვეული კაცისათვის მა-ინცადამაინც დღიდი ამბავი არაა მისი ავლა, მაგრამ დეკემბრის თოვლში, დამით, მარტი რომ შეუდგები თოვლით ერთიანად დაყრუებულ გზას, მაგარა გალი უნდა გქონდეს.

ახსოებს ეს აღმართი ვ. დიასამიძეს. ყინჩაურში დაჭრილი ჯარისკაცი პელე-ბოლა. გაიგო თუ არა, ჩანთა გადაიკიდა და წავიდა. ჯარისკაცის ოჯახში შევ-როვილი მეზობლები გაოცებული უკერძნენ მესასასვით მივლენილ ახალგაზრ-და ექიმს. ჭრილობებთან ერთად პლევრიტი ჰქონდა ავადმყოფს. ორ ლიტრამდე სითხე გამოუდო და დილით მარჩხილით ჩამოიფვანა ხულოში.

კიდევ რამდენი ახეთი თერნალის აღმართი დაძლია ექიმმა, კველაზე უმოა-ვრეს სიმაღლე კი წინ ედო.

1942 წლის პირველ მარტს ოში გაიწვიეს. ელოდა ამ დღეს. დედასა და ახლობ-ლებს საჩქაროდ გამოემშვიდობა და ოთხიოდ დღეში უპე ფრთხოის წინა ააზრე იყო. საზენიტო პოლკის სანიტარიული სამსახურის უფროსად დანიშნეს.

სისხლისმდვრელი ბრძოლები იყო იმ გაზაფხულშე. მტერი კავკასიისაგან მოიწვევდა. ქერჩის ნახევარებული; გამორჩეული მეტად მნიშვნელოვანი გვო-გრაფიული მდებარეობით, გვრმანელთა შემოტევებს იგერიებდა. ახსოებს ვახტანგებს, როგორ მოადგა ნაპირს ბათუმიდან და ფოთიდან ჩამოსული სადესანტო გამტაბი, კარტაპები და კატარლები, რომელებიც უმეტესად ქართველი ბიჭებით იყო საქე-ათასობით სიცოცხლე ჩაქრა მაშინ ქერჩის სრუტეში, მტერი უმინტვალოდ ბომბა-ვდა მედესანტების. აღამიანთა სისხლისაგან მეწამელად შეიღება შეგი ზღვას მრუმე ტალღები.

ნახევარებულები მაისში დატოვეს. სისხლისაგან დაცლილი შენაერთები მანამდე იცავდნენ პოზიციებს, ვიდრე უკან დახევის ბრძანება არ მიიღეს. მაშინ მიხედა ახალგაზრდა თყვიცერი, თუ რა ძლიერი აქო მფორმრული ფიცის ძალა ჩვენ დაებრუნდებითო, ამბობდნენ წითელარმიელები და აკი დაბრუნდნენ კალე-დეგენდარული მე-18 არმიის მეომრებმა სულ მაღლ ცეცხლსა და ქარს გაატა-ნეს გერმანული დივიზიების ნამუსარევი. ხოლო საბჭოთა შეომრების გმირობი-სადმი თაყვანის ნიშნად, ქერჩის სრუტეში, ზღვის ტალღა ნაზად არწევს მაისის ყვავილებით შეკრულ სიონის გვირგვინს.

ვ. დიასამიძის პოლკი ბაქოში ჩაედა. იქ ცოცხალი მაღითა და იარაღით შეივსო და იხევ ფრთხოისაგნ გაემგზარა. ვახტანგებს ახალბედა აღარ კოქმონდა უპევ, ბევრი რამ ისწავლა და შეიგნო ბრძოლებში, ახლა თავად ასწავლიდა ახა-ლაგაზრდა მეომრებს.

ბავშვთა ექიმი და საზენიტო პოლკის სანიტარიული ნაწილი, სახელდახელო

ოცერაციები გამუდმებული ბრძოლების დროს, როცა ზოგჯერ კარვის დასაცუ-
მელადაც არ კონტაქტი დრო, წრიული თავდაცვა, როცა კველი იძრმვის, მცუკრები
შეღონიც და დაჭრილიც, ალიიდან თავის დაღწევა, გაუთავებული კალოებისა
ხვატისაგან გადარევა მიწაზე, დაჭრილებისათვის გადანახული ერთ მცუკრები
წყალი, როცა შენ თვითონ კვლი გიშრება და ფეხებზე გეცლება ბომბადლირება-
საგან ტორტმანებული მიწა, მეგობრების დაგარაგა, ნაჩქარივად ამოცსებული
საფლავები...

ორმოცდაორი წლის ნოემბერში ნოვოროსისკის ძიდაძოებში გადაიცვანეს
პოლოვი. ახლა ვახტანგის ნაწილი მე-18 არმიის შემადგენლობაში იძრმოდა.

დღეს ბევრმა იცის ერთი ომისდოროინდელი ფოტო: მე-18 სადესანტო არ-
მიის პოლიტსამმართოვალოს უფროსი პოლკოვნიკი ლ. ი. ბრეჭნევი პარტიულ
ბილეთებს გადახცეს მებრძოლებს. ვახტანგიც სწორედ მაშინ, 1942 წლის მიწუ-
რულს, მიღებს პარტიის წევრობის კანდიდატად. მისი კანდიდატურაც, სხვებთან
ერთად არმიის პოლიტსამმართველოში დამტკიცეს.

ნოემბრისისკისათვის ბრძოლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდია დადი
სამამულ იმის ისტორიაში. თუმცა მნელია ეპიზოდი უწიდე ათასობით საბჭოთა
ადგინიანის თავავანწირვასა და მამაცობას, რაც მათ იქ გამოიჩინება.

დევენდარული „მცირე მიწა“, მტრის ძიერ დროებით დაკავებულ ტერი-
ტორიაზე მდებარე ეს მართლაც და ერთი მტკაველი პლაცადარმი საბჭოთა მეომ-
რების ქვედოებულებისა და ვრთვულების სიმბოლოდ იქცა. ეამაგება ვაჭარან
დიასტამიქს, რომ იგი სწორედ ამ ქარცვაცხლანი ბრძოლების მონაწილე იყო.

1943 წლის გაზაფხულზე მტერმა გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომიდა
მოესპო ეს, პლაცადარმი, კარგად ახსოებ ვეტერან ექიმს 17 აპრილის დღე, როცა
მთლიანად დაიფარა გვრმანელთა თვითმფრინავებით. ასე ვერონებოდა მაცემ-
რალს, გვრმანელ ფაშისტებს მზის დაბნელება გადაუწყვეტილოთ და განა მართლა
სხვ არ იყო!?

აი, როგორ აღწერს ამ დღეს თავის „მცირე მიწაში“ ლ. ი. ბრეჭნევი: „მცი-
რე მიწაზე 17 აპრილს დაწყებული ბრძოლები მეტად ძლიერი ძალით ვითარდე-
ბით. მოწინააღმდევა ყოველ დღეს ბრძოლებში ახალ ძალებს აბამდა. დილად-
რიან იწყებდნენ ცეცხლის დაშენას მისი მძიმე ბატარეები. ამავე დროს ცაში
გამოჩენდებოდნენ ხოლმე თვითმფრინავები. ისინი პირდაპირ დაგვტრიალებდნენ
თავს, ტალღადა მოდიოდა 40-60 მანქანა და ბომბებს უშენდა თავდაცის მოელ
სიღრმეს და მოელ ფრინტს. ჩქაროსნულ ბომბდამშენებს მოსდევდნენ მოპირ-
ებები – ისინიც ტალღებად, მერე მოიკირშები. ყოველივე ეს საათობით
გრძელდებოდა, რის შემდეგაც ტანკებისა და ქვეითი ჯარის იერიშები იწყებოდა“.

1943 წლის 17 აპრილი. ამ დღეს კიდევ ერთი, მჯერად კველაზე მაღალი
სიმაღლე უნდა დაეძლია კ. დაისამძებს. იმ საშინელი ბრძოლის დაღი სამუდამო
დააჩნდა მეომარს და რაც დრო გადის, უფრო და უფრო ახსენებს თავს.

ურთონტიან დაბრუნებულს, მერე კი დემობილიზებულს, არავისთვის უჩენე-
ბია კრილობა, არც თავიდან ამოღებული ნაღმის ნამსხვრევები უტარებია ჯიბით.
მთასავათ ბიჭები იქ დავტოვე და მე ახლა ამ ჭრილობით მოვიწონო თავით, იტ-
ეოდა ხოლმე. ესეც მისი ხასიათია, რაოდენ დიდი გასაჭირიც არ უნდა პქონდეს,
არასოდეს აწუწუნდება, არ მოგატირებს მიშვევლით. ის კი არა, ეჭვ შეგვით-
ხება, ხომ არავერ გაჭირდება, დაგეხმარები კველაფრითო. ბევრის მნახველი
გაცის თვისებაა ეს, მამა-პაპათავაგას მომაღლებული მოთმინებისა და გაძლებას,
უნარი აქვს ათას დარჯაკში გამოტარებულ მის პიროვნებას. უკეირს ხანდახან,

ეს კაცი ასე რამ დააგლახა, მართლა რომ შესწრებოდა გაჭირვებას, მაშინ დას იზამდაო, იტყვის ზოგიერთზე.

„იმ დღეს ერთ-ერთ მაღლობაზე მყოფი ჩვენი ბატარეის უფროსი უომინივა მძიმედ დაიჭრა და პოლგის მეთაურმა მაიორმა პილეციშ შიბრძაბა, რომ პირადად მე წავსულიყავი დახმარების აღმოსაჩენად. უმცროსი ექიმი ჰქონება გაგზაუნილი მყავდა, მაგრამ უფომნოდ გაეშურე უფროს ექიმი ვარაპავოთან ერთად. ბატარეამდე მისასვლელი გზება აღმართი იყო და თანაც პოზიციას საშინლად ბომბავდნენ. ნახევარი გზა არ გაგვევლო, გვერდით ნაღმი გასკდა, წამოვდექით თუ არა, ექიმანმა მითხრა, დაჭრილი ხართო. ჩქარა ბატარეისაკენ-მეთქი! ეს ვთქვი და გრძნობა დავკარგე, პარშივი-გელენჯიკის საველე ჰოსპიტალში მოვედი გონს. ჭრილობა თავში მქონდა. რთული ოპერაცია გადავიტანე, თავიდან ნაღმის ნამსხვრევები ამომიღეს და სოჭში — თავის ჭრილობათა ჰოსპიტალში გადამიერანეს“.

აა, სულ ერთი აბზაცი მისი ბიორაფიიდან, მხოლოდ რამდენიმე წინადაღება, კიდევ აღმართი, ამჯერად სიკვდილის ნაღმებით დაფარული.

სოჭში მძიმედ დაჭრილ ოფიცერს დაზენტერა დაეჭართ, 17 აპრილის ტრაგედიას გადარჩენილი, კინაღამ ინფექციური ავადმყოფობის შესვერპლი გახდა. ცოტა რომ მომჯობინდა, შეებულება მისცეს სახლში წასასვლელად ერთი თვით. ჩამოვდა თუ არა, ისევ გაეხსნა ჭრილობა, ქობულეთის ევაკომისიტალში მოათავსეს, მთელი ექვსი თვე ებრძოდა სიკვდილს, ოქტომბერში ჰოსპიტალიდან გამოეწერა და კომისარიატში გამოცხადდა. თბილისში ოფიცერთა სარტჩირუკი პოლეში გაამწესეს. ფრონტისათვის უვარების ხარო, პირდაპირ უთხრეს.

თბილისიდან ისევ ბიუმშე გადმოიყვანეს ქართული დივიზიის საარტილერიო ჰოლიკის სამედიცინო სამსახურის უფროსად.

ომის შემდეგ კიდევ წელიწადნახევარს ატარა სამხედრო მაზარა. ბევრპა არც კი იცოდა, რომ მათი მებრძოლი მეთაური მსოფლიოში ყველაზე შევიდობაინ პროფესიის კაცი იყო — ბავშვებს მკურნალობდა.

დემობილიზაციის შემდეგ პვლავ რესპუბლიკური საავადმყოფოს ბაკუთა განცოლიერებას დაუბრუნდა. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის წითელი ვარსკვლავის რრდენით დააჯილდოვეს. იმ ბოლო ბრძოლიდან სამი წლის შემდეგ, ომის მერე გადასცეს ჯილდო, მანამდე კი, როგორც შურნალისტები ამბობნ, ჯილდო მფლობელს ეძებდა.

ტოლსტოისა აქვს „ომსა და მშვიდობაში“: დროშის ტარს ჩაბლუჯული მკვდარი რესი მეომრის დამნახავი ნაპოლეონი ამბობს — ო, რა ლამაზი სიკვდილია. მართალი ნათქვამია, მაგრამ ლამაზი სიკვდილი მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც ლამაზი სიცოცხლეც იცის, დიდა სამამულო თმა მსოფლიოს დაანახა ჩვენი ხალხის თავგანწირვისა და არნახული გმირობის უმრავი მაგალითი. ვხტანგ დიასამიძეც ერთი იმათგანი იყო.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ძმური კავშირი

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების წარმატება მოპოვებული გამარჯვების დაცვისა და განმტკიცების საკითხი. საბჭოთა ხელისუფლებამ მემკვიდრეობით მიიღო დანგრეული სახალხო მეურნეობა. 1921 წლისათვის, 1913 წელითან შედარებით მკვეთრად შემცირდა პირველი მოთხოვნაბლების საგნების წარმოება. ამიტომ სპეციალური არაბული გაქანება მიიღო. გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მთელი ძალებისა და სახსრების მაქსიმალური მობილიზაცია, რესპუბლიკების მიერ ურთიერთდახმარების ფართოდ გაშლა.

მეორე მხრივ, ქართველმა მენშევიკებმა, აზერბაიჯანელმა მუსავატელებმა და სომებმა დაშნაკებმა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს უანდერექს ნაციონალიზმის შხამით მოწამდებული პოლიტიკური ატმოსფერო. ეს გარემოება ხელს უშლიდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების გაერთიანებას, ხოლო ასეთი გაერთიანების გარეშე შეუძლებელი იყო მათთვის სამეცნიერო და სხვა წარმატება.

ამიერკავკასიის დამაბული პოლიტიკური ვითარებით მაშინვე ისარგებლეს შინაურმა და გარეშე მტრებმა და დაუყოვნებლივ შეუდგნენ საბჭოთა ხელისუფლების დამსრბისათვის შზალებას.

რთული საერთაშორისო და საშინაო მდგრადირების დაქინებით მოთხოვდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამხედრო ძალების გაერთიანებას და თავდაცვის-უნარიანობის განვითარებას. მეორე მხრივ, დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ამოცანა წარმატებით ვერ გადაჭრებოდა სამივე რესპუბლიკის ძალებისა და შესაძლებლობათა გაერთიანების გარეშე.

საჭირო იყო მესამე ძარითადი ამოცანის — ამიერკავკასიის ხალხთა შორის ერთოვნული შშილობისა და მმური თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნის ამოცანის გადაწყვეტაც. რასწევ დღიდად იყო დამოკიდებული ყველა სხვა ამოცანის წარმატებით შესრულება.

ამრიგად, დღის წესრიგში დადგა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ჯერ სამეცნიერო, ხოლო შემდეგ სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანების საკითხი.

რესპუბლიკათა გაერთიანების უკეთეს ფორმად მიჩნეულ იქნა საბჭოთა უფლერაცია. რსესტ მდიდარმა გამოცდილებამ კომუნისტური პარტია, ვ. ი. ლენინი მიიყვანა იმ დასკანამდე. რომ საბჭოთა უფლერაცია ყველაზე უკეთესად უზრუნველყოფდა სხვადასხვა ეროვნებათა მმური თანამშრომლობას და მათი საერთო ძალებით საბჭოთა ხელისუფლების დაცვას, სოციალისტური საზოგადოების აშენებას.

ვ. ი. ლენინმა პირველმა წამოაყენა ამიერკავკასიის რესპუბლიკების უფლერაციული გაერთიანების იდეა, შეიმუშავა მთელი ამიერკავკასიისათვის ერთანა სამეცნიერო ორგანოს შექმნის კონკრეტული გეგმა.*

ვ. ი. ლენინი კიმის სახელზე 1921 წლის 9 აპრილს გაგზავნილ დეპეშაში ვ. ი.

* საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევები. 1971 წ. გვ. 421.

ლენინი დაურინებით მოითხოვდა მთელი ამიერკავკასიისათვის საოლქო სამეცნიერო ორგანოს შექმნას, ხოლო 18 აპრილის დეპეშაში წამოყენებულია საქართველოს ბანკად რეორგანიზაციის წინადაღის. / ხელმწიფო ბანკის მთელი ამიერკავკასიის ბანკად რეორგანიზაციის წინადაღის. *

ლენინურ მითითებათა განხორციელება დაიწყო ტრანსპორტისა და არჩევნობების გაფრინდის თრგანობის გაერთიანებით. გამარტინანებულ მოძრაობაში დატვირთებულია კავკასიის ბიუროს (კავბიური) გაფართოითამაშა რეპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს (კავბიური) გაფართოებულმა პლენურმა, რომელიც გაიმართა 1921 წლის ივნისის პირველ რიცხვებში. ებულმა პლენურმა, რომელიც გაიმართა 1921 წლის ივნისის პირველ რიცხვებში. პლენურმა ამიერკავკასიის კომუნისტური თრგანიზაციების გადაუდებელ ამოცანად პლენურმა ამიერკავკასიის ფედერაციის იდეის ფართო აგიტაცია და ინტერნაციონალიზმის ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნა.

1921 წლის 12 აგვისტოს ჩატარდა სამხარეო პარტიული თათბირი, რომელმაც მოითხოვა სამეცნიერო ღონისძიებათა გაერთიანების განხორციელებაზე ხელმძღვანელობისათვის კეთინომიერი ბიუროს შექმნა. მავრამ სამხარეო პარტიული თათბირის ამ გადაწყვეტილების წინადაღდებები გამოვიდნენ ნაციონალ-უკლონისტების მოთხოვნა, მოიწონა სამხარეო პარტიული თათბირის გადაწყვეტილება კეთინომიერი ბიუროს შექმნის შესახებ.

ცენტრალურმა კომიტეტმა უარყო ნაციონალ-უკლონისტების მოთხოვნა, მოიწონა სამხარეო პარტიული თათბირის გადაწყვეტილება კეთინომიერი ბიუროს შექმნის შესახებ. გამარტიანებული მოძრაობა ისე სწრაფად გაფართოვდა, რომ დღის წესრიგში დაისვა საკითხი რესპუბლიკათა ფედერაციული გაერთიანების აუცილებლობის შესახებ. ვ. ი. ლენინის მითითებით ეს საკითხი განიხილა კავბიურის პლენურმა შესახებ. 1921 წლის 3 ნოემბერს, პლენურმის გადაწყვეტილება რესპუბლიკათა ფედერაციული გაერთიანების პრაქტიკული განხორციელების შესახებ მოიწონეს ამიერკავკალი გადაწყვეტილების ფინანსურულმა, კომკავშირულმა და სხვა თრგანიზაციების პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და სხვა თრგანიზაციების ფარამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციულ გაერთიანებას ფარამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციულმა და კომკავშირულმა თოდ დაუჭირეს მხარი აჭარის პარტიულმა, პროფკავშირულმა და მიორგანიზაციებმა, მშრომელთა მასებმა. იძართებოდა შერომელთა კრებები და მიორგანიზაციების, მშრომელთა კრებები და მიორგანიზაციების შეტინგები, რომლებიც იწონებდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შეტინგები, რომლებიც მისი უსწორებელი პრაქტიკული განხორციელებით დაიდ ახსნა-განმარტებით მუშაობების შესახებ. ფედერაციის სასარგებლობ განხაკუთრებით დაიდ ახსნა-განმარტებით მუშაობების შესახებ „უწყებები“. **

1922 წლის იანვარ-თებერვალში ჩატარდა ახერაბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის კომპარტიიების ყრილობები, რომლებმაც მოიწონეს ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა და მოითხოვეს მისი უსწორებელი პრაქტიკული განხორციელება. დერაციის შექმნა და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკების შემდეგ, 1922 წლის 11 მარტს, დღიდ მოსამზადებელი შემსახის ჩატარების შემდეგ, 1922 წლის 11 მარტს, თბილისში მოწვეული იქნა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სრულუფლებან წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელმაც 12 მარტს დამტკიცა საქართველოს, ახერაბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციული კავშირი და შეიმუშავა მისი კონსტიტუცია.

ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციულმა გაერთიანებამ უდიდესი როლი შეასრულა დანგრეული სახალხო შეურენობის აღდგენაში, ხალხთა შორის ლი შეასრულა დანგრეული სახალხო შეურენობის აღდგენაში, ხალხთა შელისუფლების დაცვის შელის მშვიდობის ატმოსფეროს შექმნაში და საბჭოთა ხელისუფლების დაცვის შელის მშვიდობის ატმოსფეროს შექმნაში და საბჭოთა ხელისუფლების დაცვის შელის მშვიდობის ატმოსფეროს შექმნაში და განმტკიცებაში. მაგრამ კონკრეტული ისტორიული ვითარება მოითხოვდა ვასა და განმტკიცებაში. ამიერკავკასიის რესპუბლიკების უფრო მჭიდრო სახელმწიფო გარებრივ გაერთიანებას. ამიერკავკასიის რესპუბლიკების უფრო მჭიდრო სახელმწიფო გარებრივ გაერთიანებას. ამ მიზნით 1922 წლის ბოლოს გადაიღვა ახალი ნაბიჯი, რომლის მიზანი იყო სახელმწიფო ხელისუფლების შემდგრიმი ცენტრალიზაცია.

* ვ. ი. ლენინი, თხელებათა სრული კრებული (რუს.), ტ. 52, გვ. 136, 153,

** გამ. უწყებები, № 195, 205, 291, 1921 წ.

1922 წლის 10 დეკემბერს მოწვეულ იქნა ამიერკავკასიის საბჭოების შარიფურ ყრილობა, რომელმაც რესპუბლიკების ფედერაციული კაფშირის ნაცვლად შექმნა ამიერკავკასიის ერთიანი ფედერაციული სახელმწიფო — ასფხრ. ყრილური ტკიცა ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკურშა კონსტიტუცია, რომელმაც საკანონდებლო წესით განამტკიცა ასფხრ ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძლები, განსახლვრა სახელმწიფო ხელისუფლების მმართველობის ორგანოები, დაკანონა მათი ფუნქციები და ა. შ.

ასფხრ თავისებურება იყო ის, მასში გაერთიანებული იყვნენ არა ავტონომიური რესპუბლიკები, არამედ დამოუკიდებელი, სუვერენული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები. ამტომ ასფხრ კონსტიტუცია ითვალისწინებდა ცაგ-ის სამ თავმჯდომარეს — თითოეული რესპუბლიკიდან თითოს. ისინი რიგ-რიგობით თავმჯდომარეობდნენ ასფხრ უმაღლეს ორგანოს.

ასფხრ შექმნამ უზრუნველყო სამიერ რესპუბლიკის ხალხებს შორის ძმური, ჟუშმარიტი ინტერნაციონალური ატმოსფეროს შექმნა, რამაც თავის შრივ დღიდად შეუწყო ხელი სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომ სწრაფ აღმავლობას. 1936 წლისათვის ასფხრ წარმატებით შეასრულა თავისი კეთილშობილური მისია და სსრ კუმშირის ახალი კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით მიხდა ასფხრ ლიკვიდაცია. ამიერიდან ამიერკავკასიის რესპუბლიკები ცალ-ცალკე გაერთიანდნენ სსრ კუმშირის შემაღებელობაში, როგორც სუვერენული მოქავშირე რესპუბლიკები.

პარმაც ცეკვიტარია,
პროფესორი.

ახალშენელი გერმენის ურვისა და კულტურის ისტორიიდან

ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალშენის ზოგიერთი უბანი ბერძნებითაა დასახლებული. აქ ბერძნთა ჩახალებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. დახსლოუბით ასი წლის წინათ თურქეთის იმპერიაში გამეფებული აუტანელი სოციალური და პოლიტიკური ჩაგრის გამო ტრაპეზუნდის ვილაიეთიდან აიყარა ბერძნებთა შვიდი სოფელი. ნაწილი სოფლებისა სამშობლოს — საბერძნებს დაუბრუნდა, ხოლო ნაწილი საქართველოს ტერიტორიაზე დასახლდა. მეტის მთავრობა დაინტერესებული იყო თურქეთის მოსაზღვრე რაიონებში ერთმორწმუნე ხალხების დასახლებით.

საქართველოში ბერძნთა ჩამოსახლება უკავშირდება ერკელე მეთრის მეფიობის პერიოდს. ერკელემ ისინი მიიწვია ახტალის საბაღოებში სამუშაოდ. ჩამოსახლებულ 800 კომლის შორის იყვნენ გოუმიშხანებს ბერძნებიც, რომლებიც გამოვექცნენ სულთანის უდელს და საქართველოში 1763 წელს ჩამოვიდნენ.*

ჩამოსახლება შემდგომ წლებშიც გრძელდებოდა. 1810 წ. თბილისში შეიქმნა „თურქეთიდან კავკასიაში მოსახლეობის გადმოსახლების კომიტეტი“, რომელმაც

*Народы Кавказа, т. II, Москва, 1962, стр. 422.

თავისი მოღვაწეობა მცირე აზიაში გაშალა უმთავრესად სასულიერო პირების მეშვეობით".*

თავდაპირველად ბერძნები ქალაქ ბათუმში მოსახლობდნენ, ხოლო მეტეული სოფლებში ერთეული ოჯახები იყო. ბერძნთა დიდი ნაკადის პირველი ჩამოსახლება განეკუთვნება მე-19 საუკუნის 80-იან წლებს. პროფ. ი. სიხარულიძე აღნიშვნას რომ „პირველი ჯგუფი ოსმალეთში მოსახლე ბერძნებისა ბათუმის თღქში მოვიდა 1881 წლის 6 ნოემბერს. ეს ჯგუფი 253 ოჯახისაგან (2.107 სული) შედგებოდა. ისინი სივასის ვილავთის სანჯაფის სხვადასხვა სოფლებიდან იყვნენ. სივასელი ბერძნები ყარსის ოლქში დასასახლებლად მოდიოდნენ, მაგრამ თოვლმა ყარსისაგნ მიმავალი იზები ჩაკეტა, რის გამოც ისინი იძულებული გახდნენ შეიცვალათ მიმართულება და დროებით ბათუმში დაედოთ ბინა. ვამოზამთრების შემდეგ ბერძნები ისევ ყარსში უნდა გადასახლებულიყვნენ, მაგრამ როგორც ჩანს, მთავრობა მოერიდა სამისოდ აუცილებელ ხარჯებს და ისინი ბათუმის თღქშივე დასახლა სახაზინო და მუჰაჯირთა მიწებზე".**

ახალშენი ერთ-ერთი პირველი სოფელთაგანი იყო, რომელმაც მიიღო ჩამოსახლებული ბერძნები. ახალშენის მკვიდრას, 80 წლის ო. ს. მიქელაძის გადმოცემით, რაც მას მამისაგან გაუგონა, თურქობის დროს ბერძნები აქ არ ცხოვორდნენ, ისინი მოვიდნენ 70-იან წლებში. ხოლო მათ ჩამოსახლებამდე სოფელში დანართობის რუსი ოფიცერი, რომელსაც სოფლის საერთო კრებაზე გლეხებისათვის უკითხავს, მიიღებდა თუ არა სოფელი თურქეთიდან ლტოლვილ ბერძნების. ვის უკითხავს, მიიღებდა თუ არა სოფელი თურქეთიდან ლტოლვილ ბერძნების. სოფელს თანხმობა განუცხადება, მაგრამ ოფიცერს მაინც შეუცია სამი დღე მოსაფიქრებლად. საბოლოო პასუხიც დადგებითი იყო.

ცხადია, ბერძნთა ჩამოსახლება შველგან ისე უმტკივნეულოდ როდი ხდებოდა.

ახალშენის პირველმოსახლე ბერძნება უვარებად იშხანიდის, ავგოპულოსა და ახლანიდის ასახელებენ. მათ მოჰყენენ სხვებიც. ჩამოსულები ცდილობდნენ სამოსახლო აერჩიათ მაღლობი ადგილები, რადგან არაჯანსაღი კლიმატი, მაღარის კერა დაწვდათ. ახალმოსახლეებს ამგარი პირობები განსაკუთრებულ სინერგიას უქმნიდა.

ახალშენელი ინფორმატორი ი. პაპაიანიდი (დაბადებული 1935 წ.) იგონებს კველებისაგან გაგონილს: „ციდან მკვდარი ფრინველი ცვილდაო“, დაბლობში მაღალი ლარია ბობოქრობდა, ამატომაც ხალხი მიდიოდა მაღლობში, საღაც იყო სუჟით ჰაერი და წავალი“.

საგულისხმო, რომ მოსულთათვის დასახლების ადგილები უცხო არ იყო. ბერძნენი მამაკაცები ხშირად დადიოდნენ სამოგარზე საქართველოს სხვადასწვა კუთხეში. პირველ ხანებში, როცა მიწა საკმარისად იყო, ცალკეული ოჯახები ფლობდნენ მიწის დიდ ნაკვეთებს.*** შედარებით გვიან ჩამოსული ბერძნები მიწებს ადგილობრივ მკვიდრთავნ. ყიდვისას დგებოდა საბუთი „თაფი“, ფარულობდნენ ადგილობრივ მკვიდრთავნ. მიწის ნაკვეთი უმტკიცდებოდა ამარის საფუძველზეც, მოწმეების თანდასწრებით, მიწის ნაკვეთი უმტკიცდებოდა ამარის იმ პირს.

ბერძნები სახლდებოდნენ კომპაქტურ ჯგუფებად. მათ შორის იყვნენ შესა-

* იქვე, გვ. 423.

** ი. სიხარულიძე, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა“, წიგნი II, ბათუმი, 1959, გვ. 40-41.

*** ლ. დემუროვა, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 1981 წ. ეთნოგრაფიული ექსპედიცია, საველე დღიური № 1, გვ. 3.

ნიშნავი კალატოზები, რომელთა ოსტატობა ჯერ კიდევ თურქეთის სოფელ /ახ-
თაში იყო განთქმული. ისინი აგებდნენ სახლებს ახალმოსახლეთათვეს. ასეთ
მეტწილად ერთსართულიანი იყო, იდგა შუა ეზოში. ქვის საფეხურებისკენ დატურ
რა მოვდნის გავლით შედიოდნენ თოახებში. სახლი ჩეველებრივ რო ჰუთშისტეჭა
ვერანდისაგან შედგებოდა. იატაკი თიხისა, იყო, იშვიათიდ — ხისაც. კედლებს აშე-
ნებდნენ თიხითა და აკურით. სახლს ხურავდნენ მარსელის კრამიტით. ხოლო
ჭერი წაბლის მასალისაგან კეთდებოდა, რომდენადაც მახლობელ ტყეებში მრავ-
ლად იყო წაბლისა და წითლის ხები. ამ ტაბას სახლს ბერძნები „ერ-ევა“-ს
ეძახდნენ, რაც „მიწურ სახლს“ ნიშნავს. ოთახები ერთმანეთისაგან გამოყოფილი
იყო ხის შეუდებავი ტიხარით — უჯნებარს უკეთდებოდა დარაბები. გარეთა მასი-
ური კარები მზადდებოდა წაბლის მასალისაგან, რომელზედაც პკიდებდნენ დიდ
ბოქლომს. კარები გადიოდა დიდ ოთხში, სადაც კედლები დატანებული იყო ბუ-
ხარი — „ოჩახ“. საკამაური შენდებოდა თლილი ქვით, ბუხარი შემცული იყო
ორნამენტით. ბუხრის თაგზე განლაგებული ძირ თარი, რომელზედაც დგბდნენ
ლამპას, კვარს და ჭრაქს. ბუხრის ორივე მხარეს იყო ნიში ხატებით. ეს იყო
ოთახის ცენტრალური აღგილი. აქ დებულობდნენ სტუმრებს და აქ წყდებოდა მნი-
შვნელთვანი, ლეგანური საკითხები. მეორე კედლებზე ჭურჭლის თაროები ჰქონდათ.
ჭურჭელი სპილენძისა იყო, ნაწილი — ჩამოტანილი, ნაწილი ხოფ. სურმენას
მცხოვრებლების დამზადებული, რომელებიც შესანიშნავი მეალებში და მჭიდლება
იყენებოდნენ.

ჩვეულებრივ თახაში იდგა ხის ტახტი, რომელზედაც გადაფარებული იყო შინ-
ნაქსოვა უხეში ხალიხა „ქილიმი“. ქილიმს ზემოდან აწევდნენ მუთაქქებს.

ლოვინაზე ცენტრალური ხის ტახტებს, რომელზეც დაგებული იყო რამდენიმე
მატერიალი დეაბა და საბანი. ბალიში ბუმბულისა იყო, ღარიშები ბალიშისათვას
იყენებდნენ სტინგის ფუჩქებს.

კომური, ჩვეულებრივ, მოთაგხებული იყო სახლის ქვეშ. გომურის მიხაწყო-
ბად მიწას თხელისნენ წერაქვით და გაპქონდათ ყანაში, ხოლო კედლებს ქვით ან
თიხით ამორფულებრის. მოსახლეობა ძირითადად ინახავდა ადგილობრივი ჯიშის
საქონელს, რადგან ჩამოყანილი ჯიში ვერ ეგულოდა აღგიღობრივ კლიმატურ და
ეკოლოგიურ პირობებს. სანაშენე საქონელს ყიდულობდნენ ბათუმის ბაზარზე.

სამიზანმიმედო სამუშაოს ძირითადად ასრულებდნენ ქალები, ხოლო მამა-
კაცები სამიზანზე დადიოდნენ. მათ შორის იყვნენ გაწაფული ოსტატები. ასე,
კაცები სამიზანზე დადიოდნენ. მათ შორის იყვნენ გაწაფული ოსტატები. ასე,
მაგალითად, სახელგანთქმული იყო დელანიდის ვარი, როვორც დახელოვნებუ-
ლი ქვისმშეწული ისტატებისა. ჩილიკიდები და ასლანიდები ცნობილი იყვნენ ხა-
ბაზისით. გორგა და ივანე ახლანიდებს ჰქონდათ საუთარი უკრნეც. მანიშნებე-
ლია, რომ ბათუმში პურის საცხობი ფურნები ძირითადად ბერძნების მიერ იყო
აშენებული.

ხოლოს მკაფიო მოსახლეობასა და მიგრანტებს შორის ურთიერთობა არ გა-
როვდებულა ენობრივი ბარიერის შერივაც. როვორც ადგილობრივ ქართველ მო-
სახლეობას, ასევე ბერძნებსაც წილად /ხვდათ განეცადათ რევოლუციამდელი უ-
ფის მძიე განსაცდელი.

ახალშენის მრავალეროვანი მოსახლეობის ნამდვილი კეთილმეტობლური და
ინტერნაციონალური ურთიერთობის გაფურჩქვნა მხოლოდ ოქტომბრის სოცია-
ლისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ გახდა შესაძლებელი.

ლარისა ლემშორივა.





414-ც. შითალდროშოვანი...

1942 წლის ზაფხულში ყირიმში შექმნილმა უაღრესად რთულმა ვითარებამ ვანაპირობა წითელი არმიის კილევ ერთი ახალი შენარითის – 414-ე ქართული მსროლებელი დივიზიის ფორმირება. დივიზიის მთელი პირადი შემადგენლობა მზად იყო სისხლის უკანასკნელ წვეთმდე ეპროტოლა ფაშისტთა ურდოების წინააღმდევ ჰიტლერებებს დიდი ხანია იზიდავდა კავკასია, მისი სიძილიდრე, ადგილმდებარეობა. ფაშისტურმა ჯარებმა 24 ივლისს აიღეს როსტოვი, გადალიახეს მდინარე დონი და შეაცვალენ კავკასიის დაპყრობის გეგმის – „ედლევაისის“ განხორციელებას.

სოციალისტური სამშობლო დიდი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა.
უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკის მითითებით, მტრის ჭარბი ძალების შე-
ტევის შეჩერებისა და მისი შესუსტების მიზნით ჩრდილო კავკასიაში დაჩქარებუ-
ლი ტემპით შეიქმნა ბევრი ეტყელონირუბული თავდაცვის ზღვედე, წინააღმდეგობის
კვანძი და ზოლი, მათ შორის მდინარე ორგზე და კავკასიის მთავარი ქედის ჩრდი-
ლოეთ მისადგომებთან. ამ სამუშაოს შესრულებაში დირსეული შეფასება დაიმსა-
ხურა 414-ე მსროლელმა ქართულმა დივიზიამ. მრავალი სასახლო ფურცელი ჩა-
წერეს ამ დივიზიის მებრძოლებმა დიდი სამარტლო ომის მატიანეში. მათ მძამე
კლიმატურ პირობებში, 1942 წლის 1 აგვისტოდან დაწყებული, უთანასწორო
ძრძოლებით გაიარუს მთელი ჩრდილოეთ კავკასია, კრასნოდარის მხარე, ტამანის
— ნაქევარ ქუნძული, ქერჩის სრუტე, ყირიმის მიწა-წყალი და გმირი ქალაქის —
სევასტოპოლის განთავსუფლებით დააგვირგვინეს თავისი სახელოვანი 1880-იალო-
შეტერიანი საბრძოლო გზა. დივიზიის მამაცური მოქმედება მრავალგზის იყო მოხსე-
ნებული უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის ბრძანებებში.

1943 წლის მარტში მე-18 არმიის საბრძლად დაინიშნა კ. ლეხელიძე. ამ არ-
მიის საბრძოლო ამოცანა იყო ჩრდილო გვერდის დამარცხებული უკავებელი
ჯარების განადგურება და ნოვოროსიისკის, ანაპისა და ტამანის ნახევარ-
მტრის ჯარების განადგურება.

1943 წლის აპრილში მე-18 არმია გადატვითდა სადესახტო არმიად. არმიის პილატგანულობის უფროსად დაინიშნა პოლკოვნიკი ლ. ი. ბრეჟენევი. ამ არმიაში შეივანეს აგრეთვე 414-ე ქართული დივიზია. კარგად მოყიდვებულმა და გააზრებულმა გეგმამ არმიას დღით გამარჯვება მოუტანა; 1943 წლის 16 სექტემბერს დერიშით აიღო შავი ზღვის მნიშვნელოვანი ნახევადგური ნოვოროსიისკა, ამავე წლის 21 სექტემბერს – ანაპა, ხოლო ჩვიდემეტი დღის შემდეგ – 9 ოქტომბერს მთლიანად გაათავისუფლეს ტამანის ნახევარკუნძული. ეს გმირობა 1943 წლის 9 ოქტომბერს სამშობლომ 224 ქვემენის თცი საარტილერიო ზალპით აღნიშნა.

საბჭოთა ჯარების შეტევის შედეგად 35 ლის განმავლობაში ყირიმის მიწა-წყალი მთლიანად გაიწმინდა უაშისტებისაგან. ყირიმის ბრძოლები გერმანელებს 300 ათას მოკლულ და დაჭრილ ჯარისკაცად დაუკდათ. განაღვეულდა მტრის 2 არაბის მაგალითი და ერთი ბრიგადა. მტერთან ბრძოლებში ქართველმა მეომრებმა გმირო-ბის არაბული მაგალითები გვიჩვენეს.

“ მ დღეებში გაზეთი „პრავდა“ წერდა: „დიდია ქართველ მებრძოლთა ხელვაზე და თავისი მშობლიური საქართველოსადმი. ბედნიერია საქართველო, რომელიც ასეთი შეიღები ჰყავს, უძლეველია საბჭოთა ქვეყანა, რომელმაც ხალხში მდგრადი ლუნინური მექობრობა“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 24 მაისის ბრძანებულებით, ანაპის 414-ე ქართული მსროლელი დივზზა დაჯილდოვდა წითელი ღრმის რადენით. „სევასტოპოლის“ სახელწიოდება მიენიჭა ამ დივზზის 1367-ე და 1371-ე მსროლელ პოლკებს. 5 ათასზე მეტმა ჯარისკაცმა, უფროსმა მეთაურმა და ოფიცერია, მათ შორის 1560 კომუნისტმა მიიღო მთავრობის საბრძოლო ჯილდუები — ორდენები და მედლები. სევასტოპოლის ბრძოლებში გამოჩენილი განსაკუთრებული გაულადობისა და ვაჟკაცობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ სერგო ჩხაიძეს, გრიგორ სამხარაძეს, ვლადიმერ პაპიძეს და ალექსანდრე იოდისს.

414-ე ქართულ დავითიას სხვადასხვა დროს 1942 წლის თებერვლიდან 1944 წლის მაისამდე, მეთაურობდენ ი. ქანთარია, ფ. რიბალჩენკო, ი. იოსევიჩი, ი. ბახალაშვილი, ნ. სელიშვილი (დაიღუპა ბრძოლის ველზე), ა. ბერუბაშვილი, ო. მუსერიძე, პ. მეტალნიკვეთი, გ. ფურაშვილი, ვ. ძაბახიძე. წიგნებში „414-ე წითელი მეტობენის პლატფარმშე“, რომელთა ავტორია 414-ე ქართული მსროლელი დავითიას პლატფარმის გრიფილი უფროსი ვარლამ ჯანჯლაკა, მდიდარი საარეკი დოკუმენტებისა და პირადი მოგონებების საფუძველზე, კრიცადა წარმოდგენილი ჩავასის დაცვისათვის წარმოებული გმირული ბრძოლების უდიდესი მნიშვნელობა ქვრის, ტამანის, სევასტოპოლისა და ყირიმის გამავისუფლებისათვის, ისტორიულ ბრძოლებში სახელმოწვევის 414-ე ქართული მსროლელი დავითიას მოელი პირადი შემადგენლობის გმირობა და საშმობლოსადმი უსასედვინ კრიფულება.

ინიმისათვის ბრძოლაში საქართველოს 120 ათასზე მეტი წარგზავნილიდან 61.800-მდე მებრძოლის სიცოცხლე შეეწირა სამშობლოს თავისუფლებას. ისანი საბჭო საფლავებში განისაკვნებენ. ყველანი ქედს ვიხროთ მათი სსოფნის წინაშე. შედრულ პატიკს შოვაგებთ, ცოცხალი ყვავილებით ვამკიბოთ მათ სადაცბლად აღმართულ ობულისქვებს, და ვამბობთ: არავინ და არავერი არ არის დავიწყებულ!

იასონ ცერცვაძე,

ანაპის 414-ე წითელი მსროლელი დავითიას ვეტერანი, გადამდგარი მაიორი.

სოჭალს ახსოვას

თუმცა ჩხაძირში (ხულოს რ.) ფუმბარა არ ჩამოვარდნილა და არც მტრის ნალმი აფეთქებულა, მავრამ მაიც ერთობ დიდი მსხვერპლი გაიღო მთის ამ პატარია სოფელმა. სამშობლოს პირველსავე დაბახილზე 30-მდე ხიხაძირელი ვაჟკაცი წავიდა ფაშისტი ავზაკების წინააღმდეგ საბრძოლელად, მათგან ოცზე მეტი აღარ დაბრუნებულა.

სოფელის წყაროსთან ახლახან აღმართული სტენდიდან გვიღმიან უწვერულვაშო თუ ახალწვერულებამაშლილი ჭაბუკები. უმრავლესობას მრისხანი იმის ძნელდა და გრძელ გზაზე უდროთ შემოტავდა, სამშობლოს საკურთხეველზე დაიწვა და დაიფერფლა. ისინი, სწორედ ისინი იყვნენ დღევანდელი მშვიდობიანი დღისა და უშფოთველი დამის შემთქმედნი, თავიანთი ლამაზი სიცოცხლე რომ

ანაცვალეს დიად სამშობლოს, მის ლამაზ ბარსა და მთას, მის ასე ლურჯი ცას, რათა შემდგომ არასდროს არ გადაფარებოდა იმის დაწყებლები.

ამ სოფლის მკვიდრი თოფუზ გაბაძე ჩიხაძირის საშუალო სკოლაში მშენების კლასიდან წავიდა საბჭოთა არმიის რიგებში. იგი ქ. ბაქოს ოფიცერშიც მცირდებოდა დამთავრებითიანავე ლეტენანტის ჩინით პირდაპირ სტალინგრადის დამცველთა რიგებში დგება და ერთ-ერთი შეტევის დროს იღუპება. ასევე უშიშრად ურკო-ნებოდნენ ჩვენი სამშობლოს დასაცავობად შემოსულ მტერს მეჯიდ აბაშიძე, ზორბეგ, დურსუნ, ზაბით, ხუსეინ, ხასან, დურსუნ, ყადირ გაბაძებები, შევიდ აბაშიძე, იუსუფ, ქირმან გორგაძები, თოფუზ, ფქირი, ენვერ, ხუსეინ ჯაიანები, აბა, მემედ ბერიძები, დურსუნ ცეცხლაძე ზექერი ხალვაში და სხვები; ბრძოლაში მიღებული ჭრილობებით დაბრუნდნენ სოფელში და დაღხანს არ უციცხლიათ მემედ გაბაძება და ჯაფარ სურმანიძეს.

სტენდის ერთი კუთხე დათმობილი აქვს იმის მნელ გზაზე გამოვლილთა ფოტოებს. ესენი არიან: ვეზირ აბაშიძე, მიხეილ გორგაძე, დურსუნ ბერიძე, ზერ-ზო იშხნელიძე, მუსტაფა და ფოლად ჯაიანები, რომელიც იძრძლინენ ბრუსტას, მოსკოვის, კურსეის, მინეგიბარ და სმოლენსკის მისადგომებთან, მტერზე გამარჯვებასაც მოესწრნენ და დღესაც აქტურიად მონაწილეობენ საკოლმეურნეო შრომაში. ამასთან ახალგაზრდობის წინაშე სისტემატიურად გამოდიან მოგონებებით, მოუთხრობენ მათ დიდი სამაშულო იმის ეპიზოდებს, ამ თმში საბჭოთა ხალხის გამარჯვების დიდ საერთაშორისო მნიშვნელობას.

შეჰქერებ სოფლის წყაროსთან ახლაბან აღმართულ სტენდს და თითქოს გესმის შვილდაბარგულთა, ძმარდაკარგულთა, უდროოდ დაობლებულთა ოხვრა-გოდება, ხედავ იმათ ცრემლიან თვალებს, რომელთა გულებში დროსაც ვერ გაუნედება იმით გამოწვეული მწეხარება.

შევიდერი მეჯიდ აბაშიძის, თოფუზ, ზაბით, დურსუნ, ყადირ, ხუსეინ გაბაძების ლამაზ სახეებს და მახსენდება ჩვენი უხუცესი პოეტის ნესტორ მალაზონიას ერთი ლექსი... თითქოს მათზე ეთქვას:

გვალახ უშენობის ეს სიშარტოვე
შე და დედაშენს — ძაბით შემოსილს:
მემკვიდრე ვაჭაც ვეღარ დატოვე
ცხრაძმათა მამულ საქართველოში.

დიახ, ისინი ვერ მოესწრნენ შვილებს, ისე დაიფრთულნენ იმის ხანძარში. ამადე ელოდნენ მათი მშობლები, და-ძმები, გულისწორები დას დაბრუნებას.

ჩიხაძირის ცენტრში, სოფლის წყაროსთან გამართული ეს ლამაზი სტენდი იმში დაღუპულთა და იმიდან გამარჯვებით დაბრუნებულთა შესანიშავი მეგლია, რომელიც გვამცნობს, რომ არავინ და არაფერი არ არის დაგიწყებული, ამასთან, გვაურთხილებს და მოგვიწოდებს: ერთი წუთითაც არ შევანელთ მშევრობისათვის ბრძოლა, არ მოვალუნოთ სიუხიზლე.

ყველაზე მეტად მისასალმებელი და საამაყო მაიც ის არის, რომ ამ შეხანი-შავი, საშვილიშვილო საქმის ინიციატივით ჩიხაძირელი კოლმეურნეა — ნიკოლოზ გაბაძე. სწორედ ამ კაცურმა კაცმა საკუთარი სახსრებითა და საგუთარი მარჯვენით სოფლის წყაროც კეთილმოაწყო და ღიმილის ბიჭებაც შეხანი-შავი ძეგლი დაუდგა.

მარჯვენა დაგელოცოს, ნიკოლოზ!

სკალტისტყვლის ხეობაში

၁၃၀

უმოკლესი გზა აჭარასა და აღტანს შორის მდინარე სხალთისწყლის ზე-
ბაზე გადიოდა. აქ მნაძვნელებინი გზის პირას მდებარე სოფელი სხალთა ცე-
რალურ ხანძში მდიდროდ დასახლებულ ადგილს წარმოადგენდა.

სხალთისტების ხეობა 1977 წლიდან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის საქეციერო-გელვაითი ინსტიტუტისა და საქართველოს არქიტექტურული კულტურული კავშირის აჭარის ორგანიზაციის გაერთიანებული არქეოლოგიური ექსპლიციის თანმიმდევრული საკულტო კულტურული ძეგლის მიღების ობიექტთა დაცვა. ღრმის ამ მცირებული კულტურული ძეგლის მოპოვებულია თვალსაჩინით შედეგები. გამოვლენილია ახალი ქვის სანის (ხინაძირი, ნაჩაძრევი, წაბლანა), გვიანდრინჯალის (ხინაძირი, ფუშტურა-გაული) და განსაკუთრებით კი განვითარებული შუა საუკუნეების მატერიალური კულტურის ძეგლები; სოფ. ვერნების, ხინაძირისა და თბილევნის კედესათა ნანგრევებზე განხორციელდა არქეოლოგიური გათხრები. დაიწყო ხინაძირის (ვარდინიები-ციხისისეული) ხაფორტული ინსტანციის მიერ გადასახლების შესწავლა.

1981 წელს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის საბალთისწყლის რაზმა დაიწყო არქეოლოგიური გათხრები ქართული ხუროთმოძღვრების კრთ-კრთი უმნიშვნელოვანესი ძეგლის საბალთის ეკლესიის ტერიტორიაზე.

როგორც ცნობილია, სხალთის ტაძარი მდებარეობს მდინარის მარჯვენა სანაპიროზე, მაღალი მთის ფერდის იღზავ მოვაკებულ ადგილზე. ეკლესიის მოვალინი შემოფარგლულია გალავნით. ღრითა განმავლობაში მომხდარი მისი მრავალგზის აღდგნა-გადაკეთება. ვარდა დღემდე შემორჩენილი ტაძრისა, შეინიშნებოდა მცირე ზომის ნაგებობის ნაშთები. სხალთისწყლის ხეობის რაზმის მიზანი იყო ამ ნაგებობის არსეთ გავება და ეკლესიის ტერიტორიაზე უეოდალური ხანის სამართებას შესწავლა. პატარა ზომის ნაგებობის ტერიტორიაზე თანამედროვე ზეტაპირიდან 50-60 სმ აღების შემდევ უკე იწყება სამართა დინე, როგორც თუთ ნაკვეთის შიგნით, ასევე მის გარეთაც.

პირველ რიგში შესწავლილ იქნა ამ ნაკეთობების შეგნით არსებული სამარხები, რომელიც წარიჩინებულ პირთა კუთვნილება უნდა კოფილიყო. მცირე ზომის ნაკეთობის დატაქი სამარხების გასამართვად მაქსიმალურად კოფილა გამოყენებული, დასხლებით 30 კვ. მეტრის ფართობზე გაითხარა 6 კოლუმნური სამარხი და ერთი საქმით ღრმად ჩაშვებული აკლამა. აქ განლაგებული კოლუმნური სამარხების ერთ ნაწილში ცალკეული სამარხეული კომპლექსები აღინიშნა კულუბითა გამოყოფილი. პირველ სამარხში 10-მდე მიცალებულის ჩინჩით აღმოჩნდა. რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, ზოგჯერ თავს ჩეჩნს სამარხეული ინკონტარიც – ჯამები, სელადისა და მოჭიქული ჭურჭლის ნატეხები. აკლამის სიღრმე თანამედროვე ზედაპირიდან 2,4 მეტრია, სიგრძე 1,95 და სიგანე 0,85 მეტრი. შეინი კალებაზე შესანიშნავად დაუშავებული თლილი ქვებისგანაა ამოცავნილი. სახურავად გამოყენებული ჩანს მოგრძო ქვის ფილები. აკლამაში ფიქსირებულ იქნა 28-მდე მეტრის კლებად დაზიანებული თავის ქალა და სხვა საბის მცლოვანი მასალა. განძის მაძიებელთ არაერთგზის კლაუნაცვლებით აკლამაში დაკრძალულ მიცალებულთა ჩინჩით. აქ მოპოვებული კერამიკული ნაწარმის მისებული

ჩნის, რომ საძვლე დიდი ხნის მანძილზე, დაახლოებით XIII-XV საუკუნეებში ყოფილა გამოყენებული.

მცირე ზომის ნაგებობის გარეთ, კრძოლ, მის აღმოსავლეთ მონაკვეთზე გამომავლენილ იქნა 12 ორმოსამარხი. თითოეულში დახსხლებით 15-20 მეტრის მასში მიმდინარე იყო ჩასვენებული. სტრატიგოფიულად სამართვანი მრავალფეხანი ჩანს. დიდი ხაწილი უინვენტაროა. იშვიათად ჩნდება კერამიკის მთლიანი ნიმუშები თუ ცალკეული ნატეხები. მე-18 სამარხში არაბული მონეტაც აღმოჩნდა, რომელიც 1238 წელს ჩანს მოჭრილი. ნაგებობის სამხრეთით გაითხარა სამი კოლექტიური სამარხი. კერამიკულ ნაეთობასთან ერთად ყურადღებას იქცევს 21-ე სამარხში აღმოჩნდილი რკინის ჯვარი და 1242 წელს მოჭრილი არაბული მონეტა. სამარხების გასამართვად ყოფილა გამოყენებული ნაგებობის ჩრდილოეთით მდებარე აღვიღებიც. შესწავლილ იქნა 4 კოლექტიური ორმოსამარხი. გვხვდება ზოგჯერ ინდივიდუალური სამარხებიც (№ 24, 27). სხვადასხვა სახის მასალებიდან აღსანიშნავია რკინის დანა და პატარა ზომის კრიქის ჯვარი.

არქეოლოგური გათხრების მიხედვით დასტურდება, რომ ეს პატარა ზომის ნაგებობა უნდა წარმოადგენდეს აღრეულ ბაზილიკური ტიპის ეკლესიას. იგი ოთხკუთხა მოყვანილობისაა. აბსიდა აღმოსავლეთ კედელშია ჩაშენებული. პქონია ორი შესასვლელი — ერთი ჩრდილოეთიდან, ხოლო შეორე კი სამხრეთიდან. ეს უკანასკედი მოვგანონ პერიოდში ამოშენებული ჩანს. სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებს პქონიათ ორშევრილიანი პილასტრები. მათხე ყოფილა თავის დროხ დაყრდნობილი კედლები და კამარის საბრჯვენი თაღები. პილასტრები დატანებულია აბსიდისა და ნაოსის გამოყოფ კედლებთანაც. საგანგებოდაა მომზადებული ეპლების საბირკველი და ცოკოლი. შესანიშნავად დამუშავებული ქვებისგან ნაგებ ცოკოლზე აღმართულია დაახლოებით 60 სმ სისქის კედლები. კედლების როგორც გარეთა, ასევე შიდა ზედაპირი მოპირკეთებული ყოფილა გათლილი მოზრდილი კვადრებით, ხოლო მათ შორის არე შევსებულია კირსხნარითა და დაუმუშავებელი ქვებით. დადასტურდა, რომ სხალთის მცხოვრებთ პირველ ხანებში, შესაძლოა მე-11 საუკუნისათვის, აუგიათ პატარა ზომის ეკლესია. მომდევნო ეპოქებისათვის ამ პატარა ზომის ბაზილიკურ ნაგებობას გეღარ დაუქმყოოვლებია მრევლის მოთხოვნები. მე-13 საუკუნის I ხანებისათვის აუგიათ უფრო დიდი ზომის ჩვენამდე მოღწეული სხალთის ტაძარი, ხოლო აღრინდელი ეკლესია და მის ირგვლივ მდგბარე ტერიტორია არსებითად სამართვად ყოფილა გამოყენებული. დ. ბაქრაძე და პ. უვაროვა არ გამორიცხავენ შესაძლებლობას, რომ ეს ნაგებობა მოგვიანო პერიოდში სამრეკლოდ იყო გამოყენებული.

სხალთის ტაძარი მკითხველისათვის კარგადაა ცნობილი, ამიტომაც აქ ჩვენ სიტყვას აღარ გვაგრძელებთ. ეკლესის აგების თარიღის დაზუსტების მიზნით მცირე მასტების გათხრითი სამუშაოები ვაწარმოეთ სხალთის ტაძრის სამხრეთი კარიბჭის ტერიტორიაზე. გამოვლინდა დამუშავებული ქვის წყობის ნაშენები, განძის მაძიებლების მიერ არეული, უსისტემოდ განლაგებული ადამიანთა ძვლების ნაშენები, კარიბჭის გათხრებისას მოპოვებულ იქნა ბრინჯაოსა და რინის ჯვრები. კერამიკის (როგორც მოჭიქული, ისე სადა) ფრაგმენტები და სხვა. როგორც ვეკრის, სხალთის ეკლესის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ცოტა ფართობის გათხრილა.

1981 წელს სხალთისწყლის ხეობაში წარმოებული საელე არქეოლოგიური კალევა-ძებანი მნიშვნელოვანი შედეგებს მომცემი აღმოჩნდა. გაითხარა სხალთის ტაძრის წინამორბედი ბაზილიკური ტიპის მცირე ზომის ეკლესია სხვადასხვა პერიოდის, კოლექტიური სამარხებითა და მეტად საინტერესო ქვის აკლდამით. ეპლების ტერიტორიაზე გამოვლენილი სამართვანი მრავალფეხოვანი ჩანს, მათი დიდი

ნაწილი საოჯახო თუ საგვარეულო საძვლებს უნდა წარმოადგენდნენ. უფრო
ინტენსიურად ჩანს გაძლიერებული სამაროვანი ეკლესის ცენტრალური ნაწილი,
შისი აღმოსავლეთი მონაკვეთი და აბსიდის ორგვლივ შდებარე აღგილები. სამართლების
ძირითადი ტაპია ე. წ. ორმოსამარხები. 28 სამარხილან 25 ორმოსამარხებულების შემთხვევაში სამარხი და 1 აკლდამა მათში მიცვალებული დაკრძალული ჩანან ზოგადქართუ-
ლი, ქრისტიანული წესების მიხედვით — პირადმა, გაშოტილ პოზაში, თავით აღ-
მოსავლეთისაკენ. როგორც ცნობილია, ქრისტიანულმა რელიგიამ საერთოდ აკრძალა
მიცვალებულისათვის ინვენტარის ჩაყილება. მაგრამ მთავან რაიონებში განვითა-
რებულ ფეოდალურ ხანაშიაც კი მოკრძალებული სახით შემორჩა წარმართული
ხანისათვის დამახასიათებელი ფუფუნებითი დაკრძალვის რიტუალი. გათხრებისას,
როგორც ვნახეთ, მოპოვებულია სადა, მოხატული თუ მოჭიქული ჭურჭელი, რომ-
ლებიც მე-11, მე-13 საუკუნეებით თარიღდება; ასევე ითქმის ქვე, რკინისა და
ბრინჯაოს ჯვრების, ზანხალაკების, რკინის დანის და სხვათა შესახებ.

ახალი აღმოჩენების მიხედვით ჩანს, რომ განვითარებულ ფეოდალურ ხანაში
სხალთისწყლის ხეობა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საქართველოს ეკონომი-
კურ, სოციალურ-პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში. იგი წარმოადგენდა
ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერას. დაწინაურებული ჩანს
ქვით სუროვა. სხალთისწყლის ხეობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია სა-
ქართველოს ცალკეულ რაიონებს შორის ურთიერთობათა სფეროში.

მეტად საშუალ ჩანს ლიტერატურულ წყაროებში დაცული მონაცემების მიხე-
დვით სხალთის გალესის მნატერიბის რესტავრაცია და დაწყებული საველვ პედე-
ვა-ძიების ბოლომდე მიყვანა. ჯვრჯვერობით არაფერი ვიცით სხალთის ეკლესიის
კომპლექსში შემავალი საქმაოდ კარგად გადარჩენილი მარნისა და ეკლესიის გალავ-
ნის შესახებ. ერთ რამ კა უდავთ უნდა იყოს, რომ დღემდე შემორჩენილი სხა-
ლთის ეკლესია აგრძელია მე-13 ს. პირველი ნახევრისათვის.

ამირაც პანიშვი,
დავით კომანიშვი,
მოთა მამელაძე.



ქრისტიან და კუნძულისტიკა

თანამმაღროვის თვალით

ქართველი მკითხველი კარგად იცნობს მკვლევარისა და კრიტიკოსის შოთა ქურიძის პუბლიკაციებს კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის აქტუალურ საკითხებზე. თანადროულობის სამსახურის ბეჭედი აზის ამ გამოკვლევების იდეურ და მეცნიერულ მიმართულებას. ამ თვისებით არის აღმოჩენილი შ. ქურიძის ახალი წიგნიც „წარსულის ფურცელები“, რომელიც გამომცემლობა „სხვჭოთა აჭარამ“ გამოსცა. მასში თავმოყრილია სხვადასხვა დროს დაწერილი გამოკვლევები „ანტონ ფურცელაძე — ლიტერატურის კრიტიკოსი“, „ჭოლა ლომისათობის ლიტერატურულ-კრიტიკული შეხედულებანი“ და „პირველი ლიტერატურული განხეთი, აჭარაში“.

გამოკვლევა „ანტონ ფურცელაძე — ლიტერატურული კრიტიკოსი“ ნაწილია. ავტორის ადრე გამოქვეყნებული მონოგრაფიისა „ანტონ ფურცელაძე შეხედულებანი“, რომელმაც მეცნიერ სპეციალისტთა მონის თავის დროზე დამსახურებული ინტერესი გამოიწვია.

სარეცენზიო წიგნის პირველ ნაწილში გარკვეულია ანტონ ფურცელაძის დამოკიდებულება ძეველი ქართული მწერლობის, XIX საუკუნის ქართველი და რუსი მწერლების, აგრეთვე შექსპირის შემოქმედებისადმი.

ამ ნაშრომში ავტორი ადგენს არა მხოლოდ ისტორიულ წარსულს, არამედ საჭირო სამსახურს უწევს მკითხველს თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებში გასარკვევად. მწერლური სამყარო რომელი ლაბირინთია, რომლის გამოცნობაში პირველარისხოვანი როლი სწორედ მწერლის შთაბეჭდილებას შეუსრულება. ეს ადიარებული ფაქტია და შ. ქურიძის ახალი გამოკვლევა მწერალ ანტონ ფურცელაძის კრიტიკული ნააზრევის შესახებ ამის დადასტურება.

როგორც ცნობილია, ანტონ ფურცელაძე დიდხანს ქვევის თვალით უურკებდა ალ. ყაზბეგის ნიფურებას. მაგრამ, აი, გამოქვეყნდა ალ. ყაზბეგის ახალი ნაწარმოები „მოძღვარი“, რომელმაც მთლიანად შეუცვალა ანტონ ფურცელაძეს სკეპტიკური შეხედულება ყაზბეგის მოელს შემოქმედებაზე. მწერალმა იგრძნო მწერლის ბუნებრივი ნიჭის ელვარება და საფუძველი მიეცა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობას ისტორიაში პირველად აღეწესხა ის კომპლექსი, რომელიც კლასიკური ნაწარმოების კითხვის პრიცესში აღიძვრება მკითხველის შთაბეჭდილებაში. როგორც სამართლიანად მიუთითებს მკვლევარი შ. ქურიძე, ამ ფაქტის მეცნიერული ღირებულებით პირველად პროფ. ალ. ჩავლეოშვილთ დაინტერესდა, და აღნიშნა „ა. ფურცელაძე უბრალოდ კი არ გამდოგვცემს თავის შთაბეჭდილებას, არამედ ახასიათებს თვით კითხვის პრიცესს“... ამ დროს მკითხველი წაკითხულის ცხოვრებით ცხოვრობს. დაკირვება გვიჩვენებს, რომ ფარ-

თა და მწყობრი კრიტიკული აზროვნების სათავეც სწორედ ამ დროს დღისხე-
ბა. თანამედროვე კრიტიკულ აზროვნებას კლასიკური მწერლობა ანიმარქებულ
ალექსანდრე გაზებებისა და ანტონ ფურცელაძის შემოქმედებით შესტერტაჟი
ეს ერთი ეპიზოდი ამის კლასიკური ნიმუშია. ალ. ყაზებების შემოქმედებულის შესტერტაჟის
ანტონ ფურცელაძის დამოკიდებულებაში როგორც ისტორიული თვალსაზრისით,
ისე თანამედროვების პოზიციებიდან შ. ქურიძე მრავალ ლიტერატურულ
პრობლემას განიხილავს. მაგრამ მავლევარი განსაკუთრებული ყურადღებით მაინც
ანტონ ფურცელაძის ცალკეულ ნეგატიურ შეხედულებებს იკვლევს, რომელიც
მწერალს გამოიჩინება აქვს ცალკეულ კლასიკოსთა მიმართ და რომლის გაანა-
ლიზება წარსულის სწორად გააზრებასთან ერთად ხელს უწყობს თანამედროვე
ლიტერატურული პრობლემების სწორად გააზრებას. ამ პოზიციიდან მკალევარი
ვრცლად მამოხიზლავს ანტონ ფურცელაძის შეხედულებებს შექსპირის შემოქ-
მედებით კრელიშვ. საიდან დაებადა ამგვარი სკეპტიციიზმი ანტონ ფურცელაძეს,
შედებით კრელიშვ. საიდან დაებადა ამგვარი სკეპტიციიზმი ანტონ ფურცელაძეს,
ამ უაღრესად კრელიშვ. მწერალსა და კრიტიკოსს შექსპირის მიმართ? იქ-
ნებ შემთხვევით ან იქნებ გაუგაბრიობასთან გვაქვს საქმე? თანამედროვე მკალევე-
ლი ლიტერატურის ისტორიკოსისაგან სწორედ ამ კითხვებზე მოთხოვს დასა-
ლი. ლიტერატურის მომავალში აგვაცილებს მსგავს შეცდო-
ბუთებულ პასეპს, რომელიც თავის მხრივ მომავალში აგვაცილებს მსგავს შეცდო-
ბუთებულ პასეპს. მეტყველებით, შექსპირისადმი ან. ფურცელაძის
შემთხვევით დამოკიდებულებას საფუძვლად ეცნ მხატვრული სახის „ხასიათის,
უარყოფით დამოკიდებულებას საფუძვლად ეცნ მხატვრული სახის „ხასიათის,
მისი განვითარების პროცესის რამდენადმე შეზღუდულად, ცალმხრივად“ გაება...
ანტ. ფურცელაძეს, ევონა, რომ დაღებით გმირს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ
დაღებითი თვესტები, ხოლო უარყოფითს – მხოლოდ უარყოფით, ე. ი. ზედავდა
მარტი თე ფურც. – თვესტებისა და შეას. შექსპირისათვის, კი ამსთავლუტერად
მიუღებულია მსგავსი კონცეფცია. იყო ქმნის ხასიათებს, რომელმცი დაღებითი
და უარყოფითი ერთმანეთში იკრებან და უერებიც ერთმანეთში გადაიან...
შექსპირის შემთხვევის ეს თავისებურება... გაუგებარი დარჩა კრიტიკოსისათ-
ვის. მას ვერ წარმოედგინა, რომ ერთი და იგივე ადამიანი შეიძლებოდა ყოფილი-
ვის. მას ვერ წარმოედგინა, რომ ერთი და იგივე ადამიანი შეიძლებოდა ყოფილი-
ვის. გო გელჩილიც და კვლებაც, კონიერიც და უგუნურიც, დიდიც და პატარაც და,
რაკი ხმიობად რომელიმე დაღებითი გმირის ხასიათში ხედავდა უარყოფითსაც,
თხოლო უარყოფითი ჰქონისაების ხასიათში – დაღებითს, კრიტიკოსს ვეონა, თ-
ო ჰქონის შექსპირს უნარი არ შესწევდა განეხორციელებინა ჩანაფიქრა, ერთის
მაინც ქმნადა შეორებს, არღვევდა ხასიათის ბუნებას“. (გვ. 28).

ზეზებს. „ბაზაროვის მხატვრული სახის შემქმნელი, „მამებისა და ბევრების“ ავტორი, — შენიშვანის შ. ქურიძე, — შეუძლებელი იყო გულში არ ჩამოტკიცებული ცელაძეს, როგორც ნიპილიზმით გატაცებულ მოღვაწეს და ასეც ჰქონდა მომცველი ა. ფურცელაძეს ვეღარ დაკმაყოფილებდა ტურგენევის „ბოლონირინდელი ნაწერები“. რომანები „ბოლი“ და „ფამირი“, აგრეთვე მისტიკურ-პესიმისტური მოთხოვები, რომელიც მწერალმა სამოცდაათასი წლებში გამოაქვეყნა, აյ მწერალმა უარყოფითად შეაფასა როგორც რეაქტიონერთა, ისე რევოლუციონერთა მოღვაწეობა რუსეთში“. (გვ. 75-76). ამის შემდეგ მკითხველისათვის კა მოლიანად გასაგებია ავტორის დასკვნა: „ამდენად, ტურგენევის „ბოლონდელი ნაწერების“ კრიტიკა, თუმცა აშკარად გადაჭაბბებული, არ არის მოყლებული ერთგვარ საუშმელს“. (გვ. 76).

ორიგინალობის, ფართო ლიტერატურული და საზოგადოებრივი ინტერესების ბეჭედი აზის გამოკლევას „ჭოლა ლომთათიძის ლიტერატურულ-კრიტიკული შეხედულებანი“. ცნობილია, რომ ჭოლა ლომთათიძე კრიტიკოსი არ ყოფილა და ლიტერატურის ისტორიას არც მისი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები შემორჩენია. როგორც შ. ქურიძე მიუთიებს, ერთადერთია ლიტერატურულ-კრიტიკული სტატია, რომელიც „მგალშია“ დაბეჭდია 1901 წელს და ჭოლა ლომთათიძე სამ სხვა ავტორთან ერთად აწერს ხელს. და მაიცნ, ჭეშმარიტი მამიებული მკვლევარი და კრიტიკოსი ახერხებს საინტერესო ნაშრომის შექმნას. ავტორი ხელმძღვანელობს ჭოლა ლომთათიძის შემოქმედების სტილის თავისებურებებით. როგორც ავტორი შენიშვანს, „მნელია დავასახელოთ მეორე ქართველი მწერალი, რომლის მოთხოვებშიც ასე უხვად ვეხვდებოდეს „კრიტიკული ჩანართები“, როგორც ჭ. ლომთათიძის შემოქმედებაში“ (გვ. 126). პირველი, რასაც ადგენს შ. ქურიძე ჭ. ლომთათიძის ამ „კრიტიკული ჩანართებით“ და რომელსაც ისტორიულ-თეორიული ლიტებულება გააჩნია ქართველი მარქსისტული ესთეტიკური აზროვნების ჩამოყალიბება-განვითარებაში, არის მწერლომბის კავშირი კადანსად ჰქინილი წარმოდგენილი ზოგიერთ კრიტიკის, ჭ. ლომთათიძემ ახალი კადანსად ჰქინილი დასახყისიდან აღიარა და დაასაბუთა, რომ ლიტერატურა არ არის ცალკეულ პირთა კერძო საქმე და ნამდვილი ხელვანი საზოგადოების ინტერესებით უნდა ხელმძღვანელობდეს, რომ ცვლილებანი ხალხის, საზოგადოების ცხოვრებაში გარდუვალად იწვევს ცვლილებებს ლიტერატურაში.

მეორე მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც მკვლევარმა დამჯერებლად ცხადყო და რომელსაც უაღრესად სადღეისო მნიშვნელობა აქვს, ეს არის ეროვნული ლიტერატურის მნიშვნელობა რევოლუციონერთა ეროვნული კატალიტის მომზადებისათვის. მკვლევარი წერს: ჭ. ლომთათიძემ ერთანერთისაგან გამიჯნა ჩვენი ლიტერატურის ორი ნაკადი და ქართული კლასიკური მწერლობა ხალხის იდეურ აღმზრდელად, მისი ინტერესების გამომხატველად გამოაცხადა. ჭ. ლომთათიძეს რევოლუციონერის დირსებად მიაჩნია ქართული ლიტერატურის ცოდნა და ილიასა და ვაჟას პოეზიით გატაცება. (გვ. 99).

მეცნიერული თვალსაზრისით მესამე დიდნიშვნელოვანი შედევრი ჭ. ლომთათიძის ნაზრევში ლიტერატურული ნაწარმოების ეთიკური დირებულების წინ წამოწევა, ძველის წინააღმდეგ და ახალი სამყროს დამკაიძრებისათვეს მებრძოლი ლიტერატურა მთლიანად მოიცავს აღმიანს, მის იდეურ და უნეობრივ სამყროს. მოთხოვება „პირველი მაისის“, „საპურიბილებს“, „თეორი დამშენების“ განალიზების საფუძველზე შ. ქურიძე მიღის განხოგადებულ დასკვნამდე: „ჭ. ლომთათიძეს ლიტერატურა მიაჩნდა აღზრდის მძღავრ იარაღად და ყოველთვის ხაზს

ବିଶ୍ୱାସ କରିବାକୁ ପାଇଁ ଏହାକିମଙ୍କ କାହାରୁ ନାହିଁ ।

შ. ქურიძეს ახალ წიგნში „წარსულის ფურცლები“ მრავალ საფურადლებო ცნობას, მასალას და განხოგადებას იპოვის ქართული ღიატერატურის ისტორიითა და ღიატერატურათმცოდნეობის პრობლემებით დაიხტერესებული მკითხველი.

ဝါဒန် နဂါနပုဂ္ဂဆောင်



„ცაბუნიას“ ზეორბრივი იდეალური

კ. ღორგეშვილის პატარა მოთხრობამ „ცაბუნიაშ“ დაბეჭდისთანავე მიიქცია ფურადება და რაც დრო გადის, მით უფრო იზრდება მისდამი ონტერესი. „ცაბუნია“ საიცრად პოპულარული გახდა, იგი ერთნაირად საინტერესოა, როგორც მოზარდა თაობის, ისე ცხოვრებით დაბრძენებული ადამიანისათვის; იგი ერთნაირ სიძლიერით აქმაყოფილებს ყველა თაობის წარმომადგენლის სულიერ მოთხოვნილებას.

როდესაც „ცაბუნიას“ ზნეობრივი იდეალებისა და მოთხრობის იდეურ ღირებულებაზე ვლაპარაკიბთ, არ შეიძლება არ მოვისხენით თანამედროვე კრიტიკაში გავრცელებული ერთი ტენდენციური შეხედულება, რომელიც, ჩვენი აზრით, არ გამომდინარებოს მოთხრობის აკტორის მიზანდასაუღებიდან და ზიანს აფენებს ნაწარმოების სწორ იდეურ გააზრებას.

კრიტიკოსმა კ. მეგველიამ „ცაბუნიას“ ანალიზისადმი მიძღვნილ შრომას „სიკეთე სიცრუისა“ უწოდა. მწერალმა და კრიტიკოსმა რ. მიშველამებ წერილში „სიკეთისა და სიანულის საწყაო“, ფრთხილად შენიშვა: „როგორც ჩანს კოილშებილი ტექნილიც არსებობს“ (რ. მიშველამე, „ეპოქის გზებით“, 1976 წ. გვ. 91).

კ. მეგველიას წერილის სათაურიც კი პირდაპირ შიუთითებს, რომ „ცაბუნიას“ შთავარი თქმა არის სიცრუის, ტექნილის კეთილშებილი გავლენა ადამიანთა ცხოვრებაზე. ჩვენი ღრმა რწმენით, ამ მოთხრობის იდეური ანალიზისათვის ტექნილის კეთილშებილურა გავლენის გაზიარდება მართებული არ არის. საესტებით სწორად შენიშვანებს რ. მიშველამე თავის წიგნში „ეპოქის გზებით“: თუ არჩილ მესხის საქ-ცუკლის მორალის მეაცრი კანონებით განვსჯით, იგი გამართლებას ვერ პიოვებს, ცოდებსი ყოველგვარ ტექნილ კრძალავს. ზოგიერთ ქვეყანაში სასამართლოს წესით ისჯება ექიმი, რომელიც მოურჩენელი სენის შესახებ დაუმაღავს ავადმყოფს. მოწიფეულ ადამიანებს სიმართლე ურჩევნიათ საორდინით ტექნილს. პუშკინს თავისმა ექიმს პირდაპირ უთხრა, „ოქენი კრილობა სახიკვდილია“. „მაღლობელი ვარ მოწიფებული ხელმწიფევ, რომ არ დამიმაღეთ. ამათ იმედი ჩემთვის ანლა დამღებველი იქნებოდა“, — უთხრა პოეტმა... მერე სავარძელში ჩამჯდარი, მშეიდად დაუღოლა სიკვდილს. ახეთი სიკვდილი მხოლოდ დიდ ადამიანებს შეუძლიათ, ჩვეულებრივ მოკვდავთა ბრძან დაიმედებაც არ ბრწყინავს სიკეთის შუქით.

ჰემმარიტი თვალსაზრისით. ჩვენი ლიტერატურის კლასიკოსები ფოველთვის უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ ტექნილის მიმართ, სიცრუე, სიყალე მათ საზოგადოების გაღუპვის მიზეზად მიაჩნდათ. მით უფრო, თანამედროვე მწერალი ვერ იყისრებს ტექნილის პროპაგანდისტების როლს. პირიქით, ჩვენი აზრით, „ცაბუნია“ გმობს ტექნილს, სიცრუეს, მის წარმომშობ მიზეზებს, განვებგანვიადებულად მიუთითებს ტექნილის თქმის შედეგად შექმნილ ტრაგიკულ სიტუაციაშე და ქვეტაშესტით მივვანაშენებს, რომ ტექნილი მიუტევებდა ცოდვაა და იქნებოდა ამ მოთხრობის საზოგადოების დამღებველი. ასე რომ არ იყოს, გამართლებული ზნეობრივად საზოგადოების დამღებველი. ასე რომ არ იყოს, გამართლებული იქნებოდა ამ მოთხრობის სასკოლო პროგრამებში შეტანა. (იგი მეექვე კლასი ისწავლება).

კ. ღორგეშვილის მოთხრობაში ურთი წუთითაც არ იგრძნობა ტექნილის კეთილი გავლენის პროპაგანდა. პირიქით, მკითხველი მშვენივრად აღიქვამს ტექნილის მთემელი ადამიანის ტრაგიკულ განცდებს. „ისევ მე წავალ ამ ქალაქიდნ, ასე აჯობებს. ცაბუნია კი ელოდის მამას..., ოში კვალაფერი მოსავლია. ზოგჯერ კაცს გამოიტირებ, ჯვარს დაუსვამ, მერე ერთ მშვენიერ დღეს გაიხედავ და... ის კაცი

აგერ არ მოდის ცოცხალი და ჯანმრთელი?!“ — ეს სტრიქონები გასაფრთხო ნაშაურით განაცდებინებს მკითხველს სიცრუის ამაოებას. მკითხველი ვუმანის ვრძნობს, რომ არჩილ მესხი დამარცხდა. მისთვის საბედისწერო შეიქმნა უკუჩის უაჭარა უიქრებლად წამოსროლილი ფრაზა და თავისი საქციელი მხოლოდ უიშელო მოღვაწეობის დანის ტრაგიკულად განცდილი დაღადისით გამართდა.

მაშ, რათ იყორბს ეს შესანიშნავი ნაწარმოები თანამედროვე მკითხველის, მოსწავლე ახალგაზრდობის უკრალდებას?! ამ ნაწარმოების ზნებრივი იღეაღი საკაცობრიო მნიშვნელობისაა. — ეს გახლავთ ომის ტრაგიკული შედეგების დაგმობა და შვიდობისაკენ დაუკეტებლი მისწრაფება.

ისმება კითხვა, მაშ როგორ გავამართოთ სიცრუე, რომელიც ფიგურირებს ნაწარმოებში? ჩვენი აზრით, კ. ლორთქიფანიძის მიერ „ცაბუნიაში“ გამოყენებული სიცრუე არის ერთგვარი ლიტერატურული ხერხი მოთხოვთაში დასმული პრობლემის უფრო მძაფრად წარმოსაჩენად.

როგორც ჟავე შევნიშნეთ, ამ ნაწარმოების ძირითადი მიზანდასახულებაა, ანუ ვენოს, თუ რამდენად საშინელი და უბედურების მომასწავებელია ომი, როგორ გამოუვალ ტრაგიკულ მდგომარეობაში აკდებს საზოგადოებას სისხლისმდვრევლი იმები. ომის საშინელმა შედეგებმა განაპირობეს სიცრუე. ომის საშინელების ფონზე ხატავს მწერალი იმერტის ერთი კუთხის მცხოვრებლებს, ხალაც ომის შედეგად ხილარიძე და სევდა დასადგურებულა.

ვალოფა აბულაძე — ცაბუნიას მამა მოთხოვთაში წარმოდგენილია, როგორც შრომისმეტყვარებულ ჯანმარინ და ძლიერი ადამიანი, მისი ფიქრი და საზრუნვა ცოლ-შვალია, ოჯახია, მაგრამ საშინელმა ომმა ვალიკოს თცნებას, ფიქრსა და განხევას საფუძველი გამოიყალა, ივი მშობლიურ მიწას მოაცილა, ხოლო მისი ოჯახი ტანკვა-ფუბაში ჩააგდო.

მწერალი ამ ტანკვა-ეკებას უბრალოდ კი არ მოგვითხრობს, არამედ ოსტატურად ვენატავის: „ახრითლებულ ნავთის ლაპპას ქაღალდს ჩამოაფრებებს, რომ მძინარე ქუჩა სინათლემ არ შეაწუხოს“, ანდა „წუხელ დიდი შიში ვნახეთო, ფანჯარა კარგად ვრც დაგაბანელეთ, სინათლე ქუჩაში გასეულიყო და ლაშის გარაულები მოელი ღმევ კვაზტევენდნენ“... თვალწინ წარმოგიდვებათ ომისძროინდელი ცხოვრების მართალი სურათები.

მარტოხელა ცაბუნიას დედამ ვერ გაუმდო უსაშველი შრომას და ბედმა სარეცეს მაჯაგვა. ახლა უსასოთ ქალი ფანჯარას გაბურუებს და დღელალამ იმის ფაქტშია, იქნებ ვინებე იჯახის მარჩენალის ამბავი გამაგებინოსთ.


ამ, ამ ომის საშინელებათა ფონზე იკვეთება მოთხოვთაში ცაბუნიას ცოცხალი, ცხოვრებისეული სახე. სწორედ მის ხასიათში იგრძნობა ომით მიეცნებული ჭრილობების საშინელებანი. „ახლაც თვალწინ მიდგას წინდის ჩხირეებით თავიდან ბოლომდე ერთნაირად გათლილი გოგო, მისი გრძელი, წვრილი მკლავები და მუდმივ გადატავებული წვეტიანი იღვევები“ — შენიშნავს მწერალი და მკითხველიც ქვეცნობებიდან ერთბაშად აღიქმის სათქმელს — გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ოჯახი ამ ციცქან გოგოს საზრუნვა გამსდარი. ზემოოქმედიდან გამომდინარე, გასავებია, თუ რად დაეძებს თავებამეტებით ცაბუნია მამას. ოჯახს მარჩენალი სჭირდება, იგი კი არსად ჩანს... დარსა თუ ავდარში ცაბუნია სამტრედიის საღვეურისაკენ მირბოდა ხოლმე და გაუციცებით დაექცდა კაცს, რომელიც თავისი მამის ამბავს გააგებინებდა. სანიტარული ვაგონები სავსე იყო ომში დასახინრებული ადგიმიანებით, რკინიგზელთა დასასვენებელი სახლი, რომელიც ახლა პოსპიტლად გადააკეთეს, დაჭრილებით აივსო. ცაბუნია კი ომმა საცოდავ არსებად აქცია, იგი ტრაგიკული პიროვნებაა. მკითხველი მწვავედ გრძნობს ცაბუნიას უნუგ-


შო მდგომარეობას, იცის, რომ იგი მოატყუეს და ამათ ოცნების ამარა დატვეს, ყველაფერ ამაში დამაშავე კი ომია, რომელმაც ქვეყანა ჯოჯოხეთად ჰქონდა სალი, პატიოსანი ადამიანები აიძულა, ეცრუა.

ამის დამადასტურებელია არჩილ მესხის წინააღმდეგობით აღსაცვეს სახე-ივი არააკლებ ტრაგიკული პირიენებაა, ვიდრე ცაბუნია. შესანიშნავი აქვს დაბა-ტული მწერალს არჩილის სულიერი მდგომარეობის ნიუანსები. არჩილის წერილი ძედიცინის სამსახურის კაპიტნის იოსელიანის სახელზე გვარწმუნებს, რომ იგი სრულებითაც არ არის ისეთი პიროვნება, რომელსაც ტყუილი ენაზე აკრისა. პირი-ქით, არჩილ მესხი მართალი და პირუთვნელი ადამიანია. შეძრწუნებული ცაბუ-ნიას საცოდაობამ აიძულა არჩილი წამიერად ტყუილი ეთქვა და ეს გახდა შემდეგ მისი სულიერი შეძრწუნების, ტანჯვის მიზეზი. „ამ ჰოსპიტალში აღარ დამედ-გომება. რამე უნდა მისაშველოთ და სხვაგან გადამიყვანოთ, არ დაევემებ, სადაც იქნება, ოღონდ კი ამ ქალაქს მომაცილეთ“, — წერს არჩილ მესხი და ამ ფრაზებში კარგად ჩანს მისი ტრაგიკული განცდები. არჩილი თანდათან ხვდება თავის შეცდო-მას, უხერხულობაში ჩავარდნილი, გრძნობს, რომ ყველაფერს თავისი ბოლო აქვს და მტკნარი სიცრუშეც გამოაშეარვდება, გრძნობს, რომ რაც არ უნდა დამაზად დაუხატოს ცაბუნიას მამის გმირობის ამბავი, საბოლოო ყველაფერი გაცხადდება და ტკბილი ოცნება კვლავ ცრემლებით შეიცვლებოდა. „კი მარა, ამდენ ზანს ერთა სიტყვა რომ არ მოიწერა, ნეტავი რას ფიქრობს, დედაჩემი არ ეცოდება?!“—აცრემ-ლებული მიმართავს ცაბუნია არჩილს, რომელიც გრძნობს თავისი ტყუილის საგ-დალო შედეგს და სასოწარკვეთილებაში ვარდება. რამდენადაც ძლიერია იმით გა-მოწვეულ საშინელებათა ტრაგიკული განცლის სომწვავე, იმდენად მძაფრია ამ სა-შინელებასთან ბრძოლის სურვილი.

„ცაბუნია“ თანამედროვე მკითხველს შესანიშნავად უჩვენებს, თუ როგორ დაამაინჯა ომმა ადამიანის სული, და ამასთან მოწოდებაცაა, რომ ომის საშინელება არასოდეს აღარ განმეორდეს.

აავლა ნაცვლიშვილი





ჯემალ ჩხეიძე

საქვირაო ნაღირობა

გიორგი და ნიკოლოზი ერთ სადარაშობოში ცხოვრობენ და გარგი მეზობლობა აქვთ. ორივეს ათიქმის ერთდროულად შეეპარა სიბერის ჭაღარა და სიმსუქნის ქოშინი. ძველებურად სულმუტქმელად ვეღარ აღიოდნენ სადარაშოს კიბეებზე.

— არავითარი საშველი არ არის? — პკითხეს ერთ დღეს მეზობელ სადარაში მცხოვრებ ასევე სიმსუქნეშეპარებულ და ჭაღარაშერეცელ, ორმოცდათ წელს გადაცილებულ ექიმს გიორგიმ და ნიკოლოზმა.

ექიმი ამ ასაღი პაციენტებისაგან განსხვავებით, ერთი სართულით. მაღლა, შეხუთე სართულზე ცხოვრობდა და ბოლო ხანებში მასაც არააკლებ უჭირდა კიბეებზე ახვდა.

— საშველი როგორ არ არის, — უთხრა მან გიორგისა და ნიკოლოზს, — სპორტი კვალის კარგი საშვალება სიმსუქნისა და ნააღრევი სიბერის წინააღმდებ, ავიღოთ, თუნდაც, ნაღირობა...

— გამაღლებოთ, — დაუმაღლეს მეზობლებმა და მეორე დღესვე მონქავშირის შაღაზიაში სანადარო თოფები იყიდეს.

შომღვევნო კვირა დღეს გიორგი და ნიკოლოზი უთენია გავიღენ ქალაქერეთ, — შაშვებ სანადაროდ. მაინც რამდენი შაშვი იცის სურომ...

მწევრს აფრენილს უნდა ეხროლო და, თუ კარგი მსროლელი არ ხარ, შეოძლება დააცილო კადეც. შაშვი კი ხეზეა შემომჯდარი, თუ არ დააფრთხობ, სანამ სუროს მარცვლებით აივხებდეს ჩიჩახებ, ახჯერ შეგიძლია მისი ნიშანში აძღვება.

გიორგი და ნიკოლოზი მიუახლოვდნენ ჭველაზე უფრო დიდ, სუროიან ჩეხ, როგორც იტეკიან, „საშაშვე მანმილზე“. ნიკოლოზმა გამართა თოფი და დაუმაზნა ერთ შაშვებ, რომელიც კარგად ჩანდა. შაშვი ჩანდა, მაგრამ, თოფის ლულაზე სამიზნე არ ჩანდა. გასროლას აზრი არ ჰქონდა...

— გიორგი, — ჩურჩულით უთხრა ნიკოლოზმა მეზობელს, — მიშველა, თუ კაცი ხარ, შეხვდე; ზესტად მყავს შაშვი ნიშანში ამოღებულია?

გიორგი ახლოს მივიდ ნიკოლოზთან, ნიკოლოზმა თავი გვერდზე გასწია და გიორგის საშვალება მისცა, დამიზნების სიზუსტე შეემოწმებინა...

თოფის ლულაზე სამიზნე გარეევით ჩანდა, მაგრამ შაშვი ვერ დაინახა გიორგიმ...

ნიკოლოზი შორს სედველი იყო, გიორგი — ახლომხედველი...

ჩვენ და ჩვენი ცზო

ახეთია ჩვენი ეზო, არც მთლად განიერი და არც მთლად შშვენიერი, მაგრამ ეზო ეშოა, რადგან უკეთესი არა გვაქვს, ამასაც ვჯერდებით. ჰე, გვერდეს ერთი გასაქანი, მაშინ ნახეთ — ეღემს, ზღაპრულ ეღემს დავამსგავსებდით, მაგრამ... არ გვაქს ხალხი, ენთუზიასტები თუ რა?.. ზოგს ფული აქვს, რაც ციცვიან, თავშე საყარადო, ზოგს თოხი და ბარი, ზოგს კი ვნა, ენა ერთადლიანი, დაშაქრულ-და-თაფლული და დამძარულ-დაბიძელებულიც.

ჩვენს ეშოში სულ ათა მოსახლეა, სხვადასხვა რანგისა და განათლების, სხვადასხვა გაგების, მოთხოვნილების და ტემპერატურისას. ზოგს რა აწუხებს და ზოგს რა, ერთმანეთს უვებო, უთმენთ, უუმობთ, უუძლებთ, სანდახან კიდევ უკეთ და უცხოვრობთ ჩვეულებრივად, აი, ისე, როგორც სხვა ეშოებში ცხოვრიდენ ხოლმე.

ექიმია თქვა, ხმაური ადამიანის ჯანმრთელობის შტერიაო. მოდით, ნუ ვიხ-შაურებო, პატივი ვცეო ერთმანეთს, თორემ ეს რაა!..

მე მეოთხე ხართულზე ცეხოვრობ, სშირად სახლში ვარ, კარგად ვწელავ, რა ხდება ქვემოთ, ჩვენს „შეუდრო“ ეშოში, მაგრამ სხვათა საქმეებში არ ვერევი. ჩავერცი და, — არიქა, ირაინ მერე თავშომელებილი სახწრაფო დასტარებაში. იყეთ ნემხები, არა, სად მაქვს მაგის ჯან!

აი, ჩემს პირდაპირ რომ ცხოვრობს, ის არქიფო შეიტინაძე, ერთი შეხედვით, იღვალური კაცია, არც რაიმეს გთხოვს, არც რაიმეს გაგიფუჭებს, არც რაიმეზე შეგატეხებს. ეშოში თუ გაივლი, მოგეხალება, თუ ქუდი ახურავს, ქულსაც მოგი-ხდის, არ არის გაურკეველი პროფესიის, ცოტას კიდეც ყლუპაგს, სამსასურიდან აღრე მოდის. მოვა სახლში, დახვენება უნდა, აქ ქალაქში, აშ გაფხეკილ ასფალტზე, ამა, სხვა რა უნდა აკეთოს?!. — არაფერი.

არქიფო მუსიკა უყვარს და ძაღლიან ცდილობს ჩვენც შეგვავაროს, შევა თა-ნში, შიბრუნდ-მობრუნდება, წაიღიღინებს, შემდეგ ჩართავს მაგნიტოფონს, რაც შეიძლება სმამაღლა, რადგან ცოტა ფურს აკლია, შეუერთებს რადიოლაბ ისე, რომ ქუჩასა და მეორე ეზოსაც გასწვდეს მისი სხა, თვითონ გამოვა ეშოში სუფთა პარტი, მოიკალათებს თვითის სისეკეშ, წრდილში, იქ სკამ-ლოთებინ აქვს მოწ-ყობილი და დამის თორმეტ, ხან პირველ საათამდე პაიდა, ჰქუსს ეშოში ნაირ-ხაირი სიმღერები: რუსელი, ქართული, სომხური, ფრანგული, აზიური, ვერო-პელი, ამერიკული, არაბული, ინდური და ვინ მოთვლის საღაური და რანაირი! არა, რას იტევა, კულტურულად ერთობა კაცი და ჩვენც „გვართობს“. მოდი და ამისთანა კაცს უჩივლე აღმასკომი ან მილიციაში არ მასვენებს-თქო. მერე ეშო-ში გავლა არ გინდა?.. რა პირით შეხედავ თვალში, კაცი მისთვისა და, პირიქით. შენ არ ასევებ მას.

აი, ის მის გვერდით რომ ცხოვრობს, ეფუმია ნიკანოროვა, ის ზომ მთლად კაია, თუმცა მასაც აქეს ერთი თავისებურება, ეზოს უფროხობას ჩემობს, ისე, რომ არავის ამ თანამდებობაზე არ დაუსახელებია და არ აურჩევია.

— ის ხე ჩემია, ის ვაზი ჩემია! — არ კითხულობს საიდანა მისი, ვინ დარგო, როდის და რისვის დარგო. კაცი ხარ და მისდა დაუკითხავად ეშოში ვინმე შე-

შოვიდეს, გავიდეს ან რაიმე გააკეთოს. ფველაფერს თვითონ აკეთებს, მუდამ რა-ლაცას ანგრევს და აშენებს. მოგეხსენებათ, ეზოს ოთხი კუთხე აქვს და თუმცა მას აქვს დაკავებული. ზოგან შეშა, ზოგან ბაღჩა-ბაღი და ზოგან სხვა საკუთხაო. არა, არავის არ „აწუხებს“ და არც ხელს უშლის, ამბობს მე ჩემთვის არა უარის ვაკეთებ, ვის რა ეკითხებათ. პო, მართლაც, რომ მისთვისაა, მოდი და შემდგენ ვაკეთებ.

შეზობლების გართობა ეფემია ნიკანოროვასაც კარგად ეხერხება, მაგრამ ამი-სათვის სულ სხვა მეთოდ და სერის აქვს შერჩეული. ქათმები უყვარს, ეს ხომ კარგია და მისასლებელი, ქალი ფრინველების მოვარულმომენებელია, რა ვუფორ მერე, ეზო თუ მისხრეკილ-მოჩხრეკილია, ამას კი ვითმენთ, მაგრამ ჩენი უბედურება ისაა, რომ ქ-ნ ნიკანოროვა საგანგბოდ ჯიშიერ მამლების მოშენებას აძლებინებს, მამლებიც ამაგს უფასებენ ნიკანოროვას და მთელ ღღე-ღამეს და-ლიფოს მღვრიანა. ამა, რა პენან მამლებმა, კვერცხს ხომ ვერ დადებეკ?! რა გა-წეობა, ასე და ცოტა რამეზე ხომ ვერ აწყენინებ ქ-ნ ნიკანოროვას, იყივლოს, იყივლოს მამალშა და ნუ იძინებ შენ, თორეშ!

აი, ის ეზოს შეაგულში, გრძელი გრძაფი რომ აქვს და შივ გასანსაღებული შავი „ვოლგა“ რომ უყენია, კაცი იგია — ჭიჭიკო ტერენტიევისი. პო, ასე მოიხ-სენიებეს მას ახდა სახელით და მაშის სახელით, თორემ ხოვლიდან რომ ჩამო-კიდა ჭიჭიკას კახელინე. ჭიჭიკო ისეთი კაცია, თვალში, რომ ჩაგივარდებ სულს არ ამოისვამო. ქვედას მოხდაც იცის და ლაზათიანა სალაშიც. ამა, სხისოვ რამებს და არ გაიკავებს?! უშოვნელს გაიხენს, გინდა იმპორტული იფის და გინდა აპპორტული. ფული დაგჭირდება სესხად და ამისათვის სახლშიც არ შეითბენს, ბაშინევ გაიკავებ ჯიბეზე ხელს, შენ გენაცალოს ჩემი თავიო, რამდენი ვინდათ, პი გეითხავებ. მოულობს, მაგრამ რამდენს! სად, როგორ, — ეშმაქა აცის, ან ვინ იკითხავებ, სახლი მუზეუმად აქვს ქცეული, ცოლ-შეკლი — ოქრო-ბრილიანტებით შეკაბმული. შენი არაფერი სტარებება, პურ-მარილზე დაგიძახებენ, წადი, კა სვა და კა ჭამე, აქე აღიღე, ეს ხომ ადგილი ხაქმა, თუ ხარ კაცი მჰევრმჰევრველი. ძოლი და ასეთ კაცს შეედავე რაიმეში, პეითხე სად იძოვა, უსიღვლე.. არა, ნამ-დვილად არ ლირს, მეზობელსაც დაპკარგავ და არაფერი გამოგივა. ერთხა მეზო-ბელმა ასე მითხვა.

— აქვს შენი და შოულობს, სეგისი ნუ გეხარება, ნუ იქნები დოკუმენტია და შენც იძოვა: ფულის იოლად შოქნას რა უნდა, ბიჭი! ჩამოირცხე სისტემის-ნამუსი, თუ გაგანჩია, მორინა და გათვალისწინებული გოვა ჩეჩერიეთ, რაო? კარგ აღგილზეაო, ერთი შენაც, კარგ აღგილზე კველა ქია, მაგრამ აღგილს მოხმარა უნდა, მოხმარა, ჩემ ბიძია!

აი, ჩემს მარჯვნივ მესამე სართულზე, რომ ცხოვრობს და გრძელი აივნილინ შეორე ეზოს ქრისტიან გადაცეურებს ტიოტია გართუშაა, პო, ასე ემანიან მას ქვემოდნ ბავშვები, თორემ ქართულად დეიდა ვარდეში იქნება. დეიდა ვარდეში ისეთი ქალი არ არის, რომ ტევილაუბრალოდ ვინძეს რაიმე დაუთმოს. ერთხელ ჭიჭიკომ ისუმრა, რა თქმა უნდა, ჩემად, ვართუშას ეურამდე რომ არ მიერწია: ტეციირებება რაც რომ გამოიყონეს, ელექტრონი, რადიო, ტელევიზორი, ტელე-ფონი, მანქანა, ყველაფერს ჩამორველის გვერდით გამომრთველი დაუვენეს, ვაი, ჩვენი ცოდვა, რომ დეიდა ვარდეშასთვის მაღალ ღმერთს გამომრაველის გაკე-ოვება დაგიწენიათ. პაი, პაი, მართლაც რომ დაგიწენია. პო, რაღაც ვარდეში ჩაერთო, გათავად, დღვევანდელ დღეს სვალინდელსაც გადაბამს, შეიძლება ზე-გინდელსაც და კარგად მეკოლეთ. ამ ღრის მოხწავლება კარ-ფანჯრებს მაგრად კეტავენ, ყურებს ბამბიო იცობეს და ისე მეცადინეობენ, სხვა რა გაეწყობათ. და-ასახლისები სამხარეულოში იკეტებიან, მაგრამ ცალი ური მაინც ქ-ხობაქენ

აქვთ მიშართული, ცნობისმოყვარენი არიან. ვისაც გახაქცევად სცალია, ეზოდებ
სწორად გარძის.

ნე ღაგავიწყდებათ, ჩვენს ეზოში „ცისფერი ეკრანის“ მოყვარულებიც ცნოვ-
რობენ.

— ვინ?! — ვინ და თითქმის ყველა, მათ შორის მეც, არქიტო შვიტინაძეც,
კუკეშია ნიკანოროვაც, ჭიჭიკო ტერენტიევიჩიც, დეიდა ვარდუშიც და სხვებიც.
ყველას კარ-ფანჯრები ღია ვვაქვს და ყველანი ცელილობთ ტელეშეჯიბრში მო-
ხაწილების მიღებას. აბა, ვინ — ვის! ერთამ მოსკოვია ჩართული, მეორესთან
— თბილისი... „კრიმანჭული“ და „ეი უხნემ“, ჯაზი და სასულე ორეკსტრი... ჩვენი

ტელეშეჯიბრი კულმინაციურ წერტილს მხოლოდ მაშინ აღწევს, როცა ფეხბუ-
როთა ფეხბურთი ყველას სანატრელი და სანუკარი, მაგრამ ხელის შემშლელები
აქაც გვაღიტინებენ, გვიღიტინებენ და მერე როგორ?..

აი, ის, იქ რომ ცხოვრობს კუთხეში, რომან რომანიჩი, ცხოვრობს, მუშაობს
და ფეხბურთი ფეხბზე ჰქიდია. ჩვენს ჯიბრზე სწორედ მაშინ გიშოვის დროს,
როცა გახურებული ფეხბურთია, მაშინ ჩართავს ელექტრობურლს, ბურდავს და
ბურდავს შეუჩერებლად. ხოლო მისი მეუღლე ვარვარა პეტროვნა სარეცხს
შაშინ წამოწყებს, ვითომდა სხვა დრო არ ჰქონდეს. შეაერთებს ცენტრიფუგას,
იმდენს არაფერს სწურავს, რამდენსაც ჩვენს ისედაც დაწყვეტილ ნერვებს ათა-
შაშებს, ახვევს, სჭიმავს, გრენს და გასაშრობ-გასაწურად ამზადებს.

აი, ასეთები ვართ / ჩვენ, ასეთია ჩვენი ეზო.

მემორანული

ეს ქვეყანა შრომამ შექმნა,
კაცის ოფლის ნაწურია,
მაგრამ ზოგჯერ სხვის ნაღვაწზე
ხელებს ითბობს კაცუნია.
კაცუნია — სულმდაბალი,
ქვეშქვეშა და გაიძვერა,
ბოროტი და მუხანათი,
მსხვერპლს დარაჯობს როგორც
ძერა.
დღეს ვინც ჭეუას ვერ ისწავლის,
ვინც სარფიან საქმეს ეძებს,
შეიცანით იგი დროზე —
მოაცილეთ მუქთა დვემელს!

კუკური კვასტიანი



გასულ ორ თვეში



მემორანულისა და ქმრის ეპლატი

„ბათუმი — მეგობრობისა და მმობის ქადაქი“ — ასე ეწოდებოდა დიდებულ ზეიმს, რომელიც ამას წინათ ვაიძნოთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქში და რომელიც საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლისთავეს მიეღვნა.

სახის უშუალო ზეიმზე ვიღაპარა კეცელვთ, არ შეიძლება არ აღნიშნოთ ის დადი სამუშაო, რომელიც ბათუმში დღესასწაულის წინა დღევბში ჩატარდა. ლამაზად მოირთო და მოიკაზმა ქადაქი, განსაკუთრებით კახეთისის პროსპექტზე. მოკლე დროში გემოვნებით შეიღება ამ პროსპექტზე მდებარე შენობები, დამშვენდა შათო ფასალები, აიგნები. ერთი სიტყვით, ვევლაშვილს შერუცველი ხელი ეტოვოდა.

ზეიმი ვ. ა. ლექნინის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა პარტიიდან მარიამ ტბაწე თეუთმეტი მომექ რესპუბლიკის დროშები ერთ თავისულად შეფრინა და შათ შეაში, ახალ ამავე აურიალდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო დროშა.

ზეიმის შოთაწილეთა ძრავალათა-ხანი კოლონა სტალინის პროსპექტით დანინის სახელობის მოედნისაკვნ გაკვრთა. წითელი დროშებით შორთული მოტოცილისტების ესკორტი მოენის შეხასვლელთან გაიინდა. ტრიბუნაზე აღიან რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფ-კავშირული და კომკავშირული მუშავები, პარტიისა და კომკავშირის გეტერანები, წარმოების მოწინავენი, ბათუმთან დამძინებული ქალაქების — სერხონის, მახანგალის, კინოგაგანისა და სოხუმის დელეგაციები.

შევობრობისა და მმობის ურთიერთობისადმი ძიღვებილი ძიტიხები განხორციელის ბათუმის საქადაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დ. მან-ჯალაძემ.

ზღვისპირა პარკის შესახვლელთან ცაში უზარმაზარი ტრანსპარანტი აჭრილა — „დიდება სკპ“ — აწერია ალისფერ ღენტს, რომელიც ნელ-ნელა მიიწვეს ხულ მაღლა და მაღლა. საპატიო სტუმრებისათვის მოწყობილ ტრიბუნასთან ერთახეთს ცვლიან ბათუმის სკოლების მოსწავლეები.

„სტალინის პროსპექტზე კი ეტ-ლებმა ჩაიარეს. აბა, უქორწილოდ დღესასწაული ხომ არ იქნება. ქადაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარევმ გ. ემირიძემ ქორწინების მოწმობები და სამახსოვრო საჩექრები გადახცა სამ წევილ ნეფელ-ფაზზე.“

საუკეთესო მოცეკვავენი და მომდევლები მოსულან ზეიმზე. საბჭო-რი სიმღერის და ცეკვის პირველი საკავშირო ფესტივალის მოაწილეებმა ჯერ კიდევ წინა დღით დამთავრეს გამოსვლები, მაგრამ ზეიმს როგორ დაკალღებოდნენ!

ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო ოკატრის მსახიობებმა გაღაეტიონის მეგლთან წაიკითხეს დიდი პოეტის უკვდავი ლექსები.

ზეიმში მონაწილეობდნენ საქათველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე, საქათველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პრატიული მუშაობის განყოფილების გამგე შ. შარტავა, აჭარის ასსრ ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

შესველია პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანცილატი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პაპუნიძე შესვდა ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო ოფიციალური ურთის კოლექტივს, რომელშაც წარმატებით დამთავრა გასტროლები ბუღარეთის სასალსო რესუბლიკაში. ეს გასტროლები მოეწყო აჭარის ასერ და ბლაგოვეგრადის ოკრუგის შეგობრობის დღვებთან დაკავშირებით.

ბათუმის თეატრის დირექტორი, საქართველოს სერ დამსახურებულმა არტისტმა ლ. ლლონტმა

ინფორმაცია გააკეთა თვატრის ხელ-სტროლ მოგზაურობაზე და ამავ-შეა საექტაკლების (ი., რადიო ტესტი თელე და მისაკისფერი) და გრიფიტის ლიანის „სანამ ურეში გადაძრვნდება“) წარმატება.

ამხანაგმა ვ. პაპუნიძემ ბათუმის თეატრის კოლექტივს გულითად მოულოცა გასტროლების დღი წარმატება და ბუღარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდო, რომლითაც დაჯილდოვდა თეატრის კოლექტივი ვიორგი ლიშტროვისადმი შიძლებილი სპექტაკლის გამო. მან პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტისა და მისი ბიუროს სახელით მაღლობა გადაუხსადა გასტროლების შეველება.

მთავარი რედაქტორი ალექსანდრე სამსონიძე

სარედაქციო კოლეგია:

აზიზ აჩვლებიანი, გიორგი გარებილაძე, ზურაბ გორგილაძე, გამი
ვარუანიძე (ასახისიმებელი მდივანი), უოთა ზოიძე, დავით თავლიაძეაძე,
გიორგი სალუკებაძე, ჯვარა ჩათამაძე, ალექსანდრე ჩხაიძე, ვრიძენ
ხალვაში, დავით სახურავიშვილი, ჯვარა ჯავალი.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგველის ქ. № 21. ტელ. 3-33-71

გადაცა წარმოებას 1.7.82, ხელმოწერილია დასაბეჭდიდ 14.7.82, საბეჭდი თამა-
ნი, 6, საგამომცემლო 5, შეკვეთის № 1940, ემ 01601, ქალალის ზომა $60 \times 90^1/45$
ტირაჟი 5.000.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის
საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აჭარის ასერ პოლიგრაფიული საწარმოო
გაერთიანება, ბათუმი, ლუქსემბურგის, 20.

Государственный комитет Грузинской ССР по делам изда-
тельств, полиграфии и книжной торговли. Полиграфическое
производственное объединение Аджарской АССР. Батуми,
ул. Р. Люксембург, 20.

1950-20
2050-1950



680/133



9560 40 333.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

«ЧОРОХИ»

ОРГАН СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
ИНДЕКС 78118